

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

**Student Journal of Social Sciences**

№21, ოქტომბერი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2022

**E ISSN: 2449-3066**

## **სარედაქციო კოლეგია:**

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,  
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა  
სალომე ნამიჭიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

## **ტექნიკური ჯგუფი:**

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. მარიამ ბერულავა ანი სიხუაშვილი. ნაციონალიზმის როლი გლობალიზაციის ეპოქაში----- 4
2. ცოტნე უმეკაშვილი. 2014-16 წლების ევროპის მიგრანტთა კრიზისი, როგორც წინააღმდეგობა ე. წ. “4 თავისუფლების” უპირობობისათვის-----16
3. ნინო ხარაბაძე. ყირგიზეთის 2020 წლის რევოლუციის მიზეზები და შედეგები-----27
4. მარიამ ვაჭრიძე, კესო გიგიტაშვილი. თანამედროვე საქართველოს საარჩევნო პროცესი: საზოგადოებრივი და პარტიული განწყობების ანალიზი ევროკავშირის მიმართ-----40
5. თათია გურგენიძე, ელენე ნამორაძე. კოვიდ-19-ის პირობებში სტუდენტთა ცხოვრების წესის ცვლილება-----57
6. მელანო ბერიძე, მარიამ კვეტენაძე. „ალტ-ინფოს“ კონსერვატიული მოძრაობის დამკვიდრება საქართველოში და მისი თანამდევი პროცესები გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მაგალითზე: (შედარებითი ანალიზი)-----73
7. ქრისტინა ქვარაია. ჰიბრიდული ომი, როგორც ახალი რუსული სამხედრო სტრატეგია და გამოწვევები დასავლეთისა და პროდასავლური ქვეყნებისათვის-----90
8. Giorgi Pachuashvili. Russo-Georgian Conflict on The Background of the Russian Aggression Against Ukraine-----112



**ნაციონალიზმის როლი გლობალიზაციის ეპოქაში**

**მარიამ ბერულავა**

**ანი სიხუაშვილი**

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [mariam.berulava247@sps.tsu.edu.ge](mailto:mariam.berulava247@sps.tsu.edu.ge)

E-mail: [ani.sikhaushvili421@sps.tsu.edu.ge](mailto:ani.sikhaushvili421@sps.tsu.edu.ge)

## აბსტრაქტი

გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ერები განსაკუთრებულად არიან ურთიერთდამოკიდებული და ეროვნული საზღვრების მნიშვნელობა შემცირებულია, ნაციონალიზმი კვლავ აქტიურად მოქმედებს. გლობალიზაციის პირობებში ნაციონალიზმის სიმყარის საკითხი დღემდე სხვადასხვა დისციპლინის მეცნიერთა შორის ცხარე დებატების საგანია. ეს ორი ტერმინი ხშირად აღიქმება, როგორც ურთიერთდაპირისპირებული და მათ შორის ურთიერთკავშირის შესახებ ორი ძირითადი ხედვა არსებობს: პირველის თანახმად, ნაციონალიზმი გლობალურ მსოფლიოში აქტუალობას კარგავს, ხოლო საპირისპირო ხედვა ხაზს უსვამს იმას, რომ გლობალიზაციის პროცესი, პირიქით, ასაზრდოებს და აძლიერებს ნაციონალიზმს. საკითხის აქტუალობა განისაზღვრება იმით, რომ მეცნიერთა შორის დღემდე არ არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა ნაციონალიზმის როლი თანამედროვე რეალობაში. თუმცა მსოფლიოს ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაზე დაკვირვებით შესაძლებელია ითქვას, რომ ნაციონალიზმი კვლავ მნიშვნელოვანია, ხოლო მისი თანამედროვე რეალობაში განხილვა- აქტუალური.

ნაშრომის საკვლევი კითხვა ფორმირდება შემდეგნაირად: გლობალიზაციის პირობებში მოხდა თუ არა ნაციონალიზმის მნიშვნელობის შემცირება? კვლევის მიზანია, გამოავლინოს ნაციონალიზმის როლი და ადგილი გლობალიზაციის ეპოქაში. კვლევის პროცესში საკვლევი კითხვაზე პასუხის გასაცემად დამუშავდა და კრიტიკულად გაანალიზდა საკითხზე არსებული რიგი მნიშვნელოვანი ინგლისურ და ქართულენოვანი აკადემიური ნაშრომები.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, ნაციონალიზმი, სახელმწიფო, ერი.

## შესავალი

გლობალიზაციამ მსოფლიო უფრო ინტეგრირებული გახდა, გაზარდა რა ქვეყანათა შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, გამოიწვია უდიდესი მიგრაციული ტალღები, ტრადიციული ეკონომიკის რესტრუქტურისა და ხალხთა აკულტურაცია. ასეთ პირობებში, არსებობს მოსაზრება, რომ ნაციონალიზმის როლი მცირდება, თუმცა, ჩვენი აზრით, ის კვლავ მყარ პოზიციებს ინარჩუნებს. გლობალიზაცია წარმოადგენს ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცვლილებების პროცესს, რომელიც ხასიათდება რევოლუციით ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ეროვნული სუვერენიტეტის მნიშვნელობის შემცირებითა და საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების ტრანსნაციონალური მასშტაბური გადაადგილებით (Guttal, 2007). გლობალიზაციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აღვწეროთ, თუ როგორ გახდა ვაჭრობისა და ტექნოლოგიების, ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებით სამყარო უფრო ინტეგრირებული და ურთიერთდამოკიდებული. რაც შეეხება ნაციონალიზმს, ეს არის იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ხედვაზე, რომ ერი, ანუ „ნაცია“, საზოგადოების უმთავრესი ნაწილია, შესაბამისად, ერთგულება ერის ინტერესებისა და ერი-სახელმწიფოს მიმართ ყველა სხვა ინდივიდუალურ ან ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა დგას (National Geographic Society, 2019). ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიური მოძრაობის, მთავარი მიზანია ეროვნული იდენტობის, ერთიანობისა და ავტონომიის ჩამოყალიბება და შენარჩუნება (Smith, 2001). დღეისათვის ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაში

ატავიზმია და მულტიკულტურულ მსოფლიოში მისი ტრადიციული ცნება უბრალოდ ვერ იარსებებს. თუმცა, არსებობს სანინაალმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმად გლობალიზაციის პროცესი, პირიქით, ასაზრდოებს ნაციონალიზმს, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის ჯერ კიდევად მძლავრი იარაღი საკუთარი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმოებისა და ეროვნული ინტერესების მიღწევისათვის (Hearn, 2015). შესაბამისად, ვფიქრობთ, საინტერესოა შევათვასოთ, თუ როგორ აისახება თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ურთიერთობებში ნაციონალისტური სენტიმენტების როლი გლობალიზაციის ფონზე.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი კონტენტ-ანალიზი. დამუშავდა რიგი მეორეული წყაროები, მათ შორის ქართულ და ინგლისურენოვანი აკადემიური ნაშრომები.

კვლევის საფუძველზე ჩვენი ძირითადი მიგნებაა, რომ ნაციონალიზმის როლი გლობალიზაციის ეპოქაში არ შესუსტებულა. ნაციონალისტურ ხედვებს ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს რიგ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ეროვნული თუ საგარეო პოლიტიკური მიზნების ფორმირებაში.

### **კონცეფტუალური ჩარჩო**

მეცნიერთა შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები გლობალიზაციისა და ნაციონალიზმის შესახებ და ხშირად ნაციონალისტური და გლობალური ხედვები განიხილება, როგორც ორი განსხვავებული მიდგომა თანამედროვე რეალობის მიმართ. საინტერესოა, განვიხილოთ კანადელი მეცნიერისა და ყოფილი პოლიტიკოსის, მაიკლ იგნატიევის (*Michael Grant Ignatieff*), ხედვა, რომლის თანახმად, არსებობდა მტკიცე მოლოდინი, რომ მსოფლიო განაგრძობდა განვითარებას ნაციონალიზმის, ტრიბალიზმისა და პასპორტებში დაფიქსირებული იდენტობების ირგვლივ კონფლიქტების მიღმა, თუმცა, რეტროსპექტივაში ეს ასე არ აღმოჩნდა. მისი აზრით, ზნოლა ინტეგრაციაზე კვლავ არსებობს და მას ნაციონალიზმი ჰქვია (Ignatieff, 1994, 2)

ნაციონალიზმი მართლაც მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა ინტეგრაციისთვის. 1980-იანი წლებიდან გლობალიზაციის სანყის ეტაპზე, მათ შორის კომუნისტური რეჟიმის დაშლას აღმოსავლეთ ევროპაში მოჰყვა ნაციონალისტური სენტიმენტების გაძლიერება, მოულოდნელად, ნაციონალიზმი გახდა მთავარი ძალა, რომელმაც განსაზღვრა ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგი და გამოიწვია დადგენილი საზღვრების ცვლილება ომების გაჩაღებით და მრავალეროვნული სახელმწიფოების დაშლით (Sabanadze, 2010). პროფესორ მალკომ ანდერსონის (*Malcolm Anderson*) თანახმად, მე-20 საუკუნეში იმძლავრა ნაციონალისტურმა ხედვებმა, რამაც გამოიწვია დესტაბილიზაცია. ექსტრემალური და აგრესიული ნაციონალიზმის დემონი, რომელიც დასავლურ დემოკრატიებში მიიჩნეოდა გარდაცვლილად, გამოცოცხლდა და მთავარი წარმმართველი ძალა აღმოჩნდა მოცემული პერიოდის პოლიტიკური პროცესებისა (Anderson, 2000, 64). მსგავს ხედვას გვთავაზობს ბრიტანელი სოციოლოგი, ენტონი გიდენსი (*Anthony Giddens*), რომლის თანახმადაც ნაციონალისტური განწყობების აღორძინება და ადგილობრივი იდენტობების ხაზგასმა პირდაპირ უკავშირდება გლობალიზაციის გავლენებს და ენინაალმდეგება მათ. ნაციონალიზმის მნიშვნელობაზე გლობალურ სამყაროში ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორი უოლტერ შნე (*Walter Schnee*). მისი აზრით,

ნაციონალიზმი არის თანამედროვე მსოფლიოს ფუნდამენტური მახასიათებელი. ნაციონალიზმი არ უნდა აღიქმებოდეს მხოლოდ როგორც იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენს ომისა და ქსენოფობიის საფუძველს, არამედ ნაციონალიზმი აგრეთვე არის საზოგადოების ხედვებისა და ქმედებების განმსაზღვრელი ძალა როგორც საშინაო, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე. ნაციონალიზმს, როგორც იდეოლოგიას, აქვს უმნიშვნელოვანესი გავლენა სოციალურ ორგანიზებაზე და ეს გლობალიზაციის პერიოდშიც არ შეიცვლება. (Schnee, 2001).

ბრიტანელი მკვლევარი ენტონი დაგლას სმიტი (*Anthony Douglas Smith*) ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი უფრო ძლიერია, ვიდრე გლობალიზაცია, შესაბამისად, არ შეიძლება მისი როლის იგნორირება. მისი აზრით, ერებს აქვთ ღრმა ფესვები, რომლებიც დაფუძნებულია წინაპოლიტიკურ, კულტურულ და ეთნიკურ იდენტობებზე, რაც განაპირობებს მათ სიმტკიცეს. გლობალიზაცია არ ნიშნავს ნაციონალიზმის დასასრულს. კოსმოპოლიტურ კულტურას, რომელიც დღეს არსებობს, არ შესწევს უნარი, ნაციონალიზმის მსგავსად გააერთიანოს ხალხი (Smith, 1991) მართლაც, ადამიანები გლობალურ სამყაროშიც კონკრეტულ ერებს მიაკუთვნებენ თავს. როგორც პოლიტიკის მეცნიერი ფრედ რიგსი (*Fred W. Riggs*) აღნიშნავს, ადამიანებს მხოლოდ მაშინ აქვთ შესაძლებლობა, განიცადონ სუვერენულობა, როდესაც აქვთ ერთიან ფასეულობებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული სოლიდარობის განცდა. ხოლო ეს სოლიდარობა მჭიდროდ უკავშირდება ერის კონცეფციას (Riggs, 2002).

საინტერესოა გლობალიზაციის გავლენა ერების კულტურულ თვითმყოფადობაზე. რამდენადაც ტექნოლოგიები და მეცნიერება უმთავრესად დასავლეთში ვითარდება, სხვა რეგიონები მსოფლიოში იღებენ ამ ტექნოლოგიებს, აგრეთვე იღებენ და ფასეულობებს. ამის გამო, დასავლური აღიქმება, როგორც მთელი მსოფლიოსთვის მისაბაძი სტანდარტი. ამერიკელი მეცნიერის პიტერ ევანსის (*Peter Evans*) აზრით, განვითარებულ, წამყვან სახელმწიფოებში შექმნილი პროდუქცია და იდეები აყალიბებს ფასეულობებსა და ხედვებს განვითარებადი ქვეყნების მაცხოვრებლებისათვის (Evans, 1971, 638). ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესი არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის კლიმატური ცვლილებები, პანდემია, სამხედრო კონფლიქტები, რაც ხშირად კიდევ უფრო ამწვავებს ნაციონალისტურ განწყობებს. მზარდი ნაციონალისტური, პოპულისტური და ანტი-გლობალური მოძრაობები მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს დასავლურ დემოკრატიებზეც კი და კიდევ უფრო გამოკვეთს ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის, მნიშვნელოვან როლს თანამედროვე საზოგადოების ფორმირებაში (Bonifai, et.al 2022).

მეცნიერთა მეორე ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი ნაციონალიზმის როლის მიმართ გლობალიზაციის პირობებში. არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმის როლი შემცირებულია და მეტიც, მან თავი ამოწურა. ბრიტანელი ისტორიკოს-მარქსისტი ერიკ ჯონ ერნესტ ჰობსბაუმი (*Eric John Ernest Hobsbawm*) თავის ნაშრომში „ერები და ნაციონალიზმი 1780-იანი წლებიდან“ აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმმა ძლიერების პიკი მე-19 საუკუნეში გადალახა და დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა შემცირდება, რამდენადაც მსოფლიო გახდება უკიდურესად ინტეგრირებული (Ariely, 2020). იგი, აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს ერი-სახელმწიფოსა და ნაციონალიზმის შორის კავშირზე. ჰობსბაუმი აღნიშნავს, რომ ერი-სახელმწიფოს, როგორც მოქმედი გაერთიანების, როლის შემცირება განაპირობებს

ნაციონალიზმის მნიშვნელობის შემცირებას (Hobsbaem, 1992). ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ბრიტანელი გეოგრაფის, პიტერ ტეილორის (*Peter Taylor*), ხედვა. იგი თანამედროვე რეალობაში სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კონტინენტს, რომელიც გაიბზარა და ის, რაც მისგან გამოჟონავს არის სუვერენიტეტი. სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაკნინების პროცესი შეუქცევადია და დროთა განმავლობაში სახელმწიფოს როლი მინიმუმამდე შემცირდება (Taylor, 1994).

გარდა ამისა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი არი მარსელო კასოვიჩი (*Arie Marcelo Kacowicz*) აღნიშნავს, გლობალური საზოგადოების განვითარება ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებით გამოწვევას უქმნის ნაციონალისტურ აზროვნებას. გლობალიზაციის ეპოქაში, ტექნოლოგიური განვითარების, სხვადასხვა ჯგუფების დაახლოების, ინტერნეტისა და მასმედიის როლის გაზრდისა და აგრეთვე სხვა მრავალ ფაქტორზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად გაიზარდა არასახელმწიფო აქტორების როლი ეკონომიკურ, სოციალურ და მათ შორის პოლიტიკურ სფეროებში. შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციები და მოძრაობები აყალიბებენ ტრანსნაციონალურ ქსელს გლობალური საზოგადოების განვითარებისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად სცილდება ერი-სახელმწიფოს სისტემას (Kacowicz, 1998).

### **ნაციონალიზმის არსი და მნიშვნელობა გლობალიზაციის ეპოქაში**

პრიმორდიალური ხედვის თანახმად, ნაციონალიზმი წარმოადგენს უძველეს ფენომენს, რომელსაც ადამიანთა საზოგადოების ყველა ასპექტში მყარად აქვს ფესვები გადგმული. (Ariely, 2020). ჩვენი მოსაზრებით, რამდენადაც ნაციონალიზმი არის საზოგადოების, ერის თანდაყოლილი მახასიათებელი, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები ადამიანთა ეროვნულ ცნობიერებაში, მას თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე ცვლილებები ვერ დააკნინებს. ამის დასტურად განვიხილავთ მოქალაქეობის ცნებას- მიუხედავად უპრეცედენტო ურთიერთდამოკიდებულებისა და გამართლებული მიმოსვლისა ქვეყნებს შორის, არ არსებობს მსოფლიო მოქალაქის ცნება. ევროკავშირში, სამაგალითოდ ინტეგრირებულ გაერთიანებაშიც, ადამიანებს აქვთ კონკრეტული სახელმწიფო მოქალაქეობა და ევროკავშირის მოქალაქეობა მხოლოდ დამატებითია. მაშასადამე, გლობალიზაციის ეპოქაშიც ადამიანებს აქვთ კონკრეტული ერის, სახელმწიფოს მიმართ მიჯაჭვულობის ნაციონალური განცდა არა მხოლოდ ემოციური თვალსაზრისით, არამედ ფორმალურადაც.

მართალია, ნაციონალიზმი ზემოთ განხილული ხედვის თანახმად უძველესი ფენომენია, თუმცა არც გლობალიზაციაა ახალი მოვლენა. გლობალიზაციისა და ერის ფორმირების პროცესები ისტორიის მანძილზე იყო დაკავშირებული. თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოები იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის მეშვეობით გლობალიზაციის მამოძრავებელს ძალას წარმოადგენდნენ (Hearn, 2018). მოცემულ ხედვაზე დაყრდნობით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სწორედ ერი-სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინფრასტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც შენდება გლობალიზაციის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტები. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრებით, იქ სადაც გლობალიზაციაა, ნაციონალიზმიც უპირობოდ იარსებებს და გლობალიზაციის ტემპების ზრდა გამოიწვევს ნაციონალისტური განწყობების განმტკიცებას.

არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომ კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ, საზღვრის, როგორც შემათავსებელი ბარიერის გაქრობამ და გეოგრაფიული შეზღუდვების შემცირებამ სამყარო უფრო ერთიანი გახადა. გლობალიზაციამ გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულებისა და ქვეყნებს შორის ეროვნული ბარიერების შესუსტების გზით ნაციონალიზმი მნიშვნელოვნად შეამცირა. დროისა და სივრცის შეკუმშვა ადამიანებს საშუალებას აძლევს, უფრო სწრაფად იურთიერთონ, რითაც ეროვნული განსხვავებები გაქრა ან ნაკლებად მნიშვნელოვანი და შესამჩნევი გახდა. ეს ტენდენცია, მაგალითად, კულტურის დონებზე გამოიხატა. მსოფლიო ეროვნული კულტურებიდან ერთიან ჰომოგენიზებულ კულტურაზე გადავიდა. ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა, რომლებიც მთავარ როლს თამაშობენ გლობალური ბაზრის ჩამოყალიბებაში, ერთი ქვეყნის ეკონომიკა მეორე ქვეყნის ეკონომიკის ბედზე დამოკიდებული გახადეს (Abdulstar, 2013).

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მიუხედავად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ნაციონალიზმი არა თუ ამონურავს თავს, არამედ მსოფლიოს დღის წესრიგში იდგება, რასაც არაერთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები მოწმობს. საკმარისია, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიხმოთ, მათ შორის: ბრექსიტი, ტრამპის პოლიტიკა, ვინდრაში, სირია, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი - რათა დავამტკიცოთ, რომ ნაციონალიზმი კვლავ აქტუალურია, ხოლო მისი აღორძინება-მოსალოდნელი. ნაციონალიზმმა კონკრეტულად, დაკარგული ეროვნული ავტონომიის აღდგენის სურვილმა, განაპირობა ბრიტანეთის გადანყვეტილება ევროკავშირის დატოვების შესახებ. აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, სწორედ წარსულის („*Make America Great Again*“) მიმართ ნაციონალისტური ნოსტალგია გამოიყენა 2016 წელს საკუთარი პროტექციონისტული და ანტიმიგრაციული პოლიტიკისათვის მყარი საფუძვლის შესაქმნელად. გარდა ამისა, ნაციონალიზმი აერთიანებს მემარჯვენე ევროპულ პოლიტიკოსებს საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, უნგრეთსა და პოლონეთში. ნაციონალიზმი არის ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინპინის, ამბიციური მცდელობების საფუძველი, აქციოს ჩინეთი მსოფლიო ლიდერად (Walt, 2019). მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმის როლი გლობალიზაციის ეპოქაში არ შემცირებულა კიდევ უფრო განმტკიცდა, რამდენადაც ნაციონალიზმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის ჯერ კიდევ მძლავრი იარაღია საკუთარი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმოებისა და ეროვნული ინტერესების მიღწევისათვის. პოლიტიკოსებისთვის ნაციონალისტური სენტიმენტების გამოყენება ქვეყნის შიგნით ხალხის გაერთიანებისთვის საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს და მისი მნიშვნელობა გლობალიზაციას ამ დრომდე არ დაუკნინებია.

ყურადსაღებია, ისიც, რომ ნაციონალიზმი არა თუ კარგავს მნიშვნელობას გლობალიზაციის ეპოქაში, არამედ ის ძლიერდება და ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება კიდევ გლობალიზაციას და მის თანმხლებ ეფექტებს. ერთ-ერთი უმთავრესი ეფექტი გლობალიზაციისა, რომელიც იწვევს ერებში ნაციონალისტური მიდგომების გამწვავებას, არის სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები. გლობალიზაციის ეპოქაში გამარტივებული მიმოსვლის საშუალებებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გაღრმავების ფონზე უკიდურესად გაიზარდა მიგრაცია. თუ, ერთი მხრივ, იმიგრანტები მიმღები სახელმწიფოსთვის იაფი სამუშაო ძალაა, ადგილობრივი მუშახელი წარმოადგენს გლობალიზაციის „დამარცხებულ“ მხარეს, რამდენადაც მათ შესაძლოა

სამსახური დაკარგონ (Ariely, 2020). სწორედ ამიტომ, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დაზარალდა გლობალიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგად, ხშირად უჭერს მხარს პოპულისტი ლიდერების ნაციონალისტური სენტემენტებით განმსჭვალულ პოლიტიკას. მართლაც, გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა და მზარდი სოციალური პრობლემები ხშირად ხდება ნაციონალისტური სენტემენტების გამწვავების საფუძველი, რამდენადაც ადამიანები ეკონომიკურ სიდუხჭირეს, სამუშაოების დაკარგვას და სხვა პრობლემებს ხშირად მხოლოდ კაპიტალიზმსა და გლობალიზაციას უკავშირებენ. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშშ-ში იმიგრანტების დიდი რაოდენობა გახდა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ამერიკელების მიერ დონალდ ტრამპის პოლიტიკური ხედვების მხარდაჭერისა.

რამდენადაც მოსახლეობის ნაციონალისტური განწყობები მკაიფოდ აისახება საარჩევნო სტატისტიკებში, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, თუ რა განაპირობებს ნაციონალისტური და პოპულისტიკური პარტიების მიმართ მხარდაჭერის ზრდას. გაერთიანებული სამეფოდან დაწყებული იტალიის, ავსტრიისა და სხვა ევროპული ქვეყნების ჩათვლით, ბოლოდროინდელმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ნაციონალისტური და პოპულისტიკური პარტიების მიმართ ამომრჩეველთა მხარდაჭერა იზრდება. მართალია, პარტიების სპეციფიკა განსხვავებულია, თუმცა ისინი ძირითადად კრიტიკული არიან ევროპის ინტეგრაციის მიმართ და უპირისპირდებიან იმიგრაციას. იმიგრაცია გახდა თავად ანტი-იმიგრაციული მიდგომის საფუძველი. ადგილობრივი მაცხოვრებლები ევროპაში იმიგრანტებს აღიქვამენ როგორც პირდაპირ კონკურენტებს სამუშაო ბაზარზე, აგრეთვე იმიგრანტების დიდი რაოდენობა ზრდის ზენოლას სახელმწიფო სისტემასა და ინსტიტუტებზე, აგრეთვე საზოგადო რესურსებზე, მაგ: სკოლა, საავადმყოფოები. ამასთან, ბევრი ფიქრობს, რომ იმიგრაცია გაზრდის კრიმინალს და შეამცირებს უსაფრთხოებას. დიდი იმიგრაციული ტალღების გამო მხარდაჭერა იზრდება ნაციონალისტური პარტიების მიმართ. თუმცა სიანტერესოა ის ფაქტი, რომ ნაციონალისტური სენტემენტების გაღვივებაზე იმიგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმას, თუ რამდენად კვალიფიციური იმიგრანტები შემოდინან ქვეყანაში, რასაც ადასტურებს აშშ-ის საარჩევნო მაჩვენებლები 1990-2010 წლებში. (Moriconi, et.al, 2019) რამდენადაც იმიგრაცია შეიძლება, განვიხილოთ როგორც კულტურისა და ფასეულობების მიმოცვლის საშუალება, რამაც წესით უნდა გაამართივოს გლობალიზაცია და განაპირობოს ერების დაახლოება, საპირისპირო შედეგს ვიღებთ. რიგ ქვეყნებში, იმიგრაცია აღიქმება, როგორც საფრთხე ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის, მათი სამუშაო ადგილებისა და კეთილდღეობისადმი. სწორედ ამიტომ, მოსახლეობა უპირისპირდება გლობალიზაციას.

იმიგრაციის საკითხის პარალელურად არანაკლებ მნიშვნელოვანია კულტურული თვითმყოფადობის განხილვა. არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება, ითქვას, რომ გლობალიზაცია ძირითადად მოიაზრებს დასავლური ღირებულებების გავრცელებასა და ექსპორტს დანარჩენ მსოფლიოზე. გამომდინარე იქიდან, რომ კულტურული თვითმყოფადობა ერის იდენტობისა და ერთიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, „ვესტერნიზაციას“, რომელიც გლობალიზაციას ახლავს თან ერების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება და ღვივდება ნაციონალისტური ხედვები (დავითაშვილი, 2003).

გლობალიზაციის ეპოქაში ნაციონალიზმი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი დღემდე მრავალი პოტენციური პოლიტიკური კომპრომისის

ხელისშემშლელი ფაქტორია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე წმინდა ეროვნულ ტერიტორიას ეხება. მაგალითად, სერბეთს არ ჰქონდა რაციონალური მიზები 1999 წელს კოსოვოს შენარჩუნებისა (რეგიონს არ ჰქონდა დიდი სტრატეგიული ან ეკონომიკური მნიშვნელობა), მაგრამ ბელგრადმა ვერ დაუშვა კოსოვოს დაკარგვა, რადგან იგი სერბული ეროვნული იდენტობის „აკვანი“ იყო. ანალოგიურად, თანამედროვე სახელმწიფოების უუნარობა, გადაჭრან ხანგრძლივი ტერიტორიული დავები (იქნება ქაშმირში, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, სახალინის კუნძულებზე) ეროვნული გრძობის ძალაუფლების დამსახურებაა (Walt, 2019). მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენ ნაციონალიზმს შევაფასებთ, როგორც გლობალიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შემათავრებელ ფაქტორს. საერთაშორისო ასპარეზზე, სახელმწიფოები ხშირად თმობენ თანამშრომლობის მეშვეობით მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობას ნაციონალისტური სენტიმენტების გამო.

ვფიქრობთ, ხაზგასმას საჭიროებს ის გარემოება, რომ ნაციონალიზმის ორმხრივი დინამიკა ჯერ კიდევ სახეგია. კერძოდ, სახელმწიფოები ხშირად ერთმანეთთან კონკურენციაში არიან, თუმცა, ამასთანავე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მომგებიანი პოზიციის მისაღწევად თანამშრომლობენ და ხდებიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების წევრები. ეს შეჯახება ნაციონალისტურ დისკურსებს წარმოშობს. საერთაშორისო თანამშრომლობის პარალელურად, სახელმწიფოები და მათი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ეძებენ შიდა ლეგიტიმურობას, იდენტობის გრძობას, საერთო ღირებულებებს, მორალურ მიზნებსა და ა.შ. ტრამპის პრეზიდენტობა და ბრექსიტი ამ ხანგრძლივი შიდა და გარე დინამიკის ამჟამინდელი მაგალითებია (Hearn, 2018).

სუვერენიტეტისათვის საზიარო ფორმის მიცემა ხშირად აღიქმება ერი-სახელმწიფოსა და აგრეთვე ნაციონალიზმის როლის შემცირების არგუმენტად, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი საზიარო ძალად იქცა ისეთ მნიშვნელოვან სფეროებშიც კი, როგორც თავდაცვა და უსაფრთხოება, რამდენადაც სახელმწიფოები წევრიანდებიან კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციებში, მაგალითად NATO (დავითაშვილი, 2003). შესაბამისად, ერები უკიდურესად ურთიერთდამოკიდებულები ხდებიან არა მარტო ეკონომიკურ, არამედ უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ სფეროებშიც, რაც განაპირობებს თანამშრომლობის გაღრმავებას ერებს შორის და ნაციონალური სენტიმენტების უგულებელყოფას.

ლოგიკური იქნება, თუ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მოსაზრების პარალელურად მოვიხმობთ ე.წ. „ევროსკეპტიკურ“ დისკურსში განსახიერებულ ნულოვანი ჯამის ანალიზის, კერძოდ, გარემოებას, რომ წევრი ქვეყნები ევროინტეგრაციის პროგრესთან ერთად სუვერენიტეტს „კარგავენ“. ამ თვალსაზრისით, რეგიონალიზაცია- როგორც ეროვნული სახელმწიფოების გადარჩენის, ისე სუბ-სახელმწიფოების მისწრაფებების წინააღმდეგ მუშაობს. თუმცა ევროკავშირის მიღმა რეგიონული ინტეგრაციის სხვა ფორმების ხედვა მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონალიზაცია სულაც არ იწვევს სუვერენიტეტის დაკარგვას. მაგალითად, ორგანიზაციები, როგორებიცაა: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN) და ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა (NAFTA) დაფუძნებულია მთავრობათაშორის თანამშრომლობაზე, რომელიც არ ნიშნავს სუვერენიტეტის დათმობას, არამედ მიზნად ისახავს, გააძლიეროს შიდა ლეგიტიმაცია, ეროვნული კეთილდღეობა და საერთაშორისო გავლენა (Sutherland, 2012). შესაბამისად,

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებს შორის ურთიდეთდამოკიდებულების ხარისხის ზრდის ფონზეც კი ინარჩუნებენ ქვეყნები სუვერენიტეტს და შესაბამისად, ნაციონალისტურ ღირებულებებს.

ამგვარი დამოკიდებულება გამომჟღავნდა კოვიდპანდემიის დროსაც. კოვიდპანდემია მსოფლიოსათვის უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა, რამდენადაც მსოფლიოს მასშტაბით შეიქმნა საგანგებო მდგომარეობა. პანდემიის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების შესუსტებული როლი, მათ შემადგენლობაში მყოფი ქვეყნების ქცევა და არჩეული სტრატეგიები ნაციონალიზმის მკაფიო გამოვლინება იყო, რამდენადაც ქვეყნები ძირითადად ორიენტირებული იყვნენ თვითგადარჩენაზე, ხოლო სოლიდარობამ და მხარდაჭერამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. სწორედ კოვიდპანდემიის დროს ჩამოყალიბდა ე.წ. „სამედიცინო ნაციონალიზმი“, რომელიც, პოტენციური გარე ხარჯებისა და ეფექტების მიუხედავად, ეროვნული სამედიცინო პრიორიტეტების ძლიერ მხარდაჭერას გულისხმობდა. კოვიდის გავრცელებაზე პირველი პასუხი, დეფიციტისა და საშინაო პრობლემების გამო, მრავალი მთავრობის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობის შემცირება იყო. წვერი სახელმწიფოს შებლუდებები სამედიცინო პროდუქტების ექსპორტზე ადრეულ პრობლემას წარმოადგენდა ევროკავშირში, რაც ძირს უთხრიდა საერთო ბაზარსა და ბლოკში სოლიდარობის ცნებას. სამედიცინო პროდუქტების ექსპორტზე შებლუდების დაწესებისა და სასაზღვრო კონტროლის ხელახალი გამკაცრების მიღმა, ევროკავშირმა პანდემიაზე ეროვნული რეაგირება სხვა თვალსაზრისითაც აჩვენა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კომპეტენციების არარსებობის გამო, ევროკავშირი ინსტიტუციურად მზად არ აღმოჩნდა პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. კერძოდ, პანდემიით ძლიერ დაზარალებულ ქვეყნებში, როგორცაა იტალია, ევროკავშირის სხვა წვერი ქვეყნების მიერ ნელმა და შებლუდულმა რეაგირებამ შეამცირა მათი ნდობა ევროპული სოლიდარობის მიმართ. (Bieber, 2022) პანდემიის პერიოდში ევროკავშირი „გათითოკაცებულ“ ორგანიზაციად მოგვევლინა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ კრიზისულ სიტუაციაში (პანდემიის პირობებში) ევროკავშირშიც კი გაძლიერდა ნაციონალიზმის პრიმატი, ვინაიდან ამ გაერთიანების ცალკეულმა წევრმა-სახელმწიფოებმა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის არა ერთიანი, არამედ განსხვავებული სტრატეგიები აირჩიეს.

გარდა კოვიდპანდემიისა, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, მათ შორის რუსეთის შეჭრამ უკრაინაში და მასშტაბურმა სამხედრო კონფლიქტმა გამოკვეთა გარემოება, რომ სახელმწიფოები საკუთარი „ეროვნული“ ინტერესების სანაცვლოდ მზად არიან დაარღვიონ გლობალური წესრიგი, მათ შორის საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპები. ომის წამოწყება რუსეთს მძიმე სანქციებად დაუჭდა, თუმცა ის კვლავ საკუთარი იმპერიალისტური, ნაციონალისტური განწყობებით მოქმედებს (Pimenta, 2022). შესაბამისად, იმის თქმა, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ნაციონალიზმის როლი შესუსტდა, აბსურდია. შუა ევროპაში შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა პოსტმოდერნულ სამყაროში სხვა არაფერია, თუ არა იმის მტკიცება, რომ ნაციონალიზმი, ამ შემთხვევაში იმპერიალიზმის სახით კვლავ მძვინვარებს.

ცალსახაა, რომ XXI საუკუნეში ნაციონალიზმი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, თუმცა იგი გლობალური პოლიტიკის ფორმირებას დღემდე აგრძელებს. ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის ინტერპრეტაცია, რომელიც ავტონომიის ან სუვერენიტეტის სხვადასხვა ხარისხს გულისხმობს, მეტად პრაგმატული პასუხია გლობალიზაციისა და რეგიონული მმართველობის

ევოლუციაზე. მაგალითად, თანამედროვე სუბ-სახელმწიფოები, როგორებიცაა შოტლანდია და კატალონია, მოხერხებულად იყენებენ რეგიონული ინტეგრაციის პროცესს მათი ყოვლისმომცველი ეროვნული სახელმწიფოებისგან მეტი ავტონომიის მოთხოვნის მხარდასაჭერად (Sutherland, 2012). ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ გლობალიზაციის თანმხლებ სწრაფ და უწყვეტ ცვლილებებს ახასიათებს გაურკვევლობისა და ზოგჯერ საფრთხის განცდაც კი, განსაკუთრებით განვითარებად სახელმწიფოებში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებში, ხოლო საფრთხის განცდა უმეტეს შემთხვევაში აკავშირებს და აახლოებს ერს, მაშასადამე, ზრდის ნაციონალისტური სენტიმენტების მნიშვნელობას (Halikopoulou, Vasilopoulou, 2011). შესაბამისად, ნაციონალიზმი ერთნაირად რეაგირებს როგორც XIX და XX საუკუნეების, ისე ჩვენი საუკუნის პროცესებზე.

## **დასკვნა**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის პირობებში ნაციონალიზმის მნიშვნელობა და როლი არ შესუსტებულა. ნაციონალისტურ იდეებს იყენებს მსოფლიოს როგორც უამრავი პატარა, აგრეთვე არაერთი გავლენიანი სახელმწიფო საკუთარი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და ეროვნული ინტერესების მისაღწევად. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, თანამედროვე რეალობაშიც აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, რასაც ადასტურებს მხარდაჭერის ზრდა პოპულისტური პარტიების მიმართ რიგ ევროპულ სახელმწიფოებში. გარდა ამისა, ნაშრომში კოვიდპანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითებზე წარმოჩნდა, რომ მიუხედავად მზარდი გლობალური გავლენებისა, მსოფლიოში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეროვნული ინტერესები და ნაციონალიზმის იდეებზე დაფუძნებული მოქმედებები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. დავითაშვილი, ზ. (2003), ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. „მეცნიერება“. თბილისი.
2. Abdulsattar, O.T. (2013). Does Globalization Diminish the Importance of Nationalism? E-International Relations. (pp. 1-8) Retrieved from <https://www.e-ir.info/2013/11/14/does-globalization-diminish-the-importance-of-nationalism/> . Accessed 10/06/2022
3. Anderson, M. (2000) States and Nationalism in Europe since 1945, Routledge: London.
4. Ariely, G. (2020), Nationalism and Globalization, Stateofnationalism.eu, Retrieved from: <https://stateofnationalism.eu/article/nationalism-and-globalization/> accessed 26.05.2022
5. Bieber, F. (2022). Global Nationalism in Times of the COVID-19 Pandemic. Nationalities Papers, 50(1), 13-25. Retrieved from [https://www.cambridge.org/core/journals/nationalities-papers/article/global-nationalism-in-times-of-the-covid19-pandemic/3A7F44AFDD6AC117AE05160F95738ED4?fbclid=IwAR00h0XnIUG8Eqt909K7WfVXu\\_dZjVXIM0xPGe6V02OUC321kP3Fgb07MhI](https://www.cambridge.org/core/journals/nationalities-papers/article/global-nationalism-in-times-of-the-covid19-pandemic/3A7F44AFDD6AC117AE05160F95738ED4?fbclid=IwAR00h0XnIUG8Eqt909K7WfVXu_dZjVXIM0xPGe6V02OUC321kP3Fgb07MhI) . accessed 05/06/2022
6. Bonifai, W.N., Rudra, N., Boulding, C., Moya, L.S (2022), Globalization and Nationalism: Contending Forces in World Politics. International Studies Review, Volume 24, Issue 2. accessed 12/06/2022 retrieved from <https://academic.oup.com/isr/article-abstract/24/2/viac021/6584768?redirectedFrom=fulltext> . Accessed 12/06/2022
7. Evans, P. (1971). “National Autonomy and Economic Development: Critical Perspectives on Multinational Corporations in Poor Countries,” International Organization 25(3). Retrieved from <https://www.e-ir.info/2013/11/14/does-globalization-diminish-the-importance-of-nationalism/>
8. Giddens, A. (1994) Beyond Left and Right: The Future of Radical Politics, Polity Press: Cambridge. Retrieved from <https://www.e-ir.info/2013/11/14/does-globalization-diminish-the-importance-of-nationalism/>
9. Guttal, S. (2007). Globalisation. Development in Practice, 17(4/5), 523–531. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/25548249>
10. Halikiopoulou D. and Vasilopoulou, S. (2011), nationalism and Globalizations – conflicting or complementary? Routledge Taylor and Francis Group, New York.
11. Heran, J. (2018). The Relevance Of Nationalism Today. Nationalism Studies, the university of Edinburgh. Retrieved from <https://nationalism-studies.sps.ed.ac.uk/2018/06/17/the-journey-begins/> . accessed 04/06/2022
12. Hobsbawm, E. (1992) Nations and Nationalism Since 1780, Cambridge University Press: Cambridge. Retrieved from <https://www.e-ir.info/2013/11/14/does-globalization-diminish-the-importance-of-nationalism/>
13. Ignatieff, M. (1994) Blood and Belonging: Journey into the New Nationalism, Vintage: London.
14. Kacowicz, M.A. (1998), REGIONALIZATION, GLOBALIZATION, AND NATIONALISM: Convergent, Divergent, or Overlapping? Kellogg Institute. Retrieved [https://kellogg.nd.edu/sites/default/files/old\\_files/documents/262.pdf](https://kellogg.nd.edu/sites/default/files/old_files/documents/262.pdf) accessed 02/06/2022
15. Moriconi, S., Peri, G., Turati, R. (2019). The impact of immigration on EU countries’ nationalistic sentiments. The Conversation. Retrieved from <https://theconversation.com/the-impact-of-immigration-on-eu-countries-nationalistic-sentiments-117632> . Accessed 07/06/2022

16. Muir, R. (1997). *Political Geography: A New Introduction*. John Willey & Sons: New York.
17. National Geographic Society, (2022). Globalization. National Geographic, Resource Library. <https://education.nationalgeographic.org/resource/globalization> . accessed 07/06/2022
18. Pimmenta, D. (2022). Opinion – The Impact of the Russia-Ukraine War on European Nationalism. *E-International Relations*. (pp. 1-2). Retrieved from <https://www.e-ir.info/2022/05/11/opinion-the-impact-of-the-russia-ukraine-war-on-european-nationalism/> accessed 15/06/22
19. Riggs, F. W. (2002). Globalization, Ethnic Diversity, and Nationalism: The Challenge for Democracies. *The Annals of the American Academy of Political and Social Science*, 581, 35–47. <http://www.jstor.org/stable/1049705>
20. Sabanadze, N. (2010) *Globalization and nationalism the cases of Georgia and the Basque Country*, Central European University Press, Budapest.
21. SCHNEE, W. (2001). NATIONALISM: A REVIEW OF THE LITERATURE. *Journal of Political & Military Sociology*, 29(1), 1–18. (p. 1). Retrieved from <http://www.jstor.org/stable/45292824> . Accessed 01/06/2022
22. Smith, D. A. (1991) *National Identity*, Penguin: London. (pp.-4-5) retrieved from <https://www.e-ir.info/2013/11/14/does-globalization-diminish-the-importance-of-nationalism/>
23. Smith, D. A. (2001). *Nationalism: Theory, Ideology, History*. Polity Press: Cambridge, UK
24. Sutherland, C. (2012). Nationalism in the 21st Century. *E-International Relations*. (pp.1-2). Retrieved from <https://www.e-ir.info/2012/01/17/nationalism-in-the-21st-century/> . accessed 07/06/2022
25. Taylor, P. (1994). The State as Container: Territoriality in the Modern World-System. *Progress in Human Geography* 18 (2): 151–162.
26. Walt, M.S. (2019). You Can't Defeat Nationalism, So Stop Trying. *Foreign Policy Magazine*. Retrieved from <https://foreignpolicy.com/2019/06/04/you-cant-defeat-nationalism-so-stop-trying/> . accessed 06/06/2022



2014-16 წლების ევროპის მიგრანტთა კრიზისი, როგორც წინააღმდეგობა ე.წ. “4 თავისუფლების”  
უპირობობისათვის

ცოტნე უმეკაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [tsothe.umekashvili150@sps.tsu.ge](mailto:tsothe.umekashvili150@sps.tsu.ge)

## აბსტრაქტი

ქვემოთ კვლევითი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთსა და რიგ კონფლიქტურ რეგიონებში სამოქალაქო დაძაბულობით გამოწვეულ ევროპის 2014-16 წლების მიგრანტთა კრიზისსა და ევროპულ სახელმწიფოთა თანადროულ სასაზღვრო პოლიტიკას, რომელმაც თვით ეჭვქვეშ დააყენა ე.წ. “უპირობო 4 თავისუფლება”, შორის კავშირის გამოვლენა, განხილვა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, ევროკავშირის სახელმწიფოთა საერთო ანტიკრიზისული, სასაზღვრო და ზოგადპოლიტიკური სამომავლო დღის წესრიგის ზემოაღნიშნულთან ანალიტიკურ ბმაში აღწერა. განსხვავებით, 2006 წელს ევროპარლამენტისთვის ჩატარებული კვლევისგან “ევროკავშირის თავშესაფრისა და იმიგრაციის პოლიტიკის გარე მსაზღვრელთა ანალიზი”, ნაშრომი იმიგრანტთა ტრანსპორტიორების წინააღმდეგ დამსჯელ ზომებს ცენტრიდანულად უარყოფითად არ მიიჩნევს და ცდილობს მოვლენები შედარებით სხვა პრიზმაში წარმოაჩინოს. ჰიპოთეზის თანახმად, გარე დაძაბულობით გამოწვეულმა მიგრანტთა კრიზისმა, გაამკაცრა რა ევროკავშირის სახელმწიფოთა სასაზღვრო პოლიტიკა, საფრთხე შეუქმნა ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობას. ნაშრომის მნიშვნელობა გარდა მის მიერ განხილული თემის აქტუალობისა, როგორც ევროპულ ლიდერთა სამომავლო პოლიტიკური პოზიციონირების ნაწილისა, მდგომარეობს მოვლენის ერთგვარ დაუძლეველობაში, რამდენადაც კრიზისის წყარო - ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ აფრიკა, სამხრეთ აზია კვლავაც ე.წ. “არასტაბილურ” რეგიონებად მიიჩნევა და არავინ იცის იქაური სამოქალაქო დაპირისპირება, თუ ომი როდის დაემუქრება ევროპულ მშვიდობას. კვლევის დიზაინის სამ სახეთაგან კვლევა იყენებს ანალიზს. დამოუკიდებელი ცვლადი ეს არის დაძაბულობა ზემოხსენებულ რეგიონებში, რომელიც ზეგავლენას ახდენს პირველ შუალედურ ცვლადზე - კრიზისის გაღვივებაზე, რომელმაც თავის მხრივ ევროპულ სახელმწიფოთა გამკაცრებული პოლიტიკის თარგმე (II შუალედური ცვლადი), ზეგავლენა მოახდინა დამოუკიდებელ ცვლად ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობაზე. გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები (“ქეის-სტადი”), რომელთაც ზოგიერთ შემთხვევაში რაოდენობრივიც (სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი) ამყარებს. გაანალიზდა ვიდეო, აუდიო, პირველადი და მეორეული წყაროები, თემასთან დაკავშირებული ბაზისური ნაშრომები და ავტორიტეტული გამოცემები. მოვლენები განხილულ იქნა თეორიულ ჩარჩოშიც, კერძოდ რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით. კვლევა განიხილავს და აღწერს მოვლენის დროინდელ პოლიტიკურ პოზიციებს, საწყის მოლაპარაკებებს ევროპულ ლიდერთა შორის, ქვეყანათა სასაზღვრო პოლიტიკის შესახებ. კვლევის შედეგად, ვერიფიცირებულ იქნა გამოთქმული ჰიპოთეზა და დადგინდა, რომ გამკაცრებულმა სასაზღვრო პოლიტიკამ ეჭვქვეშ დააყენა ევროპული ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობა. კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ მიგრანტთა პრობლემა ევროპისათვის, დროებითი დევსკალაციით ვერ აღმოიფხვრება, ის ნებისმიერ დროს შეიძლება უარყოფითი მიმართულებით განვითარდეს. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ მიგრანტთა კრიზისის, როგორც ასეთის, სამუდამო გადაჭრა, ევროპული და განვითარებადი სამყაროს, შეფარდებითად მაინც ნიველირებით, აქვე წყარო-კონფლიქტთა ტოტალური ჩაქრობით უნდა მიიღწეს.

**საკვანძო სიტყვები:** ომი, 2014-16 წლების მიგრანტთა კრიზისი, ევროპულ სახელმწიფოთა თანადროული სასაზღვრო პოლიტიკა, “4 თავისუფლება”

## შესავალი

2010-იანი წლები ევროპის კონტინენტის ქვეყანების ერთიანი საგარეო და ერთი მეორესთან სასაზღვრო პოლიტიკის ქმედუნარიანობის გასაზომად ფრიად კრიტიკული წერტილი აღმოჩნდა, რამდენადაც ამ პერიოდში ევროპის სუვერენულ სახელმწიფოთა ლიდერებს მოუწიათ მიეღოთ უკვე ღიად შესამჩნევი მიგრანტთა კრიზისის საპასუხო ადეკვატური გადაწყვეტილება, რომელიც ერთი მხრივ, არ დააკნინებდა მათ, როგორც პოლიტიკოსთა რეიტინგს საკუთარ მოქალაქეთა ძირითადი ინტერესების უგულვებლყოფის გამო, მეორე მხრივ კი შეინარჩუნებდა ევროპის კონტინენტის საუკუნოვან მონაპოვარს, ე.წ. “4 თავისუფლებას”, რომელიც აგერ უკვე 76 წელია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კონტრიბუტორი ევროპას აშუარა ომისაგან იცავს, ჰქმნის ევროპის კავშირს, რომელიც დროის ფართო სპექტრში დაფუძნებული გახლავთ პარიზისა და რომის ხელშეკრულებებზე, ერთიანი ევროპის აქტზე, მასტრიხტისა და ლისაბონის ხელშეკრულებებზე. ისინი თავისთავად საერთაშორისო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ. და მაინც რა არის ევროპის მიგრანტთა კრიზისი? მსგავსად მოიხსენიებენ პერიოდს, მიმდინარე საუკუნის 10-ან წლებს, როცა ევროპაში მოხვედრის მსურველ მიგრანტ-ლტოლვილთა რიცხვის მკვეთრი მატება იყო შესამჩნევი. თუ დავაზუსტებთ, ტერმინი უფრო კონკრეტულად მიუთითებს 2015 წელზე, როცა თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მაღალი, 1.3 მილიონი (სირიელი - 47 %, ავღანელი - 21 %, ერაყელი - 9%) აღმოჩნდა (Barlai et al., 2017) ეროვნებათა დაზუსტებით მივიჩნევთ, რომ კრიზისი სწორედაც რომ გამოწვეული იყო დაძაბული ვითარებით ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ სირიასა და ერაყში, აქვე ავღანეთში. აღსანიშნავი წილი მოდიოდა ტერორისტული დაუმორჩილებლობის ნიგერიაში, ანაც ერთთრეაში ხანგრძლივი ადამიანის უფლებათა დარღვევის შედეგებით (Zaragoza-Cristiani, 2021). მიგრანტთა შორის მრავალი მილიონი ჯერ თავშესაფარს არა ევროპაში, არამედ მხოლოდ მათ სამშობლოსთან შედარებით სტაბილურ ქვეყნებში ეძებდა, მაგალითად ლიბანში, იორდანიაში, თურქეთში, ეგვიპტეში, ირანსა და პაკისტანში. თუმცა მას შემდეგ, რაც იქ მათთვის საცხოვრებელი პირობები არასახარბიელო აღმოჩნდა, არ ჰქონდათ მუშაობის უფლება, ძალით ჰგზავნიდნენ ბანაკებში და უკვე ცხადად დაინახეს, რომ მათ ქვეყნებში ომი კიდევ კარგა ხანს არ შეწყდებოდა მათ უკეთესი ადგილის ძებნა დაიწყეს. ამას დაერთო 2014 წლიდან დაწყებული გადაწყვეტილებები იორდანიაში, ლიბანსა და ეგვიპტეში აღარ მიეღოთ სირიელი მიგრანტები, რამაც საბოლოო ჯამში, ნაკადები ევროპის კონტინენტისაკენ მიმართა (HRW, 2021). 2015 წლამდე ევროპამდე მიღწევის ძირითად გზას წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის გადაცურვა ლიბიიდან იტალიისკენ, რაც ხელშეწყობილი იყო ლიბიის მეორე სამოქალაქო ომითა და სასაზღვრო კონტროლის ჩამოქცევით. 2015 წლიდან ახალ გზას უფრო მოკლე ეგეოსის გადაცურვა, თურქეთიდან საბერძნეთში, და შემდეგ ბალკანეთის გავლით ევროკავშირში შესვლა წარმოადგენს (Beauchamp, 2015). აღკვეთის ძირითად გზად ევროპის მრავალმა ქვეყანამ მეზობლებთან საზღვრის ჩაკეტვა გამოიყენა, რამაც მოიტანა არეულობა, დაჭერილ ლტოლვილთა ერთი ქვეყნიდან მეორეში უსასრულოდ გაძევება და ა.შ. საბოლოო რეზულტატად კი შეგვიძლია, რა თქმა უნდა, 4

თავისუფლების ფაქტობრივი იმდროინდელი არარსებობა დავასახელოთ, რამდენადაც ამ პერიოდში შეიცვალა ათწლეულების ევროპული ტრადიცია, როცა საქონელი, კაპიტალი, სერვისი და ადამიანი ევროპის კონტინენტზე თავისუფლად გადაადგილდებოდა.

მნიშვნელოვანია აქვე დავსვათ თემის აქტუალობის საკითხი: ვფიქრობთ, განხილული თემა აპრიორი აქტუალურია, წელსვე კვლევამ ფენომენის ემპირიული შესწავლისათვის უკრიანის სახით კიდევ ერთი მაგალითი შეიძინა. გამართლდა აბსტრაქტში გამოთქმული პროგნოზი “..და არავინ იცის იქაური სამოქალაქო დაპირისპირება, თუ ომი როდის დაემუქრება ევროპულ მშვიდობას.” და თალიბანის მიერ 2021 წ. 15 აგვისტოს დედაქალაქ ქაბულზე კონტროლის განახლებამ მართლაც ეჭვქვეშ დააყენა ევროპული და არა მხოლოდ მშვიდობა, განახლდა მსჯელობა ევროპის უკვე ახალი მიგრანტთა კრიზისის შესახებ (Ridgwell, 2021). საკითხის აქტუალობის შემდეგი გარდამტეხი წერტილი მის პოლიტიკურ ღირებულებაშია, რამდენადაც იგი წამოჭრისთანავე ევროპულ ლიდერთა პოლიტიკური პოზიციონირების არსებით ნაწილად იქცა. ასე მაგალითად, მარი ლე პენს, ფრანგული უკიდურესი მემარჯვენე ეროვნული ფრონტის ლიდერს, გერმანული მედია შენიშვნისათვის აკრიტიკებდა, რომელშიც ის გერმანიას ადანაშაულებს მინიმალური ხელფასის კანონის მოცვლვის, კრიზისით სარგებლობისათვის და აცხადებს, რომ მათ “მონების” დაქირავება სურთ (Die Welt, 2015). შეუძლებელია პოლიტიკურმა კამპანიებმა ამ თემაზე საუბრის გარეშე ჩაიაროს, შესაბამისად, საკითხი აქტუალობის მეორე ხაზსაც იღებს. ვახსენეთ გერმანია და აუცილებლად ვთვლით ხაზი მესამე მომენტსაც გავუსვათ. ან ყოფილმა კანცლერმა მერკელმა, რომელიც შეიძლება ითქვას ერთადერთი იყო, რომელიც განსაკუთრებული მიმღებლობით გამოირჩეოდა ლტოლვილების მიმართ, რისთვისაც მრავალგზის გააკრიტიკეს, უკვე ადგილი შოლცს დაუთმო. ეს კი სავარაუდო საკითხისათვის ახალ აქტუალობის ხანასაც დააყენებს, რამდენადაც მის პოლიტიკურ მემკვიდრე არმინ ლაშეტს უკვე ჰქონდა ერთი ინციდენტი მიგრანტებთან მიმართებაში (DW, 2020) ახალი კანცლერი კი ახალ პოლიტიკას მოიტანს.

მნიშვნელოვნად მივიჩნევთ განვმარტოთ ძირითადი ცნებები, მოვლენებში მონაწილე აქტორები:

სამოქალაქო დაძაბულობა - მოვლენა, რომელიც წარმოიშობა მასობრივი დაუმორჩილებლობისაგან (როგორცაა დემონსტრაცია, ჯანყი, თავდასხმა, კანონისადმი დაუმორჩილებლობა) და რომლის მონაწილენიც მტრულად არიან განწყობილნი ხელისუფლების მიმართ, ხელისუფლებას კი წესრიგის დამყარება უჭირს (FEMA, 2022).

ევროპის შიდა ბაზარი და “4 თავისუფლება” - ბაზარი, რომელიც ევროკავშირის 27 სახელმწიფოსაგან, გამონაკლისის სახით ისლანდიის, ნორვეგიისა და ლიხტენშტეინისაგან (შეთანხმება ევროპის ეკონომიკური ტერიტორიის შესახებ) და შვეიცარიისაგან (ორმხრივი შეთანხმება) შედგება. ბაზრის მიზანია უზრუნველყოს საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ადამიანის თავისუფალი გადაადგილება, ზოგადად ცნობილი, როგორც “4 თავისუფლება” (European Commission, 2022).

## წინალობა “4 თავისუფლებისთვის”

რამდენადაც კვლევის დამოკიდებულ ცვლადს 4 ევროპული თავისუფლების უპირობობა წარმოადგენს, მიზანშეწონილი იქნება კვლევის სტრუქტურაზე ამ 4 კონკრეტულ ხაზს მიჰყვეს. ზემოთ არსებული განმარტებიდან ვიგებთ, რომ ბაზრის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირისა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ადამიანის თავისუფალი გადაადგილება. შესაბამისად, კვლევისას შევცადეთ გვეჩვენებინა მისი ხარისხის რეგრესი, რაც ჯამში ჰქმნის კიდევ არსებით მტკიცებულებებს მათი უპირობობის მიმართ საფრთხეების შესახებ, 2014-16 წლებში. ვინაიდან ჩვენს ძირითად თემას მიგრანტთა კრიზისი წარმოადგენს, ყურადღება მეტად გამახვილებული იქნება სწორედ ადამიანის თავისუფალ გადაადგილებაზე, თუმცა აუცილებელია საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების, წილის ჯეროვანი განხილვაც. მათზე საუბარი ძირითადად შესაძლებელია ეკონომიკური კუთხიდან, მშპ-ს ან მშპ-ს ერთ მოსახლეზე წლიური ზრდის განხილვით. თუკი მსოფლიო ბანკის მონაცემებს განვიხილავთ (The World Bank, 2022). დავინახავთ რომ 2016 წელს სამწლიანი უწყვეტი ზრდის შემდეგ ევროკავშირის წევრი ჩეხეთის მშპ 5.388 %-დან 2.537 %-ზე ეცემა, იმავე ტენდენციას ვაჩვენებთ სხვა მაგალითებზე დაყრდნობითაც: უნგრეთი 2014-16 წლებში განიცდის ორწლიან ვარდნას (4.229 %-დან 2.14 %-მდე), ასევე ირლანდია (2015-16 წწ., საკმაოდ მკვეთრი ვარდნა: 25.176 %-დან 1.994 %-მდე), სლოვაკეთი (2015-16 წწ., 4.815 %-დან 2.133 %-მდე) ა.შ. მნიშვნელოვანია შევადგინოთ მაგალითი: ის პროპორციულად თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ქვეყნებს შორის ამ პერიოდში მესამე მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი იყო (Eurostat, 2022), მისმა ეკონომიკამ კი 2015-16 წლებში 2.418 %-იანი ვარდნა განიცადა. ევროკავშირის წევრთა ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. რამდენადაც ქვემოთ უნდა განვიხილოთ, თუ როგორი დაბრკოლებული იყო მკაცრი სასაზღვრო კონტროლით თავისუფალი მოძრაობა, მარტივად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დამთხვევაა არაა მსგავსი შესამჩნევი ვარდნები სწორედ ამ პერიოდში და შესაბამისად, დავასკვნათ პირველი მსჯელობის სახით, ემპირიულად, რომ სწორედ ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებლების საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების დაბრკოლებული გადაადგილება, მიმდინარე კრიზისის გადაჭრისას გამონწვეული, იყო ამ ეკონომიკური ჩავარდნების ერთ-ერთი არსებითი გამომწვევი.

კვლევის ძირითად ხაზზე გასასვლელად უნდა ვისაუბროთ დამოუკიდებელ ცვლადად მოხსენიებულ დაძაბულ ვითარებაზე, რომელიც ჰქმნიდა და ასაზრდოებდა საკვლევ ფენომენს, როგორც ძირითადი საფუძველი. სირიაში 2011 წლის მარტში არაბულ გაზაფხულს მოყოლებული პასუხი იქცა იმ კონფლიქტის წყაროდ, რომელმაც ევროპას ყველზე მეტი მიგრანტი მოუტანა (Eurostat, 2016). მაისში თურქეთს მიგრანტთა პირველი ტალღა მიაწვდა. გარე ძალების ირანის, რუსეთის, თურქეთისა და აშშ-ს ჩართულობით კონფლიქტი უპირობო სამოქალაქო ომად იქცა (Tan & Perudin, 2019). არნახულმა დევსკალაცია მსოფლიოს 2013 წლის მარტში 1 000 000 სირიელი მიგრანტით შეუტია. მონაცემთა მიხედვით, მეორე სასაზღვრო წყარო კრიზისისათვის ავღანეთი იყო. ავღანელები გაურბოდნენ ომსა და უსამართლო, არაადამიანურ მოპყრობას რასის, რელიგიის, ანაც პოლიტიკური მრწამსის გამო. აქ დევსკალაცია 1979 წელს საბჭოთა შემოჭრით იწყება და აქ დაწყებული სამოქალაქო დაძაბულობა დღესაც არ შეწყვეტილა. 2021 წელს განვითარებული მოვლენების გამო, ვგულისხმობთ 15 აგვისტოს დედაქალაქ ქაბულის

თალიბანის მიერ აღებას, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ამ დაჯგუფების ფაქტორსაც. მიგრანტთა რიცხვის ზრდა პირდაპირ კავშირში იყო ამ დაჯგუფებასთან, რამდენადაც 2001 წელს, რაც აშშ-მ მოკავშირე ძალებთან ერთად 9/11-ის ტერაქტის შემდეგ მტკიცედ შეარყია თალიბანის მიერ მართული ავღანეთის ისლამური ემირატი, სამშობლოს 6 მილიონი ავღანელი დაუბრუნდა. თუმცა თალიბანის დაუმორჩილებლობამ, რომელმაც ოცნლიან ომში ჩაითრია აშშ, 2.5 მილიონს კვლავაც აიძულა სახლის დატოვება (IRC, 2016). თავისი როლი შეასრულეს ომმა ერაყში, სომალში და დარფურში. ერთიერიდან წამოსულნი გაურბოდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ რეჟიმს, უვადო სამხედრო სამსახურს, ძალადობრივ სამუშაოს (The Guardian, 2015). ბოკო ჰარამის დაუმორჩილებლობამ 2009 წლიდან ნიგერიაში მოიტანა 20 000 ადამიანის სიკვდილი, 2 000 000 ადამიანისთვის სახლის დაკარგვა და ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანი - 75 000 ნიგერიელი ევროპაში 2015-16 წლებში (Wilson, 2018). აღსანიშნავია მიგრაცია კოსოვოდან. კოსოვოს ომმა, რომელიც 1998 წ. თებერვლიდან 1999 წლის ივნისამდე მიმდინარეობდა შექმნა მისი წყარო. 2011 წლის 19 მაისს დაარსებული კოსოვოს დიასპორის სამინისტრო და დიასპორის სააგენტო უეცარ ზრდას ვერ გაუმკლავდა, რამაც მიგრანტების საკითხით ისედაც გატანჯულ ევროპას, 2014-15 წლებში 45 862 საზღვრის უკანონოდ კვეთით ახალი თავსატეხი გაუჩინა (Frontex, 2015). ამ და სხვა კონკრეტულმა კონფლიქტებმა დასაბამი დაუდეს მიგრანტთა კრიზისს, ღრმა პრობლემას ევროპის კონტინენტისათვის, რომელსაც უმარავი სიცოცხლისათვის მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა. არსებობდა განსხვავებული მარშრუტები, რომელნიც ასევე განსხვავებული ინტენსივობით გამოირჩეოდნენ. დაახლოებით 85 % მოდიოდა გზაზე თურქეთიდან საბერძნეთში, ეგეოსის ზღვის გავლით, დანარჩენი კი იტალიაზე ჩრდილოეთ აფრიკიდან. ევროკავშირის საგარეო საზღვრები საბერძნეთში, ფინეთში და ბულგარეთში მხოლოდ მინიმალურ როლს თამაშობდნენ. გზა აფრიკიდან იტალიაში იყო ნაკლებად გამოყენებადი, თუმცა მეტად ლეტალური, ვიდრე თურქეთიდან საბერძნეთში. აქ ჯამში 2 889 ადამიანი გარდაიცვალა, ეგეოსის ზღვაზე 731 (IOM, 2015). აქედან გზა გადიოდა ბალკანეთში ევროკავშირისკენ, უნგრეთში ან ხორვატიაში. უნგრეთი დაემორჩილა ევროკავშირის წესებს და მოსულნი თავშესაფრის მაძიებლებად დაარეგისტრირა, მაგრამ აქ უკვე შემოდის პოლიტიკური კამპანიების ხაზიც: პრემიერმა ვიქტორ ორბანმა მაქსიმალურად კარგად გამოიყენა ვითარება და თავისი შიდა პოლიტიკური კამპანია მიგრაციისადმი ოპოზიციამზე, იმიგრაციის შიშზე ააგო (Judy, 2015).

კრიზისმა, როგორც პირველმა შუალედურმა ცვლადმა წარმოშვა მეორე შუალედური ცვლადი - გამკაცრებული სასაზღვრო პოლიტიკა. 2015 წლის 1 სექტემბერს უნგრეთმა დაკეტა ბუდაპეშტის კელეტის სადგური ავსტრიასა და გერმანიაში მიმავალთათვის. არეულობის გამო გერმანია და ავსტრია იძულებული იყვნენ გაეხსნათ საზღვრები. კანცლერი მერკელი კონსერვატორების წნეხის ქვეშ მოექცა, თუმცა ის აცხადებდა: “ფუნდამენტურ უფლებას ეძიო თავშესაფარი ... ომის ჯოჯოხეთიდან საზღვარი ვერ ექნება” (Bröcker, 2015). გერმანულ გადაწყვეტილებას მალე მოჰყვა ქაოსი და ქვეყანამაც საზღვრების მკაცრი კონტროლის გადაწყვეტილება მიიღო (DW, 2015), რამაც დასაბამი მისცა დომინოს ეფექტს. საკუთარი საზღვრის მეტად კონტროლი დაიწყეს ავსტრიამ და სლოვაკეთმა (Eddy & Bilefsky, 2015). უნგრეთმა ააგო სასაზღვრო ღობე სერბეთთან, რათა ნაკადი ხორვატიისა და სლოვენისაკენ მიემართა (Lyman, 2015). ყველაფერს სამხედრო ძალის გამოყენებაც მოჰყვა, რამდენადაც ხორვატიამ ნაკადის ისევ უნგრეთისკენ მიბრუნება სცადა

(Kingsley, 2015). ხორვატმა და უნგრელმა ლიდერებმა მალე დაიწყეს ერთიმეორის ბრალდება და მალე უნგრეთის მსგავსად ხორვატიამაც ჩაკეტა საზღვარი, რათა არ ქცეულიყო ტრანზიტად (BBC News, 2015). სლოვენია არ დახურა საზღვარი, თუმცა აქ იყო შეტაკებები პოლიციასთან (Chicago Tribune, 2015) მალე სლოვენია დღიურ რაოდენობას, 2 500 კაცს აწესებს, რამაც ბრბო ხორვატიისკენ, სერბეთისა და ჩრდილო მაკედონიისკენ მიმართა. ნოემბერში იგივე სლოვენია დროებით ღობეებს აგებს (MMC RTV Slovenija, 2015). ზოგიერთმა სახელმწიფომ არმიისათვის, რომელიც მიგრანტთაგან იცავდა საზღვარს, მეტი ძალის მისაცემად კანონებიც კი მიიღო (Euronews, 2015). უნდა გადავხედოთ ევროკავშირის ოფიციალურ პირთა გამოხმაურებებსაც: მათ ღრმა წუხილი გამოთქვეს საზღვრებზე მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში და გააფრთხილეს საზღვრის ჩამკეტი ევროკავშირის წევრი ქვეყნები. განაცხადეს, რომ ამ საქციელით ისინი ძირს უთხრიდნენ საერთო ნდობასა და გადაადგილების თავისუფლებას, იმ ორ მნიშვნელოვან საფუძველს, რაზეც ევროკავშირი, როგორც ბლოკია დაფუძნებული და აღმოსავლეთ ევროპას 90-იანი წლების უნდობლობაში დასაბრუნებლად სწირავდნენ. ევროკომისიამ გააფრთხილა წევრები პატივისცემით მოპყრობოდნენ ევროკავშირის წესდებასა და მისი ძალით გაფორმებულ ხელშეკრულებებს (27 RadioFreeEurope/RadioLiberty, 2015). ყველა ზემოაღნიშნული და უპირველესად კი ევროკავშირის ოფიციალურ პირთა განცხადებები, ვფიქრობთ, უპირობოდ ცხადპყოფენ, რომ საწყისში გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ გარე დაძაბულობით გამოწვეულმა მიგრანტთა კრიზისმა, გაამკაცრა რა ევროკავშირის სახელმწიფოთა სასაზღვრო პოლიტიკა, საფრთხე შეუქმნა ე.წ. “4 თავისუფლების” უპირობობას, სრულყოფილად ვერიფიცირებულ იქნა.

## დასკვნა

არსებული შედეგები, პირდაპირი ამსახველია იმისა, რომ მიგრაცია, როგორც თანამედროვე გლობალური გამოწვევა მეტად ყურადსაღები და კვლევისათვის რელევანტური საკითხია. რამდენადაც რაციონალური არჩევანის თეორია გვკარნახობს (Levin & Milgrom, 2004), რომ ინდივიდუალი ყოველთვის ხელმძღვანელობს დანახარჯ-მოგების გაანგარიშებით და ყოველთვის უკეთესს ეძიებს, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიგრაცია, როგორც პროცესი შეუქცევადია. ყველასთვის არის ცნობილი, რომ უკრიანაში მიმდინარე პროცესები კი წარმოშობს უფლებას, რეკომენდაცია გაუწიოთ მის შესწავლას, საკითხის, რომელმაც უკვე ჰპოვა ამ კონტექსტში მეტად მრავალმხრივი განხილვა (Privitera, 2021).

## გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები

Anderson, Emma, European elections to watch in 2021, Politico,

<https://www.politico.eu/article/2021-elections-to-watch-europe/>, 04/01/2021, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

Barlai M., Fähnrich B., Griessler Ch., Rhomberg M., & Filzmaier P., The migrant crisis: European perspectives and national discourses, Zürich: Lit Verlag, <https://www.worldcat.org/title/migrant-crisis-european-perspectives-and-national-discourses/oclc/953843642>, 2017, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

BBC News, Migrant Crisis: Croatia closes border crossings with Serbia,

<https://www.bbc.com/news/world-europe-34286432>, 18/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Beauchamp Z., The Syrian refugee crisis, explained in one map,

<https://www.vox.com/2015/9/27/9394959/syria-refugee-map>, 27/09/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

Bröcker, Michael; Quadbeck, Eva, Interview mit Bundeskanzlerin Angela Merkel: “Grundrecht auf Asyl kennt keine Obergrenze”, Rheinische Post, [https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze\\_aid-9533771](https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze_aid-9533771)[https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze\\_aid-9533771](https://rp-online.de/politik/deutschland/angela-merkel-das-grundrecht-auf-asyl-kennt-keine-obergrenze_aid-9533771), 11/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Chicago Tribune, The Latest: Slovenian police pepper spray migrants at border, Associated Press, <https://www.chicagotribune.com/nation-world/sns-bc-eu--europe-migrants-the-latest-20150918-story.html>, 18/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Deutsche Welle, Deutschland will Grenzen dicht machen, <https://www.dw.com/de/deutschland-will-grenzen-dicht-machen/a-18712045>, 13/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Deutsche Welle, Germany: Armin Laschet halts Moria refugee camp visit amid security alert, <https://www.dw.com/en/germany-armin-laschet-halts-moria-refugee-camp-visit-amid-security-alert/a-54436541>, 04/08/2020, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

Die Welt, BWHK-Präsident will Mindestlohn für Flüchtlinge aufwrichen, <https://www.welt.de/regionales/baden-wuerttemberg/article145573021/BWIHK-Praesident-will-Mindestlohn-fuer-Fluechtlinge-aufweichen.html>, 24/08/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

Eddy, Melissa; Bilefsky, Dan; Austria, Slovakia and the Netherlands Introduce Border Controls, The New York Times, <https://www.nytimes.com/2015/09/15/world/europe/europe-migrants-germany.html>, 14/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Euronews, Slovenia gives army more power amid migrant crisis,  
<https://www.euronews.com/2015/10/21/slovenia-gives-army-more-power-amid-migrant-crisis>,  
21/10/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

European Commission, Internal Market, Industry, Entrepreneurship and SMEs,  
[http://ec.europa.eu/growth/single-market/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/single-market/index_en.htm), ბოლო ნახვა: 26/08/2021;

Eurostat, Asylum and first time asylum applicants by citizenship, age and sex Monthly data,  
[http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=migr\\_asyappctzm](http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=migr_asyappctzm), ბოლო ნახვა:  
05/09/2021;

Eurostat, Record number of over 1.2 million first time as asylum seekers registered in 2015,  
<https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/7203832/3-04032016-AP-EN.pdf/790eba01-381c-4163-bcd2-a54959b99ed6>, 04/03/2016, 1.2 million first time asylum seekers registered in 2016,  
<https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/7921609/3-16032017-BP-EN.pdf/e5fa98bb-5d9d-4297-9168-d07c67d1c9e1>, 16/03/2017, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

Federal Emergency Management Agency, Glossary, <https://www.fema.gov/about/glossary>, ბოლო  
ნახვა: 26/08/2021;

Frontex, Annual Risk Analysis 2015,  
[https://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk\\_Analysis/Annual\\_Risk\\_Analysis\\_2015.pdf#page=21](https://frontex.europa.eu/assets/Publications/Risk_Analysis/Annual_Risk_Analysis_2015.pdf#page=21), გვ. 19, 22, 24, 27/04/2015, ბოლო ნახვა 05/09/2021;

Henry Ridgwell, Will Afghanistan Create Another Migrant Crisis for Europe?, Voice of America,  
<https://www.voanews.com/south-central-asia/will-afghanistan-create-another-migrant-crisis-europe>, 23/08/2021, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

Human Rights Watch, The Mediterranean Migration Crisis,  
<https://www.hrw.org/report/2015/06/19/mediterranean-migration-crisis/why-people-flee-what-eu-should-do>, 19/06/2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;

International Rescue Committee (IRC), Afghanistan: What you need to know about one of the world's longest refugee crisis, <https://www.rescue.org/country/afghanistan>, 08/09/2016, ბოლო  
ნახვა: 05/09/2021;

IOM, Irregular Migrant, Refugee Arrivals in Europe Top One Million in 2015: IOM,  
<https://www.iom.int/news/irregular-migrant-refugee-arrivals-europe-top-one-million-2015-iom>,  
22/12/2015, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

Judy, Dempsey, Understanding Central Europe’s Opposition to Refugees, Carnegie Europe, <https://carnegieeurope.eu/strategieurope/61404>, 25/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Kingsley, Patrick, Graham-Harrison, Emma, UN warns European unity at risk as borders close to refugees, The Guardian, <https://www.theguardian.com/world/2015/sep/19/refugees-croatia-hungary-borders-europe>, 19/09/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Levin, Jonathan; Milgrom, Paul, Introduction to choice theory, <https://web.stanford.edu/~jdlevin/Econ%20202/Choice%20Theory.pdf>, 2004, ბოლო ნახვა: 07/09/2021;

Lyman, Rick, Hungary to Close its Border With Croatia in Migrant Crackdown, The New York Times, <https://www.nytimes.com/2015/10/17/world/europe/hungary-croatia-refugees-migrants.html>, 16/10/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Privitera, Alexander, Is Europe Facing a New Migrant Crisis?, BRINK News, <https://www.brinknews.com/is-europe-facing-a-new-migrant-crisis/>, 30/09/2021, ბოლო ნახვა: 09/07/2021;

Prvi interaktivni multimedijski portal MMC RTV Slovenija, Slovenian troops start erecting border fence, <https://www.rtv slo.si/news-in-english/slovenia-putting-up-fence-along-border-with-croatia-to-control-migrant-flow/378397>, 11/11/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

RadioFreeEurope/RadioLiberty, EU Warns Against New “Walls” As Hungary Plans Fence on Serbia Border, <https://www.rferl.org/a/european-commission-hungary-serbia-wall-fence-illegal-migrants/27079829.html>, 18/07/2015, ბოლო ნახვა: 06/09/2021;

Tan, Kim Hua; Perudin, Alirupendi, The “Geopolitical” Factor in the Syrian Civil War: A Corpus-Based Thematic Analysis, <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/2158244019856729>, 12/07/2019, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

The Guardian; It’s not at war, but up to 3 % of it’s people have fled. What’s going on in Eritrea?, <https://www.theguardian.com/world/2015/jul/22/eritrea-migrants-child-soldier-fled-what-is-going>, 22/07/2015, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

The World Bank, GDP growth (annual %), World Bank Open Data, <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

Wilson, Mark, Nigeria’s Boko Haram attacks in numbers – as lethal as ever, <https://www.bbc.com/news/world-africa-42735414>, 25/01/2018, ბოლო ნახვა: 05/09/2021;

Zaragoza-Cristiani J., Analysing the Causes of the Refugee Crisis and the Key Role of Turkey: Why now and Why so many?, European University Institute: Robert Schumann Centre for Advanced Studies, [https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/38226/RSCAS\\_2015\\_95.pdf?sequence=1](https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/38226/RSCAS_2015_95.pdf?sequence=1), 2015, ბოლო ნახვა: 26/08/2021;



**ყირგიზეთის 2020 წლის რევოლუციის მიზეზები და შედეგები**

**ნინო ხარაბაძე**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: [nino.kharabadze001@sps.tsu.edu.ge](mailto:nino.kharabadze001@sps.tsu.edu.ge)

## აბსტრაქტი

მსოფლიო პოლიტიკის აქცენტი დღევანდელობაში გადასულია უკრაინის ომზე, დასავლეთის ეკონომიკურ პრობლემებსა და სხვა გლობალურ თემებზე. სამუხაროდ სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემა საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება. საქართველოსთვის, როგორც ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის მეტად საინტერესოა სხვა ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული ყირგიზეთის 2020 წლის რევოლუციაზე, მის მსვლელობასა და შედეგებზე, ასევე, მიმოხილული იქნება წინარე პოლიტიკური ნიადაგი და რევოლუციები. ეს თემა საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალური და რელევანტურია, რადგან ორივეს გვაქვს წარსულში კავშირი რუსეთთან და საბჭოთა კავშირთან, ორივე კვლავ განვიცდით ამ სახელმწიფოს ზეგავლენას პოლიტიკაზე და არსებობს ბევრი მსგავსება. ამიტომ აუცილებელია ყირგიზეთში მიმდინარე მოვლენების შესწავლა-გაანალიზება პარალელების გასავლელად და მსგავსი შეცდომების თავიდან ასარიდებლად.

კვლევის მიზანია ყირგიზეთში არსებული არეულობის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულად შესწავლა და გაანალიზება. ასევე, ერთ სტატიაში აისახოს სამივე რევოლუციის დანყების მიზეზები, მათი საერთო პატერნები და შედეგები. ნაშრომი ნათელ წარმოდგენას შექმნის ყირგიზეთში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მკითხველს საშუალებას მისცემს მარტივად გაერკვეს იმ რთულ სისტემაში, რომელიც დღეს ყირგიზეთშია ჩამოყალიბებული.

ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენს- რა მიზეზებმა გამოიწვია ყირგიზეთის 2020 წლის რევოლუცია და რა მსგავსებები არსებობს წინა რევოლუციების წამოწყების მიზეზებთან?

**საკვანძო სიტყვები-** ყირგიზეთი, რევოლუცია, რუსეთი, ტიტების რევოლუცია, საპარლამენტო არჩევნები, არჩევნები, მმართველი ელიტა.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას უმეტესად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. შესწავლილია სხვადასხვა სტატია, საინფორმაციო გამოშვება და ნაშრომი თემის გარშემო. უმეტესად გამოყენებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ასევე, რუსული და ყირგიზული. რიგ შემთხვევაში აუცილებელი გახდა ყირგიზულ მედიასთან გაცნობა ზუსტი ინფორმაციის მოსაპოვებლად. სტატიის პირველ ნაწილში განხილულია 2020 წლამდე არსებული პოლიტიკური სიტუაცია, მეორე ნაწილში კი უშუალოდ 2020 წლის რევოლუციის დანყების მიზეზები, მისი მსვლელობა და შედეგები.

## შესავალი

1991 წელს ყირგიზეთის საბჭოთა რესპუბლიკამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდა ყირგიზეთის რესპუბლიკა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყირგიზეთში საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობაა, დღემდე აქ სამი რევოლუცია მოხდა 2005 წელს ტიტების რევოლუცია, 2010 წლის რევოლუცია და 2020 წლის რევოლუცია (ძამუკაშვილი & გლურჯიძე, 2020).

2020 წლის 4 ოქტომბერს ყირგიზეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. მისი შედეგებით მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილო დარჩა და შესაბამისად დაიწყო მასშტაბური საპროტესტო აქციების მოწყობა. ამის მიზეზი გახდა, ის რომ 7%-იანი საარჩევრო ბარიერის გადალახვა თექვსმეტი პოლიტიკური პარტიიდან, მხოლოდ ოთხმა პარტიამ მოახერხა. მანდატების უმეტესობა ორ პარტიას შორის გადანაწილდა, რომელთაგანაც ერთ-ერთი პრეზიდენტი ჟენენბეკოვის პარტია, „ერთობა“, ხოლო მეორე „ჩემი პარტია ყირგიზეთი“ იყო, რომლის რეალური მმართველიც მატრიამოვების ოჯახია, (ბიზნესმენების ოჯახი, რომლებსაც ჩინეთიდან ყირგიზეთში საქონელი შემოაქვთ).

შედეგად ხალხმა დაიწყო მასიური პროტესტი, მომიტინგეებმა აიღეს სამთავრობო შენობები და პატიმრობიდან გაათავისუფლეს ყოფილი პოლიტიკოსები. საპასუხოდ ჩატარებული არჩევნების შედეგები ანულირდა, ასევე, იმდროინდელი პრეზიდენტი სოორონბაი ჟენენბეკოვი თანამდებობიდან გადადგა (თვაური & ხუციშვილი, 2020). ქვეყნის პრემიერად აირჩიეს ყოფილი პარლამენტარი და დემონსტრანტების მიერ პატიმრობიდან განთავისუფლებული სადირ უაპაროვი, რომელიც ახლა ქვეყნის პრეზიდენტია (BBC News, 2021).

## პოლიტიკური სიტუაცია 2020 წლის რევოლუციამდე

იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ ყირგიზეთში მიმდინარე პროცესები აუცილებელია ცოტა რამ მის პოლიტიკურ წარსულზე ვიცოდეთ. ამისათვის აუცილებელია, ვიცოდეთ წინა ორი რევოლუციის წამოწყების მიზეზები, რომლებიც ძალიან ჰგავს თანამედროვე სიტუაციას.

პირველ რიგში განვიხილოთ 2005 წლის ე.წ „ტიტების რევოლუცია“. ეს იყო მოსახლეობის პასუხი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. მმართველი ელიტა კორუმპირებული იყო, მხოლოდ ძალის და ფინანსების დაგროვებაზე იყო გადართული და მოსახლეობას მეორეხარისხოდ აყენებდა. ეს იყო პასუხი ყირგიზეთის პირველი პრეზიდენტის ასკარ აკაიევის 15 წლიან მმართველობაზე. 2005 წლის „ტიტების რევოლუცია“ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო,

რომელშიც წარმატებას მხოლოდ ოპოზიციასთან დაახლოებულმა პარტიებმა მიაღწიეს. პრეზიდენტის მცდელობები, რომ დაემოქმინებინა დემონსტრანტები, წარუმატებლად დასრულდა და აკაიევი იძულებული გახდა გაქცეულიყო ჯერ მეზობელ ყაზახეთში, შემდეგ – რუსეთში და ოფიციალურადაც გადამდგარიყო პოსტიდან (ძამუკაშვილი & გლურჯიძე, 2020).

მოვლენების შემდგომ დანიშნულ არჩევნებში გაიმარჯვა აკაიევის ოპონენტმა კურმანბეკ ბაკიევმა. მართალია, იგი მოსახლეობას ქვეყანაში სიტუაციის შეცვლას დაჰპირდა, მაგრამ, ცხადია, ეს დაპირებები მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩა და მალევე ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა წინა მთავრობისას დაემსგავსა. სიტუაცია განსაკუთრებით გამძაფრდა 2009-2010 წლებში, როდესაც ქვეყანა მასიურ ენერგო-ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ყრგიზეთის მთავრობამ მოლაპარაკებები აწარმოა ჩინეთთან და 342 მილიონ დოლარიანი კონტრაქტიც გააფორმა (Marat, 2010). შესაბამისად 2010 წლის თებერვალში მთავრობამ მოსახლეობას შესთავაზა ენერგო ტარიფების გაზრდა, ბუნებრივი გაზის ხარჯების-400%-ით, ხოლო ელექტროენერჯის-170%-ით (Asman, 2010). ეს იყო ნაპერწკალი ისედაც გაღიზიანებული და გადაღლილი ყირგიზი მოსახლეობისათვის.

2010 წლის 6 აპრილს დაიწყო საპროტესტო აქციები, რომლებიც რევოლუციაში გადაიზარდა. 7 აპრილს ბაკიევმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო პრეზიდენტი ბაკიევი გადადგა და გაემართა ჯერ ყაზახეთში და შემდგომ – ბელარუსში (Golovnina, 2010).

ამ ყველაფერს დაემატა 2010 წლის 10-11 ივნისს ეთნიკური დაპირისპირება ქალაქ ოიშში, სამხრეთ ყირგიზეთში. კონფლიქტი მალევე გავრცელდა სხვა რეგიონებშიც. დაშავდა ათასზე მეტი ადამიანი, ხოლო 100000-მდე ადამიანი იძულებით გადაადგილდა. ეს დაპირისპირება მიმდინარეობდა ყაზახებსა და აქ მცხოვრებ ეთნიკურ უზბეკებს შორის (Nichol, 2010).

2010 წლის რევოლუციის შემდეგ ახალი მთავრობა შეეცადა შეექმნა მეტად დემოკრატიული გარემო სახელმწიფოში და „ცლუნებებისაგან“ თავი შორს დაეჭირა. მან აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის შესამცირებლად მიიღო ახალი კონსტიტუცია, რათა ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიას პარლამენტში ჰქონოდა წარმომადგენლობის თანაბარი შესაძლებლობა. ქვეყნის უმთავრეს პრობლემად კვლავ კორუფცია და ელიტების გადაჭარბებული უფლებამოსილება დარჩა. მიუხედავად ელიტებს შორის ძალთა გადანაწილების შენარჩუნების მცდელობებისა, აღმაზბეკ ათამბაიევმა, რომელიც სათავეში 2010 წლის რევოლუციის შემდეგ

მოვიდა, მაინც მოახერხა საკუთარი გავლენის გაზრდა. თუმცა მისი გეგმები ჩაიშალა და პრეზიდენტი საბოლოოდ პატიმრობაში აღმოჩნდა კორუფციისა და მკვლელობისათვის (Reuters, 2019).

### 2020 წლის რევოლუციის მიზეზები

2020 წლის რევოლუციის წამოწყებას რამდენიმე მთავარი მიზეზი ჰქონდა. ათამბავეის შემდეგ 2017 წლის 15 ოქტომბერს პრეზიდენტი ჟენბეკოვი გახდა, პრორუსული მიმართულების მომხრე. იგი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ არ გაიმეორებდა წინა მთავრობის შეცდომებს (Radio Free Europe, 2017). ამ ყველაფრის მიუხედავად ისიც არ აღმოჩნდა წინა ხელისუფლებებზე უკეთესი და მომსწრენი გავხდით ყირგიზეთის მესამე რევოლუციისა.

პირველ რიგში დაპირებების მიუხედავად ჟენბეკოვი არ ცდილობდა არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამოსწორებას. სახელმწიფოში კვლავ ყვაოდა კორუფცია, ხშირი იყო მოსყიდვები, დაშინება, შანტაჟი, მდიდარი ბიზნესმენების და კლანური მმართველობა. მოსახლეობამ დაკარგა იმედი და პოლიტიკური ფიგურების პატივისცემა.

აღსაღნიშნავია, რევოლუციამდე ერთი წლით ადრე ჩატარებული გამოძიება, რომელშიც ბრალი ედებოდა საბაჟოს უფროსის ყოფილ მოადგილეს, რაიმბეკ მატრიამოვს, 700 მილიონ დოლარზე მეტის მითვისებაში. გამოძიების მთავარი ინფორმატორი მოკლეს ინფორმაციის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე. გამოძიების პირველადი დეტალების გამოქვეყნებამ ქვეყანაში გამოიწვია ანტიკორუფციული საპროტესტო აქციები (Putz, Kyrgyzstan: A Year Since October 2020, 2021).

რევოლუციამდე ეკონომიკაც საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო. იგი კვლავ დაუსველი იყო გარე შოკებისაგან, რადგან ყირგიზეთის ეკონომიკა დამოკიდებულია ფულად გზავნილებსა (მშპ-ს 27%) და ოქროს ექსპორტზე (მშპ-ს 9%). ასეთი სიტუაცია მას ძალიან მოწყვლადს ხდის ნებისმიერი ცვლილების მიმართ. ცხადია, 2020 წელს კოვიდ პანდემიის გამო არსებული ლოქდაუნი საკმაოდ დრამატულად აისახა მის ეკონომიკაზე. შემცირდა შიდაშეღრნობა და ბიზნეს შემოსავალი. რეალური მშპ 8,6 %-ით შემცირდა, თორმეტთვიანი ინფლაცია 9,7 პროცენტამდე გაიზარდა, შემცირდა იმპორტი, ექსპორტის შენარჩუნება მხოლოდ ოქროს ექსპორტით მოხერხდა (The World Bank, 2020). ცხადია, ასეთი, ეკონომიკური მდგომარეობა ხალხში ნელ-ნელა აღვიძებდა უკმაყოფილებას და ბრძლს.

ამ ყველაფრის მიუხედავად რევოლუციის მაპროვოცირებელი მაინც 2020 წლის 4 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები გახდა, სადაც პირველი სამი ადგილი პროსახელისუფლებო პარტიებმა, „ერთობამ“, „სამშობლო ყირგიზეთმა“ და „ჩემი პარტია ყირგიზეთმა“ დაიკავა. პარლამენტში არსებული 120 მანდატიდან მათ 107 დაიკავეს.

„სამშობლო ყირგიზეთი“ და „ერთობა“ ახალ პარტიებს წარმოადგენდა, მაგრამ აქედან ბევრი უყენბეკოვის მხარდამჭერი და მისი პარტიის ყოფილი წევრები იყვნენ, შესაბამისად ეს ხალხი უცხო არ იყო საზოგადოებისათვის (European Parliament, 2020). არ უნდა დავივინყოთ, რომ „ჩემი პარტია ყირგიზეთის“ უკან მატრიაიმოვების ოჯახი იდგა, რაც ზემოთ აღნიშნული პროტესტის შემდეგ ძალიან დიდ უკმაყოფილებასა და აგრესიას იწვევდა მოსახლეობაში. არჩევნების მსვლელობისას რამდენიმე პარტია ხმების მოსყიდვაშიც დაადანაშაულეს. ასევე, ურნალისტებმა აღნიშნეს, რომ მათ ავიწროებდნენ, თავს ესხმოდნენ და არჩევნების პროცესის გაშუქებაში ხელს უშლიდნენ (Furlong, 2020).

პროტესტის საფუძველს დაემატა განხეთქილება შედარებით მდიდარ „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთს“ შორის. არჩევნების შედეგად პარლამენტის უმეტესი მანდატი სამხრეთელებმა, უყენბეკოვის მომხრეებმა, მოიპოვეს, რამაც დიდი აგრესია გამოიწვია ჩრდილოელებში. სწორედ ამიტომ პროტესტი არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ, ჩრდილოეთის პროვინციებშიც: ტალასში, ნარინში და კარაკოლშიც (Helf, 2020) დაიწყო.

### **რევოლუციის მსვლელობა**

პროტესტი დაიწყო 2020 წლის 5 ოქტომბერს. ხალხი აპროტესტებდა ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობასა და მის შედეგებს. თავისი მოსაზრების დასაცავად ქუჩაში გამოვიდა 5000-ზე მეტი ადამიანი. მმართველი პარტია პროტესტის შეჩერებას ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით შეეცადა, მაგრამ ეს ხალხი თავდაცვის მიზნით თავდასხმაზე გადავიდა პოლიციელების მიმართ, დაიწყეს ქვების სროდა და მათი დაშავება. ქუჩებში იარაღის გასროლის ხმაც ისმოდა (Reuters, 2020). მალევე პროტესტის მონაწილეებმა მოახერხეს ყირგიზეთის სახელისუფლებო აპარატის კონტროლირება და დაიკავეს სხვადასხვა სახელმწიფო შენობა და ციხიდან გაათავისუფლეს ყოფილი პრეზიდენტი ათამბაიევი (CNN, 2020).

პროტესტის დროს ასევე გაათავისუფლეს, საღირ უაპაროვი, რომელსაც 2013 წელს 11.5 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, საჯარო მოხელის ოქროს საბადოსთან დაკავშირებული საპროტესტო

მსვლელობიდან გატაცებისთვის. დღეს უაპაროვი ყირგიზეთის პრეზიდენტია. ყოფილი დამნაშავეს ამ პოსტზე დანიშვნა ისევ არაფორმალურ გავლენიან ჯგუფებს უკავშირდება. იგი ასევე მხარს უჭერდა ყოფილ პრეზიდენტს კურმანბეკ ბაკიევს, რომელიც 2010 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოაგდეს (ძამუკაშვილი & გლურჯიძე, 2020).

6 ოქტომბერს ყირგიზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააუქმა, ხელახალი არჩევნები 1 თვეში დაინიშნა. აღსაღნიშნავია ისიც, რომ 15 ოქტომბერს პრეზიდენტი ყვენბეკოვი გადადგა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი სადირ უაპაროვი გახდა (ჩოხელი, 2020).

### **რევოლუციის შედეგები**

2020 წლის 22 ოქტომბერს უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის მიხედვით საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 2021 წლის 1 ივნისი გამოცხადდა.

ეს თარიღი 2021 წლის იანვარში შეიცვალა, როდესაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემის რეფერენდუმის არჩევნები ჩატარდა და სადირ უაპაროვი უმრავლესობის ხმით გახდა პრეზიდენტი. მისი მოსაზრებით, კონსტიტუციური რეფერენდუმის ჩატარება საჭირო იყო ქვეყანაში საპრეზიდენტო სისტემის დასაბრუნებლად (BBC News, 2021).

უაპაროვმა კაბინეტის დამტკიცების შემდეგ განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები ივნისის ნაცვლად, 2021 წლის შემოდგომაზე ჩატარდებოდა. ცხადია, ამ პოლიტიკურმა ცვლილებებმა ყირგიზეთის დემოკრატიული რეიტინგი დაწია, რადგან აქტივისტებისა და აკადემიკოსების მიერ გამოთქმული კრიტიკა ავტორიტეტების მიმართ ქვეყნის ღალატად მიიჩნის, ბევრი მათგანი დაიჭირეს, დააპატიმრეს ან გადმოიბირეს (Putz, Kyrgyzstan Tumbles in Freedom of the World Ranking, 2021).

კონსტიტუციის ახალი ვერსია 2021 წლის თებერვალში გამოიცა, რის საფუძველზეც აპრილში ჩატარდა ახალი რეფერენდუმი და ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა კიდევ. მისი ძალაში შესვლის შემდეგ უმაღლეს საბჭოში მანდატების რაოდენობა 120-დან 90-მდე შემცირდა. პრეზიდენტს გაეზარდა უფლებამოსილება და მასთან ერთად მეტი უფლებები მიენიჭათ მოსამართლეებსა და სამართალდამცავი უწყების ხელმძღვანელებს (Eurasianet, 2021). საერთაშორისო საზოგადოების მოსაზრებით სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები კითხვის ნიშნში ქვეშ აყენებს ყირგიზეთში სიტყვის თავისუფლებას და სხვა დემოკრატიულ უფლებებს (Human Rights Watch, 2021).

დღეს საბჭოში 90 მანდატია, რომლიდანაც 54 პროპორციული წესით (პოლიტიკური პარტიების კანდიდატურის სიები), ხოლო დანარჩენი 36 მაჟორიტარული პრინციპით (დამოუკიდებელი კანდიდატები) ირჩევა. დანის საარჩევნო ბარიერიც, მანდატების მოსაპოვებლად პარტიებმა უნდა გადალახონ 5%-იანი საარჩევნო ბარიერი და აუცილებელია მინიმუმ მოსახლეობის ხმების რაოდენობის 0.7%-ის მიღება შვიდივე რეგიონში. არც ერთ პარტიას არ აქვს უფლება დაიკავოს 65 მანდატზე მეტი (Radio Liberty, 2021).

### ვადამდელი არჩევნების შედეგები

ზემოთ აღნიშნული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 2021 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა. არჩევნებში მონაწილეობას ჯამში 21 პარტია იღებდა. აღსანიშნავია, რომ ამ არჩევნებზე მოსახლეობის ძალიან დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. მოსახლეობის მხოლოდ 32,2% გამოცხადდა, რაც რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია, 2020 წლის არჩევნებზე აქტივობა 58,89%-ს შეადგენდა.

ხმების უმრავლესობა სამ პროსახელისუფლებო პარტიას შორის გადანაწილდა: ატა-ჟურტ ყირგიზეთი (სამშობლო ყირგიზეთი) (16,6%-15 მანდატი), იშენიმი (რწმენა)(13,3%-12 მანდატი), ინტიმეკი (ჰარმონია)(10,59%-9 მანდატი). მეექვსე და ბოლო პარტია, რომელმაც მოახერხა პარლამენტში შესვლა, ასევე, ხელისუფლების მომხრე პარტიაა- იმან ნურუ (რწმენის სხივი), იგი რელიგიური პარტიაა, მან მოიპოვა ხმების 5,2%-5 მანდატი. ამ შედეგების თანამხად სადირ ჟაპაროვს პარლამენტის სრული მხარდაჭერა ექნება (Pannier, 2021). რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს პარლამენტში 7 მანდატით წარმოდგენილი იქნება „ალიანსი“, 6 მანდატით „ბუთუნ ყირგიზეთი“ (RFE/RL, 2021).

არჩევნების შედეგების გამოცხადებისას რიგი გაურკვევლობები შეიქმნა. 8 საათზე, როდესაც ხმის მიცემა შეწყდა, შედეგები ყირგიზეთს მრავალპარტიულ პარლამენტს ჰპირდებოდა. ბიშკეკის “El Umutu”-ს შტაბ-ბინაში ახალგაზრდული პარტიის წევრები ერთმანეთს ულოცავდნენ გამარჯვებასა და პარლამენტში ხმათა 8% -ით შესვლას. ასევე, ზეიმობდა ატა მეკენი (ყირგიზეთის საკმაოდ ძლიერი ოპოზიციური პარტია, მის ლიდერს ტეკებაევს საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ყავს) და სოციალ დემოკრატებიც. თუმცა, ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ ყველა პარტიის მიერ პროცენტულად მიღებული ხმების ჯამი 150% იყო. დაახლოებით, 9 საათზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გამოიკვეთა ხარვეზები. თავდაპირველად საარჩევნო შედეგები საერთოდ გაქრა, რამდენიმე წუთში კი ისევ გამოჩნდა, მაგრამ სრულიად სხვა ციფრებში. ამ შედეგების მიხედვით 5%-

იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა ატა მეკენმა, აზატიკმა(თავისუფლება), სოციალ დემოკრატებმა და ულუტარ ბირიმდიგმა (ერთი ერი) (Imanaliyeva & Leonard, 2021).

მსგავსი შემთხვევა ოპოზიციისა და მოსახლეობის თვალში მრავალ ეჭვს აჩენს, ცხადია უკმაყოფილონი არიან ასეთი ხელისუფლების მომხრე პარლამენტის დაკომპლექტებით და ატა მეკენის ლიდერი, ტეკებაევი მოითხოვს ამ არჩევნების ანულირებას და თავიდან ჩატარებას, რადგან მიიჩნევს, რომ ხმები გაყალბებულია და ხელოვნურად გაზრდილი (Putz, Mob Accosts Kyrgyz Opposition Politician Tekebayev, 2021). მისი თქმით თავად ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 8-10% ხმას უჭერდა, მაგრამ არჩევნებზე მხოლოდ 3,42% მოიპოვა. ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის საიტის ხელახლა ჩატვირთვამდე მათ 71,000 ხმა ჰქონდათ, განახლების შემდეგ კი 41,000, იგი მიიჩნევს, რომ ეს ხმები მოჰპარეს. იგივე დაემართა ულუტარ ბირიმდიგის (ერთი ერი) პარტიას (Pannier, 2021).

ამასთანავე არჩევნების დღეს იყო ვარაუდი, რომ პოლიტიკოსები ხალხის მოსყიდვას ცდილობდნენ, უხდიდნენ მათ ფულს და მიკრო ავტობუსებით ჩამოჰყავდათ საარჩევნო ლოკაციებზე. დაფიქსირდა, რომ ზოგი ამომრჩეველი თავის შევსებულ ბიულეტენს ფოტოს უღებდა, თავისი არჩევნის დასამტკიცებლად (Pannier, 2021).

### დასკვნა

საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყირგიზეთის შიდაპოლიტიკა ძალიან კომპლექსური ფენომენია. ესაა ქვეყანა, რომელმაც 30 წლის მანძილზე სამი რევოლუცია გადაიტანა და ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სასურველს. კორუფცია, ავტორიტარიზმი, მოსყიდვა, ეკონომიკური და ენერგო პრობლემები კვლავ დგას დღისწესრიგში.

ცხადად იკვეთება მსგავსებები რევოლუციების წამოწყების მიზეზებში, როგორც 2005 წელს, ახლაც რევოლუციის მაპროვოცირებელი საპარლამენტო არჩევნები გახდა. სახელმწიფოს მთავარი პრობლემა უცვლელი პოლიტიკური ელიტაა, ცხადია უამრავი ახალი პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა და შეიქმნა, მაგრამ პოლიტიკური ლიდერები იგივე ადამიანები არიან, მათი იდეოლოგია, პრიორიტეტები და მიზნები უცვლელია, შესაბამისად უცვლელი რჩება სახელმწიფოს შიდა მდგომარეობაც. იმავე პრობლემას ვაწყდებით საქართველოშიც, პოლიტიკური ელიტის უცვლელობა.

ასევე, დიდ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის შიში და უიმედობა. ხალხს დაკარგული აქვს სახელმწიფოს იმედი, 32%-იანი აქტიურობაც სწორედ ამაზე მიუთითებს. ეს ნათლად გამოხატავს

ხალხის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომ თავად სახელმწიფოს არ ენდობიან. სამი რევოლუციის შედეგად მათ რეალური წინ სვლა ვერ დაინახეს, კვლავ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ (მშპ ერთ სულ მოსახლეზე 1173\$), მოსახლეობის 25.3% გაჭირვების ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (Poverty Data: Kyrgyz Republic, 2020). პოლიტიკური სიტუაციის გამო მოსახლეობა გადაღლილია და იმედგაცრუებული, ყოველი რევოლუცია უშედეგოდ სრულდება, შესაბამისად ბრძოლის სურვილი ქრება და მოსახლეობა ეგუება არსებულ სიტუაციას.

სიტყვის თავისუფლება კვლავ შეზღუდულია. კვლავ გრძელდება ურნალისტების შევიწროება სამართალდამცავი ორგანოების მიერ და ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკული გაშუქებისთვის სისხლის სამართლის სანქციებითაც ემუქრებიან. პოლიციამ მინიმუმ ოთხი ურნალისტი დააკავა, რომლებიც აპრილის საკონსტიტუციო რეფერენდუმს ოშსა და ბიშკეკში აშუქებდნენ. ასევე, 23 აგვისტოს ხელი მოეწერა ბუნდოვან და ზედმეტად ფართო კანონპროექტს „ცრუ ინფორმაციისგან“ დაცვის შესახებ, რომელიც უფლებას აძლევს ხელისუფლებას, სასამართლო ზედამხედველობის გარეშე, მოსახლეობას ავტორს ინტერნეტ პლატფორმებიდან ამოიღონ ინფორმაცია, რომელიც არასასურველად ჩაითვლება (Human Rights Watch, 2021).

დაუცველია ქალთა უფლებებიც, იმის მიუხედავად, რომ კანონში წერია ოჯახურ ძალადობასთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მათი აღსრულება არც ისე წარმატებით მიმდინარეობს. პოლიციისა და სასამართლოს მიმართ უნდობლობის გამო მსგავსი შემთხვევების უმეტესობა შეუტყობინებელი რჩება.

შესაბამისად ნათელია, რომ ქვეყანაში არც ეკონომიკური წინსვლა შეინიშნება და არც საზოგადოების დაცვის მხრივ იცვლება რამე. იმის მიუხედავად, რომ რევოლუციის შედეგად შეიცვალა პრეზიდენტი, დაინიშნა საარჩევნო ზღვარმა, ამ რევოლუციის შედეგებზე საუბარი ჯერ კიდევ ადრეა, რადგან ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა, ვნახოთ სადირ უაპაროვი უკეთესობისაკენ შეცვლის ქვეყანას, თუ კიდევ ერთი რევოლუციისკენ უბიძგებს მას.

## ბიბლიოგრაფია

- ჩოხელი, ქ. (2020, ოქტომბერი 15). *ყირგიზეთის პრეზიდენტი სორონბაი ჟეენბეკოვი გადადგა*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://1tv.ge/news/yirgizetis-prezidenti-sooronbai-djeenbekovi-gadadga/>
- თვაური, თ., & ხუციშვილი, ქ. (2020, ოქტომბერი 14). *მესამე რევოლუცია თუ კლანური დაპირისპირება? - რა ხდება ყირგიზეთში*. Retrieved დეკემბერი 15, 2021, from <https://tabula.ge/ge/news/654912-mesame-revolutsia-tu-klanuri-dapirispireba-ra>
- ПРЕЗИДЕНТ КЫРГЫЗСКОЙ РЕСПУБЛИКИ. (2020, ოქტომბერი 15). *Президент Сооронбай Жээнбеков: Для меня мир в Кыргызстане, целостность страны, единство нашего народа и спокойствие в обществе превыше всего. Нет ничего дороже для меня жизни каждого моего соотечественника*. Retrieved დეკემბერი 15, 2021, from [http://www.president.kg/ru/sobytiya/18036\\_prezident\\_sooronbay\\_gheenbekov\\_dlya\\_menya\\_mi\\_r\\_vkirgizstane\\_celostnost\\_strani\\_edinstvo\\_nashego\\_naroda\\_ispokoystvie\\_vobshestve\\_previshe\\_vsego\\_\\_net\\_nichego\\_doroghe\\_dlya\\_menya\\_ghizni\\_kaghdogo\\_moego\\_sootechestvennika](http://www.president.kg/ru/sobytiya/18036_prezident_sooronbay_gheenbekov_dlya_menya_mi_r_vkirgizstane_celostnost_strani_edinstvo_nashego_naroda_ispokoystvie_vobshestve_previshe_vsego__net_nichego_doroghe_dlya_menya_ghizni_kaghdogo_moego_sootechestvennika)
- ძამუკაშვილი, ს., & გლურჯიძე, ე. (2020, ოქტომბერი 30). *ყირგიზეთი პოლიტიკურ მორევში: როცა ორი რევოლუცია არ არის „საკმარისი“*. Retrieved დეკემბერი 15, 2021, from რონდელის ფონდი: <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1111>
- Asman, L. (2010, თებერვალი 8). *Kyrgyzstan: Utility Price Hike Squeezes Citizens*. Retrieved დეკემბერი 15, 2021, from Eurasianet: <https://eurasianet.org/kyrgyzstan-utility-price-hike-squeezes-citizens>
- BBC News. (2021, იანვარი 11). *Kyrgyzstan election: Sadyr Japarov wins presidency with landslide*. Retrieved დეკემბერი 15, 2021, from <https://www.bbc.com/news/world-asia-55613552>
- CNN. (2020, ოქტომბერი 6). *Opposition in Kyrgyzstan claims power after storming government buildings*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://edition.cnn.com/2020/10/06/asia/post-election-protests-kyrgyzstan-hnk-intl/index.html>
- Eurasianet. (2021, მაისი 5). *Kyrgyzstan: President signs new constitution into law*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://eurasianet.org/kyrgyzstan-president-signs-new-constitution-into-law>
- European Parliament. (2020). *Another revolution in Kyrgyzstan?* Retrieved დეკემბერი 16, 2021, from [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2020/659300/EPRS\\_ATA\(2020\)659300\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2020/659300/EPRS_ATA(2020)659300_EN.pdf)

- Furlong, R. (2020, ოქტომბერი 4). *Videos Show Apparent Vote-Buying In Kyrgyz Elections*. Retrieved დეკემბერი 16, 2021, from <https://www.rferl.org/a/videos-show-apparent-vote-buying-in-kyrgyz-elections-/30874657.html>
- Golovnina, M. (2010, აპრილი 16). *Kyrgyz president formally resigns after turmoil*. Retrieved დეკემბერი 15, 2021, from Reuters: <https://www.reuters.com/article/us-kyrgyzstan-unrest-idUSTRE6363CR20100416>
- Helf, G. (2020, ოქტომბერი 8). *In Kyrgyzstan, It's Easier to Start a Revolution than to Finish It*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://www.usip.org/publications/2020/10/kyrgyzstan-its-easier-start-revolution-finish-it>
- Human Rights Watch. (2021). *Kyrgyzstan Events of 2021*. Retrieved from <https://www.hrw.org/world-report/2022/country-chapters/kyrgyzstan>
- Human Rights Watch. (2021, მაისი 3). *Kyrgyzstan: Proposed Legal Changes Threaten Political Dissent*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://www.hrw.org/news/2021/05/03/kyrgyzstan-proposed-legal-changes-threaten-political-dissent>
- Imanaliyeva, A., & Leonard, P. (2021, ნოემბერი 28). *Kyrgyzstan: Suspect vote-count bungling casts shadow over election*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://eurasianet.org/kyrgyzstan-suspect-vote-count-bungling-casts-shadow-over-election>
- Marat, E. (2010, იანვარი 15). *Kyrgyzstan Boosts Cooperation With China*. Retrieved დეკემბერი 15, 2021, from <https://jamestown.org/program/kyrgyzstan-boosts-cooperation-with-china/>
- Nichol, J. (2010, ივნისი 15). *The April 2010 Coup in Kyrgyzstan and its Aftermath: Context and Implications for U.S. Interests*. Retrieved დეკემბერი 16, 2021, from <https://sgp.fas.org/crs/row/R41178.pdf>
- Pannier, B. (2021, ნოემბერი 28). *Five Takeaways From The Kyrgyz Parliamentary Elections*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from Radio Liberty: <https://www.rferl.org/a/kyrgyzstan-elections-five-takeaways-pannier/31584007.html>
- Poverty Data: Kyrgyz Republic*. (2020). Retrieved from <https://www.adb.org/countries/kyrgyz-republic/poverty>
- Putz, C. (2021, მარტი 3). *Kyrgyzstan Tumbles in Freedom of the World Ranking*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://thediplomat.com/2021/03/kyrgyzstan-tumbles-in-freedom-of-the-world-ranking/>

- Putz, C. (2021, ოქტომბერი 6). *Kyrgyzstan: A Year Since October 2020*. Retrieved დეკემბერი 16, 2021, from <https://thediplomat.com/2021/10/kyrgyzstan-a-year-since-october-2020/>
- Putz, C. (2021, დეკემბერი 2). *Mob Accosts Kyrgyz Opposition Politician Tekebayev*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://thediplomat.com/2021/12/mob-accosts-kyrgyz-opposition-politician-tekebayev/>
- Radio Free Europe. (2017, აგვისტო 21). *Kyrgyz PM Jeenbekov Resigns To Run For President*. Retrieved დეკემბერი 16, 2021, from <https://www.rferl.org/a/kyrgyzstan-prime-minister-resigns-run-for-president/28688058.html>
- Radio Liberty. (2021, აგვისტო 27). *Kyrgyz President Signs Bill On Changes To Electoral Law*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://www.rferl.org/a/kyrgyzstan-japarov-electoral-changes/31431056.html>
- Reuters. (2019, აგვისტო 13). *Kyrgyz ex-president arrested, accused of coup plan- state media*. Retrieved დეკემბერი 16, 2021, from <https://www.reuters.com/article/uk-kyrgyzstan-atambayev-idUKKCN1V30PA?edition-redirect=uk>
- Reuters. (2020, ოქტომბერი 5). *Kyrgyz police use teargas, water cannon to disperse protesters*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from <https://www.reuters.com/article/us-kyrgyzstan-protests-idUSKBN26Q29R>
- RFE/RL. (2021, ნოემბერი 29). *Kyrgyz Opposition Protests Against Parliamentary Election Results, Citing Alleged Fraud*. Retrieved დეკემბერი 17, 2021, from Radio Liberty: <https://www.rferl.org/a/kyrgyzstan-parliamentary-vote-rally-protest-fraud/31585124.html>
- The World Bank. (2020). *The World Bank in the Kyrgyz Republic*. Retrieved დეკემბერი 16, 2021, from <https://pubdocs.worldbank.org/en/189651492011105317/mpo-kgz.pdf>



თანამედროვე საქართველოს საარჩევნო პროცესი: საზოგადოებრივი და პარტიული განწყობების  
ანალიზი ევროკავშირის მიმართ

მარიამ ვაჭრიძე  
კესო გიგიტაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [mariamvatchridze2021@gmail.com](mailto:mariamvatchridze2021@gmail.com)

## აბსტრაქტი

დემოკრატიზაციის გზაზე მდგარი საქართველოსთვის ევროპული ინტეგრაციის საკითხი, როგორც გზა ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისაკენ, განსაკუთრებით აქტუალური გახდა და დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობას. ქვეყნის დასავლური ინტეგრაცია, ფაქტობრივად, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების წინაპირობაა. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საქართველოს საარჩევნო პროცესი და ევროპული ინტეგრაცია ურთიერთდაკავშირებულია, რაც იწვევს პარტიული და საზოგადოებრივი განწყობების პერიოდულ ცვლილებას ევროკავშირის მიმართ. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო პერიოდი, 2012 წლიდან დღემდე, როცა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შეიცვალა ხელისუფლება დემოკრატიულად, არჩევნების გზით. კვლევის მიზანია, დავადგინოთ, თუ როგორი დინამიკით იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება და პარტიული განწყობები ევროპული ინტეგრაციის მიმართ 2012- 2020 წლების პერიოდში ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ევროინტეგრაციისადმი განსაკუთრებული ყურადღება მთავარი ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო მანიფესტებსა და გამოსვლებში უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ევროსკეპტიკურ დამოკიდებულებას ქართული პოლიტიკური პარტიების განწყობებში იშვიათად ვხვდებით, ისიც მხოლოდ რბილი ფორმით. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა დეკლარირებულად უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხს. ამასთან, საინტერესოა, რომ საზოგადოებრივი განწყობები არამდგრადია საარჩევნო პერიოდის პარალელურად, კერძოდ კი, გარდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისა, პოსტ-საარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი მხარდაჭერა ევროკავშირის მიმართ მცირდება, ხოლო წინასაარჩევნო პერიოდში საგრძნობლად იზრდება.

**საკვანძო სიტყვები:** ევროინტეგრაცია; ევროსკეპტიციზმი; არჩევნები; პოლიტიკური პარტიები; საზოგადოებრივი განწყობები; საქართველო.

## შესავალი

თანამედროვე საქართველოს საარჩევნო პროცესის პარალელურად ქართული პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში მოწინავე ადგილი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის საკითხმა დაიკავა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს არჩეულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა განაპირობა (ხომტარია, 2014). აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ხდება, მაშინ როცა ქვეყანაში კომპლექტდება საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუტები - პარლამენტი და ირჩევა პრეზიდენტი.

რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველოსთვის დასავლელ პარტნიორებთან სტრატეგიული ურთიერთობა და ევროპის ეკონომიკურ ბლოკში განწევრიანება უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში კიდევ უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობის გახდა, როგორც ქართულ პოლიტიკურ პარტიათა, ისე მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2018). აქედან გამომდინარე, სტატიაში მეორე უმნიშვნელოვანესი აქცენტი სწორედ საზოგადოებრივი განწყობების შესწავლასა და ანალიზზეა მორგებული.

წინამდებარე კვლევამ მკაფიოდ გვიჩვენა ურთიერთკავშირი თანამედროვე საქართველოს საარჩევნო პროცესის პარალელურად პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას შორის ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის საკითხთან მიმართებაში. ნაშრომის შემდეგ ნაწილებში დეტალურად განვიხილავთ თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ორიგინალური დამუშავების შედეგად მიღებულ შედეგებსა და ზემოთ აღნიშნულ ურთიერთდამოკიდებულებას.

შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანი თანამედროვე საქართველოში, 2012-2020 წლების პერიოდში, საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების განწყობების ცვლილების შესწავლაა არჩევნების პროცესის პარალელურად. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის კითხვებიც შემდეგია: 1. რა კავშირია არჩევნებსა და ევროკავშირისადმი პარტიულ მხარდაჭერას შორის თანამედროვე პერიოდში; 2. რა დამოკიდებულებას ვხვდებით ევროკავშირისადმი საზოგადოებრივ განწყობებსა და არჩევნებს შორის. მოცემული სტატია შედგება ოთხი ნაწილისგან. თავდაპირველად მიმოხილულია მოცემულ თემაზე არსებული აკადემიური ლიტერატურა; შემდგომ, ჩამოყალიბებულია მოცემული კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები; მესამე ნაწილი ეთმობა კვლევის შედეგების გაცნობასა და დისკუსიას, ხოლო ბოლო - დასკვნას.

## ლიტერატურის მიმოხილვა

ევროინტეგრაციის პროცესი ცალსახად პარტიულ და საზოგადოებრივ განწყობებზე დგას, მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნული პროცესის ბედი არ არის დამოკიდებული მხოლოდ მის სტრუქტურაზე, არამედ სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას მონინავე ადგილი უჭირავს (Taggart & Szczerbiak, 2002). თუმცა, ევროინტეგრაციაზე, ევროსკეპტიციზმის, როგორც პოლიტიკური ფენომენის განხილვის გარეშე, საუბარი ზედმეტია.

პირველად ევროსკეპტიციზმზე საუბარი პოლიტიკის მეცნიერებაში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაიწყო. ცნების გაჩენასთან ერთად მალევე გამოიყო ორი სკოლა, სასექსისა და ჩრდ.კაროლინის, რომლებიც ევროსკეპტიციზმის წარმოშობის, მისი შესწავლისა და ანალიზის სხვადასხვა მეთოდებზე იწყებენ მსჯელობას. პირველი მათგანის ძირითადი ფოკუსი დასმულია პარტიულ პროგრამებზე და ოფიციალურ დოკუმენტებზე, მაშინ როცა ჩრდ. კაროლინის თეორიული სკოლა უფრო მეტ ყურადღებას ძირითადად პარტიის წარმომადგენელთა გამოკითხვებსა და ექსპერტულ ინტერვიუებზე ამახვილებს (Mudde, 2011).

მოცემულ სტატიაში კი ჩვენ ვეყრდნობით ტაგარდისა და შჩერბიაკის მიერ გამოყენებული ევროსკეპტიციზმის ორ გაგებას: რბილ და ხისტ ევროსკეპტიციზმს. ხისტი ევროსკეპტიციზმი ვლინდება მაშინ, როდესაც არსებობს პრინციპული და მტკიცე ოპოზიცია ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართ, შესაბამისად კი ვლინდება ისეთ პარტიებში, რომელთა პოლიტიკაც უშუალოდ ეწინააღმდეგება ქვეყნის ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებაში ინტეგრაციას. რაც შეეხება რბილ ევროსკეპტიციზმს, მსგავსი დამოკიდებულების მქონე პოლიტიკურ პარტიებში ჩანს გარკვეული კრიტიკა და წინააღმდეგობრივი პოზიციები ევროკავშირის მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში, პარტია ეხმიანება ევროკავშირს, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტს, თუმცა მხარს არ უჭერს ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას. ხისტი ევროსკეპტიკური დამოკიდებულების მქონეთათვის, ევროკავშირი წარმოდგება როგორც „მტერი“ მათი პოლიტიკური მიზნებისა და მოქმედებებისთვის, მაგალითად, როგორცაა კაპიტალიზმი კომუნისტებისთვის, მაშინ, როცა რბილი ევროსკეპტიკოსების პოზიცია ევროპული სტრუქტურების კრიტიკას ეფუძნება (Taggart & Szczerbiak, 2002).

დიდი ღროის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გახდეს სკეპტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზეზი ევროკავშირის მიმართ. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითების შესწავლისას გამოვლინდა, პოსტ-საბჭოთა სივრცის არსებობაა. პოსტ-საბჭოთა ქვეყნები სკეპტიციზმის უფრო ხშირი შემთხვევებით გამოირჩევიან, რაც შესაძლოა სოციალისტურ ბლოკში მათი მრავალწლიანი თანაცხოვრების თანამედროვე გამოხატულებაც იყოს (Taggart & Szczerbiak, 2002).

პარტიული ევროსკეპტიციზმის განხილვისას არ უნდა დაგვარგოთ იდეოლოგიური ფონიც. ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებში ევროსკეპტიციზმის გამოვლენა აშკარა კავშირშია მის პოლიტიკურ სპექტრზე მდებარეობასთან, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ევროსკეპტიციზმის მემარცხენეობა-მემარჯვენეობის კუთხით განხილვა. კვლევების მიხედვით, ულტრამემარცხენეები იზიარებენ რბილი ევროსკეპტიციზმის მახასიათებლებსა და იდეებს, მაშინ როცა ულტრამემარჯვენეები ყოველთვის მძიმე ევროსკეპტიკური პოზიციების შემქმნელებად გვევლინებიან (Braun, Popa, & Schmitt, 2019). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იდეის დონეზე დღეს ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიები ევროკავშირის მთავარი მოწინააღმდეგეები უნდა იყვნენ, არაერთი ევროპული ულტრამემარჯვენე პარტია უჭერს მხარს ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებას. და მაინც, ულტრამემარჯვენეთა მთავარი არგუმენტი კულტურული მოტივით ზენაციონალური ინტერგაციის უარყოფაა, ულტრამემარცხენეების მთავარი პრობლემა კი ეკონომიკური პოლიტიკაა, რაც გამონვეულია მათი ოპოზიციური დამოკიდებულებით თავისუფალი საბაზრო ვაჭრობის მიმართ (Meijers, 2017).

ევროინტეგრაციის პროცესის მონაწილე მეორე მხარის განხილვა აუცილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მკვლევართა აზრით, ხშირად პარტიული განწყობები განაპირობებს კიდევ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ისტორიული წარსული, გეოგრაფიული მდებარეობა და მოსახლეობის განათლების დონე შეიძლება იყოს საზოგადოების სკეპტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ფაქტორი. ემპირიულმა ანალიზებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უკეთ

ინფორმირებულია და პოლიტიური ჩართულობის მაღალი დონით გამოირჩევა, უფრო მეტად იცნობენ ევროკავშირის სტრუქტურას, მის მნიშვნელობას წევრი და კანდიდატი სახელმწიფოებისთვის და შესაბამისად ნაკლებად „მტრულად“ უყურებენ ევროკავშირს, როგორც სახელმწიფოს ეროვნული იდენტობის „გამანადგურებელ“ მექანიზმს (Abts & Heerwegh, 2009).

კვლავ უნდა ვახსენო იდეოლოგიური ფაქტორებიც, რადგანაც ამ შემთხვევაშიც ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე პარტიების მხარდამჭერებიც პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ (Guerra, 2020). ბევრი რადიკალი მემარცხენე პარტიის მსგავსად, ამომრჩევლები, რომლებიც პოლიტიკური სპექტრის მარცხენა მხარეს არიან, მტკიცედ უჭერენ მხარს ეკონომიკური რესურსების გადანაწილებას. მეორეს მხრივ, სპექტრის მარჯვენა პოლუსზე მყოფი ამომრჩევლებისთვის ანტიმიგრაციული განწყობები დაკავშირებულია ევროინტეგრაციის წინააღმდეგ ოპოზიციურ განწყობებთან (Meijers, 2017).

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის და შესაბამისად სტატიის მთავარი ფოკუსი საქართველოა, საინტერესოა ქართული გამოცდილების განხილვაც. ძირითადი პრობლემა, რაც კვლევის თანახმად, საქართველოში პარტიულ ევროსკეპტიციზმს იწვევს, არის უფრო კულტურული ასპექტი, ვიდრე ეკონომიკური. პროვეროპული ორიენტაციის მქონე პარტიები მიიჩნევენ, რომ ევროპული და ქართული ღირებულებები კარგად შეიძლება შეერწყას ერთმანეთს. ამასთან, ყოველი სახელისუფლო პარტია უფრო მეტად უჭერს მხარს საქართველოს ევროინტეგრაციას, ვიდრე ოპოზიციური პარტიები, მაგრამ ყველა ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენელი პარტია არ არის ევროსკეპტიკური განწყობის, თუმცა ყველა ევროსკეპტიკოსი პარტია ოპოზიციამია, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც რუსეთის ფედერაციასთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის მომხრეები არიან, ყოველივე ეს კი ცალსახად აისახება მათ ელექტორატზეც (Tabatadze, 2022).

ზემოთ მიმოხილული ლიტერატურა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ევროსკეპტიციზმი როგორც კანდიდატ, ისე წევრ ქვეყნებში ერთნაირი სიძლიერით ვლინდება, რომელსაც უამრავი სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი აქვს, იქნება ეს ეკონომიკური, კულტურული თუ იდეოლოგიური ფაქტორები. ყოველივე აღნიშნული ხშირად აფერხებს ევროინტეგრაციის პროცესს, რადგან პარტიული და საზოგადოებრივი განწყობები ერთმანეთთან გადაჯაჭვულია, ორივე მათგანის ოპოზიციის შემთხვევაში კი ქვეყნის დასავლეთთან დაახლოება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

მოცემულ კვლევაში გამოყენებული გვაქვს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ თვისებრივი და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი. საარჩევნო მანიფესტების კონტენტ-ანალიზის საშუალებით განისაზღვრა ქართული პოლიტიკური პარტიებისა და პრეზიდენტობის კანდიდატების დამოკიდებულება წინასაარჩევნო კამპანიისას ევროკავშირის მიმართ, ხოლო მონაცემთა რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის, „CRRC საქართველოს“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების ორიგინალური დამუშავების შედეგად განვსაზღვრეთ მოსახლეობის ევროკავშირისადმი დამოკიდებულების ცვლილება არჩევნების პარალელურად. საკვლევი

პოპულარია არაალბათური, მიზნობრივი შერჩევის საშუალებით გამოიყო, კერძოდ, თითოეულ პარტიას გადალახული უნდა ჰქონოდა 3%-იანი საარჩევნო ბარიერი 2012, 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნებზე. სულ შეირჩა ათი პოლიტიკური პარტია: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“; „რესპუბლიკური პარტია“; „თავისუფალი დემოკრატები“; „ლეიბორისტული პარტია“; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „ევროპული საქართველო“; „ლელო“; „გირჩი“ და 5 საუკეთესო შედეგის მქონე პრეზიდენტობის კანდიდატი: გიორგი მარგველაშვილი, დავით ბაქრაძე, ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, გრიგოლ ვაშაძე. აღნიშნული კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კვლევის მიღმა დარჩა ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც ვერ დააკმაყოფილეს შერჩევის კრიტერიუმები, ისინი მართალია, მცირე პარტიები არ არიან პროცესის მეინსტრიუმის ნაწილები, მაგრამ მაინც ქმნიან პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში, ისევე როგორც ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობის დამოკიდებულებაზე.

## კვლევის შედეგები/დისკუსია

### პარტიული პროგრამების ანალიზი

თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საყურადღებო პერიოდი გასული ათწლეულის განმავლობაში დაიწყო. აგვისტოს ომგამოვლილ ქვეყანაში 2012 წელს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომლის შემდგომაც სახელმწიფოს სათავეში მოვიდა ახალი მმართველი ძალა, შესაბამისად აღნიშნული მომენტი მიიჩნევა, როგორც პირველი დემოკრატიული ნაბიჯი. ჩვენი ყურადღება ამ შემთხვევაში მიპყრობილია ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსზე და, შესაბამისად, კვლევის ობიექტშიც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები მოხვდა, როგორც ნებისმიერი საპარლამენტო მონაცემის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი ბერკეტი. აქედან გამომდინარე, სტატიაში 2012 წლიდან შემდგომ ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ის სუბიექტები განვიხილეთ, რომელთაც მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვეს. შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო მანიფესტების შესწავლა და შესაძლო კავშირის დადგენა დასავლურ ინტეგრაციასა და ევროკავშირთან მიმართებით ჩვენთვის პრიორიტეტულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიმართულებიდან გამომდინარე.

პირველი პარტია, რომელსაც განვიხილავთ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოა“. პარტიამ 2012 წლის არჩევნებში მონაწილეობა გაერთიანებული ოპოზიციური ბლოკის სახით მიიღო და მხოლოდ შემდგომ დამკვიდრდა დღეს არსებული სახით.

პარტიის 2012 წლის საარჩევნო პროგრამაზე დაყრდნობით, „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს ქვეყნის განვითარების თითოეულ ასპექტში ევროატლანტიკურ ინტეგრაციას სამომავლო აღმავლობის ერთადერთ ალტერნატივად უსახავს. ის საქართველოს მოსახლეობის „დაკვეთად“ განიხილავს ევროკავშირთან არსებული სხვადასხვა ვალდებულების შესრულებას. „ქართული ოცნების“ მთავარი მიზანია საქართველო აქციოს დასავლეთის საიმედო ქვეყნად. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი პრინციპების დაცვა, როგორებიცაა, მაგალითად, დამოუკიდებელი

სასამართლო და მასმედია, სიტყვის თავისუფლება. „ქართული ოცნება“ ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა- ევროკავშირთან ასოცირება, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატები, ამასთან, ევროპის სხვა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება. „ქართული ოცნება“ აღნიშნავს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად რუსეთში რეგიონში პოზიციები გაიმყარა და საქართველოს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა შეუქმნა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე(საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება", 2012).

2016 წელს პარტია უცვლელად იმეორებს საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობას, რომელიც ამჯერად ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პარალელურად უნდა განხორციელდეს. პარტია წინასაარჩევნო მანიფესტში უმნიშვნელოდ აღნიშნავს, რომ სექტორალური ინტეგრაცია გაგრძელდება ევროკავშირთან. ამასთან, 2012 წლის პროგრამისგან განსხვავებით, სადაც რუსეთთან ომის უარყოფით შედეგებზე საუბრობს, 2016 წლის მანიფესტში არბილებს პოზიციას და ამბობს, რომ საქართველომ რუსეთთან რაციონალური საგარეო პოლიტიკა უნდა აწარმოოს, რაც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი იქნება ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაღიარების პოლიტიკის განხორციელებაში ("ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", 2016).

2020 წლის საარჩევნო პროგრამაში კი პარტია კიდევ უფრო ავინროებს ევროკავშირთან შეხების სფეროს და ძირითადად საუბრობს თავისი მმართველობის პერიოდში ევროკავშირთან მიმართებით შესრულებულ დაპირებებსა და ეკონომიკურ სფეროში განსახორციელებელ პროექტებზე. „ქართული ოცნების“ ლიდერები წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობისას აღებული ვალდებულებების 85% შესრულებული იქნება შემდეგი საპარლამენტო არჩევნებისთვის ("ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", 2020).

2013 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატი იყო გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც თავისი პარტიის მსგავსად წინასაარჩევნო კამპანიაც პროევროპულ ღირებულებებზე ააგო. ევროპული კულტურა და ღირებულებები ქართულ იდენტობასთან ყველაზე ახლოს დგას, შესაბამისად, საქართველო პოლიტიკურად ევროპის სრულუფლებიანი წევრი უნდა გახდეს - ამბობდა ექს-პრეზიდენტი. დემოკრატიზაციის პროცესში ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის ევროპულ ყაიდაზე მორგებით ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს (გიორგი მარგველაშვილი, 2013).

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მხარდაჭერილი კანდიდატი იყო სალომე ზურაბიშვილი. ისიც, მისი წინამორბედის მსგავსად, პროევროპულ ხაზს მიჰყვება, რაც ევროპაში დაბადებულ-გაზრდილი ნიკო ნიკოლაძის შთამომავლისგან მოსალოდნელიც იყო. მისი აზრით, აუცილებელია ევროპული სტანდარტების დანერგვა ქვეყანაში, მაგალითად ადამიანის ძირითადი უფლებების, სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა უფლებების დაცვა.

აუცილებელია, საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაცია სწორედ თავისი კულტურისა და ღირებულებების თანაზიარებით, ამასთან, მსგავსი რიტორიკა ემთხვევა მმართველი პარტიის 2016 წლის მანიფესტის ძირითად იდეას (სალომე ზურაბიშვილი, 2018).

კიდევ ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც სამივე საპარლამენტო არჩევნებზე იყო წარმოდგენილი, არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. განსაკუთრებით საინტერესოა პარტიის პოზიცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა მან ხელისუფლება არჩევნებში დამარცხების შემდგომ გაერთიანებულ საარჩევნო ბლოკ „ქართულ ოცნებას“ გადააბარა.

პარტია მკაფიოდ აღნიშნავდა, რომ საქართველო დასავლური ღირებულებების მატარებელი, ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო უნდა იყოს. მისი საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი ევროინტეგრაციაა. პარტია, მსგავსად „ქართული ოცნებისა“, ხაზს უსვამს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატისა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მნიშვნელობას ქვეყნის მომავალი განვითარების გზაზე. ამასთან, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შესაბამისად, აცხადებს, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აქტიურად უნდა პატრულირებდეს ოკუპირებული ტერიტორიების გარშემო, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა კი, ქვეყნის დეოკუპაციისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანეს გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნიათ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 2012).

2016 წლის საარჩევნო მანიფესტიდან აღსანიშნავია ინიციატივა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ კანონიერად იმუშაონ ევროკავშირის ქვეყნებში. პარტია ხედავს იმის აუცილებლობას, რომ საქართველო ევროპის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ნაწილი უნდა გახდეს, რაც ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველაზე მჭიდრო ფორმაა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 2016). პარტია მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზეც იგივე ხაზს მიყვება და ევროკავშირზე, როგორც საქართველოში „მცოცავი ოკუპაციის“, ინფლაციის, უმუშევრობის აღმოფხვრის მთავარ ინსტრუმენტზე, აპელირებს. მანიფესტში მკაფიოდაა გაცხადებული, რომ ევროპული სავაჭრო ოჯახის წევრობა მოსახლეობის კეთილდღეობის პირდაპირპროპორციულია და რომ დასავლეთი და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი უმრავლესობის გაცხადებული და ურყევი არჩევანია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 2020).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატებიც მკვეთრად პროევროპული ორიენტაციის არიან. 2013 წელს პარტიამ წამოაყენა დავით ბაქრაძის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, კანდიდატურა, ხოლო 2018 წელს დიპლომატისა და ყოფილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის. ბაქრაძის პოზიცია საინტერესოა იმით, რომ ხაზგასმული აქვს საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობა. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მონაკვეთი, რომელიც ხელს შეუწყობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებასა და საქართველოს ევროპულ ეკონომიკურ სივრცესთან დაახლოებას. შესაბამისად, ისიც დიდ ყურადღებას უთმობს თავისუფალ ვაჭრობას, რაც საექსპორტო ბაზრებს გახსნის, ეს კი მეტ სამუშაო ადგილს გააჩენს. ის მკაფიოდ აცხადებს, რომ საქართველომ ევროკავშირთან ოთხი

თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობას უნდა მიაღწიოს (ხალხის, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება)(დავით ბაქრაძე - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 2013).

გრიგოლ ვაშაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2016 წლის საარჩევნო მანიფესტის შინაარსს თითქმის იმეორებს. ის საუბრობს იმაზე, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. მისი აზრით, აუცილებელია ქვეყანამ სათანადოდ აითვისოს ასოცირების ხელშეკრულებაში განწერილი ყველა პუნქტი, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ იქნება რეალური მიზნის მიღწევა შესაძლებელი, აღნიშნული პოზიციით კი, სრულად იმეორებს მისი წინამორბედისა და კოლეგის მანიფესტის შინაარსს (გრიგოლ ვაშაძე - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 2018).

პარტია „ევროპული საქართველო“ ცალსახად ლიბერალური ღირებულებების მალიარებელი პარტიაა, 2020 წლის საარჩევნო მანიფესტზე დაყრდნობით მათი უმთავრესი მიზანია განუხრელად სვლა ევროკავშირისაკენ, რისთვისაც საჭიროა ევროკავშირის საერთო ბაზარში ინტეგრირება და მთავრობის ზუსტი გეგმა, თუ როდის შეიტანს ევროკავშირში განწვერიანების განაცხადს (ევროპული საქართველო, 2020).

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენი კვლევის კიდევ ერთი ობიექტი იყო „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, რომლის პოლიტიკური ორიენტირიც ევროკავშირისკენაა მიმართული. პარტიის აზრით, აუცილებელია ევროსკეპტიციზმის დონის შემცირება ქვეყანაში, რაც რუსეთს დაპირისპირების საფუძველს მოუსპობს. პარტიის მანიფესტი მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებსაც უნდა შეეძლოთ ვიზალიბერალიზაციისა და თავისუფალი სავაჭრო ზონის წარმატების გაზიარება(საქართველოს რესპუბლიკური პარტია, 2016). „თავისუფალი დემოკრატებიც“ საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად ევროინტეგრაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესია. ამასთან, აუცილებელია ასოცირების ხელშეკრულების პირობების შესრულება, ქვეყანამ კი ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში განწვერიანებით პროევროპული კურსი უნდა დაადასტუროს(თავისუფალი დემოკრატები, 2016).

აღსანიშნავია, რომ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ 2012 წლის არჩევნებში რეიტინგით მესამე ადგილზე გავიდა, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მის გვერდით იბრძოდნენ ისეთი დეკლარირებულად პროევროპული პარტიები, როგორებიც 2012 წელს იყვნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება -დამოკრატიული საქართველო“. „ქდმ“ თავის საარჩევნო მანიფესტში ამბობს, რომ დეოკუპაცია და საქართველოს ეკონომიკური წინსვლა წარმოუდგენელია ევროინტეგრაციის გარეშე, შესაბამისად, პარტია ერთ-ერთ მთავარ საგარეო პრიორიტეტად სწორედ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობას ასახელებს. თუმცა, არ გამოირიყხება ორმხრივი ინდივიდუალური ურთიერთობების გაღრმავება განსაკუთრებით ევროკავშირის აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებთან -პოლონეთი, ჩეხეთი და ბალტიისპირა აუზის ქვეყნები (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, 2012).

მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული წინა პარტიებისგან განსხვავებით, ქრისტიან-დემოკრატები შედარებით ნეიტრალურ პოზიციას იჭერენ და ეთანხმებიან მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკის გატარებას, მათ შორის რუსეთთან. პარტიის აზრით, საქართველო დასავლელი მოკავშირეებით და ნაციონალისტური საფრთხეებისგან დაცული რუსეთი ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებში შედის. ამასთან, ეს ფორმატი საქართველოს დეოკუპაციის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას მისცემს (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, 2012). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პარტია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით განიხილავს. მსგავსი პოლიტიკური მესიჯი ჰქონდა, ასევე, „ქართულ ოცნებას“ 2016 წლის საარჩევნო მანიფესტში და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს.

ნეიტრალურ დამოკიდებულებას ავლენს „საქართველოს ლეიბორისტული პარტიაც“. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტია აცხადებდა, რომ ქვეყნისთვის უმთავრესია ევროპული სოციალიზმი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებზე კეთილდღეობას თანაბრად გადაანაწილებდა. „ლეიბორისტებისთვის“ საგარეო პროდასავლური კურსი რჩება უცვლელი (საქართველოს ლეიბორისტული პარტია, 2016). მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის დეტალიც, რომ პარტიას 2020 წლის საარჩევნო პროგრამაში ევროკავშირი და ევროპა საერთოდ არ არის ნახსენები.

ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და კონსერვატიულ იდეოლოგიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ წინა ბურჯანაძე, რომელმაც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და მესამე ადგილი დაიკავა. ის ერთ-ერთი მონინავე პოლიტიკოსია, რომელიც ამკარა ევროსკეპტიკური პოზიციით გამოირჩევა, თუმცა არ გამორიცხავს ევროკავშირს, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს, საქართველოს განვითარებისათვის.

ბურჯანაძის აზრით, საქართველოს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. სწორედ იმ მარადიულმა ქართულმა ფასეულობებმა მოიყვანა აქამდე ქართველი ერი, რომლებმაც უამრავი განსაცდელი გადაატანინა საქართველოს. მისი აზრით, ამ ფასეულობებში შედის ის, რომ საქართველოში უძველესი დროიდან სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანები ტოლერანტულად ცხოვრობდნენ; რომ თამარ მეფემ ჯერ კიდევ 800 წლის წინ გააუქმა სიკვდილით დასჯა, დღეს კი ამ ღირებულებებს ევროპულობის იარლიყს ადებენ, აღნიშნავს ის წინასაარჩევნო მანიფესტში (წინა ბურჯანაძე, 2012).

ამკარა ევროსკეპტიკური პოზიციების მქონე პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს ევროკავშირის როლს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, თუმცა დიდ ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ნეიტრალიტეტზე. პარტიის აზრით, ევროპა საქართველოს მიღებას არსად აპირებს, ამიტომ ევროკავშირთან საჭიროა მხოლოდ ფორმალური, მჭიდრო ურთიერთობების დამყარება (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, 2016). აღსანიშნავია, რომ 2020 წლისგან განსხვავებით „პატრიოტთა ალიანსი“ ევროკავშირს საერთოდ არ ახსენებს 2016 წლის საარჩევნო პროგრამაში.

აღსანიშნავია ევროპის ეკონომიკური გაერთიანების თემატიკის სიხშირე წინასაარჩევნო კამპანიებისას. განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნულ საკითხს ცხადია საპარლამენტო და

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ექცევა, იქიდან გამომდინარე, რომ კომპლექტდება ის სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს განაპირობებენ.

სამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე უმხვილესი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყანაში სამი მიმართულების პოლიტიკური პარტიები გამოიყოფა. ესენია: პროდასავლურად განწყობილი პარტიები, რომლებიც ღიად უჭერენ მხარს საქართველოს დასავლურ ინტეგრაციას და თავიანთ საარჩევნო მანიფესტებსა და წინასაარჩევნო კამპანიებში უმრავლეს ასპექტში განიხილავენ ევროკავშირს (იხ. ცხრილი N1).

**ცხრილი N1**

პროფეროპული	ნეიტრალური
ქართული ოცნება; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

პარტიათა მეორე ჯგუფი, რომელიც კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა არის ნეიტრალური განწყობის მქონე პარტიები. ამ ჯგუფის ქვეშ გაერთიანებულნი არ უჭერენ ღიად მხარს ქვეყნის დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, უმთავრესად მიიჩნევენ ეროვნული მასშტაბით ქვეყნის განვითარებას და მათი საარჩევნო მანიფესტის არც ერთ ასპექტში საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის თემატიკა არ იკავებს მნიშვნელოვან ადგილს (იხ.ცხრილი N2).

**ცხრილი N2**

პროფეროპული	ნეიტრალუტი	რბილად ევროსკეპტიკური
ქართული ოცნება; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; რესპუბლიკური პარტია; თავისუფალი დემოკრატები	ლეიბორისტული პარტია	პატრიოტთა ალიანსი

ხოლო მესამე ჯგუფი მოიცავს ევროსკეპტიკური პოზიციის მქონე პარტიებს. ისინი აკრიტიკებენ ევროკავშირს და არ მიაჩნიათ პრიორიტეტულად საქართველოს დასავლური ინტეგრაცია, შეიძლება ითქვას ისიც, რომ ასეთი პოზიცია სრულად კონსერვატიულ პარტიებს აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პარტიები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის მეტად განსხვავებულ ნაბიჯებს მიიჩნევენ რელევანტურად, ბოლომდე არ გამორიცხავენ ქვეყნის ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციას და აღნიშნულ საკითხს გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილავენ (იხ. ცხრილი N3).


**ცხრილი N3**

პროევროპული	ნეიტრალური	რბილად ევროსკეპტიკური
ქართული ოცნება; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ევროპული საქართველო	ლეიბორისტული პარტია	პატრიოტთა ალიანსი

პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით პრეზიდენტობის კანდიდატების მანიფესტების გაანალიზებისას, მხოლოდ ორი ჯგუფი გამოიკვეთა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან დეკლარირებულად პროდასავლური კანდიდატები, რომლებიც მკაფიოდ ისწრაფვიან ქვეყნის ევროკავშირში განწევრიანებისთვის და საარჩევნო კამპანიის უმრავლესი ასპექტი აღნიშნული თემის ირგვლივ აქვთ შემუშავებული. ხოლო მეორე ჯგუფი დეკლარირებულად ევროსკეპტიკურ განწყობას მოიცავს.


**საზოგადოებრივი განწყობების ანალიზი: ევროინტეგრაცია ფოკუსში**

კვლევის მეორე ნაწილს საზოგადოებრივი დამოკიდებულების ანალიზი წარმოადგენს. ნათელია, რომ პარტიული განწყობები და მოსახლეობის დამოკიდებულება ერთმანეთთან გადაჯაჭვულია, ქვეყნის ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში კი როგორც მოქალაქეების, ისე პოლიტიკური პარტიებისთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. აღსანიშნავია საინტერესო ტენდენციები, რომლებიც მონაცემების შესწავლის დროს გამოვლინდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ყოველმხრივი იმედგაცრუებისა და უარყოფითი დინამიკის გამოვლენის ფენომენად იქცა. გამოკითხული მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ევროპული ინსტიტუტების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, 2016 წლის პირველ ივლისს სრულად შევიდა ძალაში ასოცირების შეთანხმება, მაშინდელი მმართველი პარტიისა და ძირითადი ოპოზიციური პარტიების გადადგმული ნაბიჯები და წინასაარჩევნო კამპანია არ იყო საკმარისი მოსახლეობის ნდობის გასაზრდელად და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის უკეთესობისკენ შესაცვლელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია თუ რამდენად ქმედითუნარიანი გამოდგა ძირითადი პოლიტიკური პარტიების კამპანიები, მათ წინასაარჩევნო მანიფესტებში ევროკავშირის როლის აღნიშვნა და მათი გავლენა მოსახლეობაზე, როგორც უკვე ვახსენეთ, პარტიული განწყობები ხშირად ანალოგიურად აისახება მისი ელექტორატის პოზიციებზეც, რაც ცალსახად მოსალოდნელი ტენდენციაა(Guerra, 2020).




**დიაგრამა N1/ წყარო: „CRRC საქართველოს“ ნდობი მონაცემების დამუშავების შედეგად აგებული დიაგრამა**

მიუხედავად მსგავსი უარყოფითი ტენდენციისა, მოვლენები საპირისპიროდ შეიცვალა 2020 წლის პოსტ საარჩევნო პერიოდში.



**დიაგრამა N2/ წყარო: „CRRC საქართველოს“ ნდობი მონაცემების დამუშავების შედეგად აგებული დიაგრამა**

პოლიტიკური კრიზისი, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდგომ სახელმწიფოში დაიწყო და რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში პროტესტისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით გამართული აქციების მძლავრი ტალღა მოჰყვა, 2021 წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა გახდა და საყურადღებო ზეგავლენა იქონია მოსახლეობაზე. შედეგად მეტი ნდობა და მზაობა გამოითქვა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის საკითხის მიმართ, რისი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორიც ევროკავშირის წარმომადგენლების პოსტ საარჩევნო კრიზისიდან გამოსვლის საკითხში აქტიური ჩართულობა გახდა.



დიაგრამა N3/ წყარო: „CRRC საქართველოს“ ნედლი მონაცემების დამუშავების შედეგად აგებული დიაგრამა

### დასკვნა

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ერთიანი სურათი შემდეგნაირია, საქართველოს პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებას. ზემოთ მოცემული კვლევის მთავარი მიზანი იყო გაგვეანალიზებინა პარტიული და საზოგადოებრივი განწყობების ცვლილება არჩევნების პარალელურად, მთავარ ფოკუსში კი ევროინტეგრაცია და ევროსკეპტიციზმი იყო. ევროსკეპტიციზმის ფორმის დასადგენად გამოვიყენეთ ტაგარდისა და შჩერბაკის თეორია რბილი და ხისტი ევროსკეპტიციზმის შესახებ, რომლის საშუალებითაც წინასაარჩევნო მანიფესტების ანალიზის საფუძველზე გამოვყავით სამი ტიპის, პროევროპული, ნეიტრალური და რბილად ევროსკეპტიკური პარტიები. მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ ევროსკეპტიციზმი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რბილი ფორმით გამოიხატებოდა როგორც

ქართულ პოლიტიკურ პარტიებში, ისე მათი ელექტორატის გარკვეულ ნაწილში, ცალსახად ერთეულ შემთხვევებში, ვფიქრობ, რომ უნდა ჩაითვალოს როგორც მენისტრიმ პოლიტიკის ნაწილი, ვინაიდან რეგიონის პოლიტიკური დღის წესრიგი არ არის სტაბილური, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური მიზნები და განწყობები მუდმივად ცვალებადია, ასე რომ თუ გასული ათწლეულის განმავლობაში ნამდვილად არ იყო სკეპტიკური დამოკიდებულება ევროკავშირისა და საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიმართ, ეს არ ნიშნავს, რომ მომდევნო წლების განმავლობაში ის საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვან ადგილს არ დაიკავებს, რადგან ეს სწორედ იმგვარი ფენომენია, რომლის სტაბილურობაზე საუბარიც რთულია. დღეს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად არსებული პირობების შესრულების კვალდაკვალ, საკითხი კიდევ უფრო მწვავე და საინტერესო ხდება, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ თითოეული კვლევა, რომელიც ევროსკეპტიციზმს, როგორც პოლიტიკურ ფენომენს შესწავლის დამხმარეა როგორც ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის, ისე შემდგომი კვლევითი პროექტებისთვის, რადგანაც უზრუნველყოფს საკითხის მეტად ფართო და სიღრმისეულ შესწავლას.

### ბიბლიოგრაფია:

- გიორგი მარგველაშვილი. (2013). საარჩევნო კამპანია. მოპოვებული digest.ge .-დან
- გრიგოლ ვაშაძე - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. (2018). საარჩევნო პროგრამა.
- დავით ბაქრაძე - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. (2013). საარჩევნო პროგრამა.
- ვეროპული საქართველო. (2020). საარჩევნო პროგრამა.
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. (2012). საარჩევნო პროგრამა.
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. (2016). საარჩევნო პროგრამა.
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. (2020). საარჩევნო პროგრამა.
- თავისუფალი დემოკრატები. (2016). საარჩევნო პროგრამა.
- ნინო ბურჯანაძე. (2012). საარჩევნო პროგრამა.
- საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება". (2012). საარჩევნო პროგრამა.
- სალომე ზურაბიშვილი. (2018). რა პრიორიტეტები აქვს სალომე ზურაბიშვილს? - კანდიდატის საარჩევნო პროგრამა. მოპოვებული liberali.ge.-დან
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.(2018).
- საქართველოს ლეიბორისტული პარტია. (2016). საარჩევნო პროგრამა.
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. (2016). მოპოვებული patriots.ge.-დან
- საქართველოს რესპუბლიკური პარტია. (2016). საარჩევნო პროგრამა.
- ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. (2012). საარჩევნო პროგრამა.
- "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო". (2016). საარჩევნო პროგრამა.
- "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო". (2020). საარჩევნო პროგრამა.
- ხოშტარია, ე. (2014). საქართველოს საგარეო პოლიტიკა. Forbes Georgia.
- Abts, K., & Heerwegh, D. (2009). Sources of Euroscepticism: utilitarian interest, social distrust, national identity and institutional distrust. *World political science review*.
- Braun , D., Popa, S. A., & Schmitt, H. (2019). Responding to the crisis: Eurosceptic parties of the left and right and their changing position towards the European Union. *European journal of political research*.
- Guerra, S. (2020). Understanding public Euroscepticism. *Italian journal of electoral studies*.
- Meijers, M. (2017). Radical right and radical left euroscepticism: a dynamic phenomenon . *Jacques delors institut* .
- Mudde, C. (2011). Sussex v. North Carolina: the comparative study of party based Euroscepticism.
- Tabatadze, S. (2022). Party-based Euroscepticism: The case of Georgia. *The Journal of Post-Soviet Democratization*.

Taggart, P. (2020). Europeanization, euroscepticism and politicization in party politics. P. Taggart-ში, *The member states of the European Union*.

Taggart, P., & Szczerbiak, A. (2002). The party politics of Euroscepticism in EU members and candidate states. *Posing europe research network*.



კოვიდ-19-ის პირობებში სტუდენტთა ცხოვრების წესის ცვლილება

თათია გურგენიძე

ელენე ნამორაძე

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [tatia.gurgenidze531@sps.tsu.edu.ge](mailto:tatia.gurgenidze531@sps.tsu.edu.ge)

E-mail: [elene.namoradze648@sps.tsu.edu.ge](mailto:elene.namoradze648@sps.tsu.edu.ge)

## აბსტრაქტი

კოვიდ-19-ის პანდემიამ მსოფლიო დააყენა კიდევ ერთი გლობალური გამოწვევის წინაშე. კორონავირუსის გამო, მსოფლიოს მასშტაბით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადავიდნენ. საქართველოში ეს იყო სიახლე, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სტუდენტთა ყოველდღიურობაზე. ჩვენი მიზანია სწორედ იმის შესწავლა, თუ როგორ შეცვალა პანდემიამ ქართველ სტუდენტთა ცხოვრების წესი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი, დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 13-მა მონაწილემ. მონაწილეები შეირჩნენ ისეთი დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა: სქესი, საცხოვრებელი ადგილი და ფაკულტეტი. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა გარკვეული ნაწილი ონლაინ სწავლებას არაეფექტურად მიიჩნევს, ამის მიზეზად კი ასახელებენ პრაქტიკული კურსების არასრულფასოვნებას, სოციალური ინტერაქციების ნაკლებობას და სხვა. ფიზიკურ ჯანმრთელობასთან მიმართებით, პრაქტიკულად ყველა მონაწილე ამბობს, რომ მათ შეექმნათ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები. რაც შეეხება სტუდენტთა თვითმოვლით ქცევას, რეგულარული სამედიცინო შემოწმება აღმოჩნდა ის პრაქტიკა, რომელიც უყურადღებოდ რჩებოდა პანდემიამდეც და იგივე ვითარებაა ახლაც. ინტერაქციების ნაკლებობამ გამოიწვია სტუდენტებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. პანდემიის დროს გაუმჯობესდა სტუდენტთა ინტერაქცია პირველადი ჯგუფის წევრებთან (ოჯახი, ახლო მეგობრები), ხოლო მეორადი ჯგუფის წევრებთან (კურსელები, ნაცნობები) კი - გაუარესდა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ფსიქოლოგის მომსახურება, ასევე სასურველია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი სერვის-პაკეტი. ამასთანავე, უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა სოციალურ ჩართულობას ინტერაქციის გაუმჯობესების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** სტუდენტები, კოვიდ-19, ცხოვრების წესი, ონლაინ სწავლება.

## შესავალი

კოვიდ-19-ის პანდემიამ მსოფლიო დააყენა კიდევ ერთი გლობალური გამოწვევის წინაშე. კორონავირუსულმა ინფექციამ გავრცელება დაიწყო ჩინეთიდან, კერძოდ კი ქალაქ უხანიდან, სადაც გაჩნდა ინფიცირების პირველი კერა და 2020 წლის 11 მარტს ის მსოფლიო პანდემიად გამოცხადდა (World Health Organization, 2020). საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა იმავე წლის 26 თებერვალს გამოვლინდა და უკვე მარტში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად ამოქმედდა რეგულაციები. პირველი მარტის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით, ჯამში დადასტურდა ვირუსის 87 137 შემთხვევა, დღითი დღე იზრდებოდა გარდაცვლილთა რიცხვი, რის გამოც აუცილებელი გახდა სახელმწიფოების მხრიდან რადიკალური ზომების მიღება: დაწესდა კომენდანტის საათი, დაიხურა მასობრივი თავშეყრის ადგილები,

საგანმანათლებლო და სამუშაო პროცესმა გადაინაცვლა ონლაინ სივრცეში (World Health Organization, 2020).

შექმნილმა ვითარებამ სრულიად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი, განურჩევლად სქესისა, ეროვნული, რელიგიური, გეოგრაფიული კუთვნილებისა თუ ასაკისა. ცხოვრების წესი ისეთი სოციალური კატეგორიაა, რომელიც პიროვნების, სოციალური ჯგუფისა თუ მთელი საზოგადოების სხვადასხვა ტიპის მოქმედებებს მოიცავს. ის განიხილება ცხოვრების განმსაზღვრელ პირობებთან ერთად. ამ კატეგორიის ფარგლებში კომპლექსურად განიხილება ადამიანის საქმიანობის ძირითადი სფეროების ურთიერთკავშირი (შრომა, კულტურა, სწავლა, საზოგადოებრივი აქტივობები, ყოფა). ცხოვრების წესი, აგრეთვე, მიუთითებს ყოველდღიური საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი, კულტურული, პოლიტიკური და სხვა სფეროების თავისებურებებზეც, მათ შორის, ადამიანთა ურთიერთობებზე, ქცევებსა და აზროვნების წესზე ((ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში) დონაძე, 2016).

პანდემიის პირობებში ცხოვრების წესის ცვლილება გახდა აქტიური შესწავლის საგანი. ამ კუთხით საინტერესოა პიუს კვლევითი ცენტრის (Pew Research Centre) ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ შეცვალა ამერიკელების ცხოვრება კორონავირუსმა. ეს ცვლილებები საზოგადოების ნაწილისთვის იყო პოზიტიური, ზოგი კი მათ ნეგატიურად აფასებდა. ამერიკელთა 32% წუხდა იმის გამო, რომ პანდემიამ შეუზღუდა მათ მოგზაურობის შესაძლებლობა. რესპონდენტთა 26% აღნიშნავდა, რომ მათ აღმოაჩინეს ახალი შესაძლებლობები, გაიჩინეს ახალი ჰობი. გამოკითხულთა 14 % აღნიშნავდა, რომ გაუმჯობესდა მათი როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობა, რამდენადაც დაიწყეს ჯანსაღი დიეტის დაცვა და/ან ვარჯიში. რესპონდენტთა 28% კი თვლიდა, რომ პანდემიის ფონზე გაუარესდა მათი მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობა, რამდენადაც ზოგი ახლობლის დაკარგვას გლოვობდა კოვიდ-19-ის გამო, ზოგი თავად ებრძოდა ამ ვირუსს, რაც კორელაციურ კავშირშია სტრესთან და დეპრესიასთან. კვლევაში აღწერილია ისიც, რომ პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა ურთიერთობებზე. გამოკითხულთა 33% აღნიშნავდა, რომ პანდემიამ, იზოლაციამ დაახლოვა ოჯახის წევრები ერთმანეთთან, რამდენადაც შესაძლებელი იყო სწავლა, მუშაობა დისტანციურად. 41% კი წუხდა იმის გამო, რომ დაკარგეს კონტაქტი ახლო ადამიანებთან, მეგობრებთან (Barovski, Kessel, Scheller, & Smith, 2021).

მეცნიერები ბევრად უფრო ადრე ვარაუდობდნენ, რომ სოციალური ინტერაქციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა ელექტრონული კომუნიკაცია გახდებოდა. ცნობილი ესპანელი სოციოლოგი, მანუელ კასტელსი, თვლის, რომ ქსელური საზოგადოება არსებობს იმ საზოგადოების პირობებში, სადაც ელექტრონული კომუნიკაცია იქცევა სოციალური ინტერაქციის ერთ-ერთ ძირითად ფორმად, ხოლო პოსტ-მოდერნული ვარიაციის შემთხვევაში, ხდება ადგილზე ან სივრცით სიახლოვეზე დაფუძნებული სამეზობლოების ჩანაცვლება საერთო ინტერესებზე დაფუძნებული სამეზობლოებით. ანუ იქმნება ერთგვარი ვირტუალური სამეზობლო, ამ სამეზობლოს კი ქმნის ქსელებში ჩართულ ადამიანთა ინტერაქცია (სოციალური მედია, ელექტრონული ქსელები). ქსელური საზოგადოების

ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება და ქსელის ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი შედეგი არის ის, რომ სახლსა და ოფისს შორის განსხვავება ქრება. ეს განსხვავება ხდება ძალიან პირობითი და ლაბილური, შესაბამისად, ადამიანს შეუძლია, სახლის სივრცე აქციოს სამუშაო სივრცედ და ოფისი, როგორც სპეციალური ორგანიზაციული ინსტრუმენტი, კარგავს დანიშნულებას (კასტელსი, 1996 მოტანილია კაჭკაჭიშვილი, 2014). ეს მოდელი, ოფისის გარდა, ძალიან კარგად გამოხატავს, თუ როგორ ჩაანაცვლა სახლმა საგანმანათლებლო სივრცე პანდემიის პირობებში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, კურსელების შეხვედრებმა კი აუდიტორიიდან გადაინაცვლა ონლაინ სასწავლო პლატფორმებზე და სოციალურ ქსელებში. კორონავირუსის გამო, მსოფლიოს მასშტაბით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადავიდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) მსგავსი გამოცდილება უკვე არსებობდა უნივერსიტეტში ონლაინ კურსების შეთავაზების მხრივ, თუმცა საქართველოში ეს იყო სიახლე, რომელმაც მთლიანად შეცვალა სტუდენტთა ცხოვრების წესი. 2020 წლის აპრილში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ. დისტანციური სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტთა 10 % ამ ფორმას ძალიან ეფექტურად მიიჩნევდა, ხოლო 24 % კი - სრულიად არაეფექტიურად. კვლევამ გამოყო კავშირი სწავლებით კმაყოფილებასა და ლექციებზე დასწრებას შორის. ისინი, ვინც კმაყოფილნი იყვნენ სწავლების ონლაინ ფორმატით რეგულარულად ესწრებოდნენ ლექციებს, ხოლო ისინი, ვინც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას - არა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (თსუ), 2020).

ლუბლიანას უნივერსიტეტში, 2020 წლის აგვისტოში, ჩატარდა კვლევა იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა კოვიდ-19-ის პანდემიამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ცხოვრებაზე. კვლევის ფარგლებში გამოკითხეს სტუდენტები 62 ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან. დადგინდა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში სტუდენტები კმაყოფილნი იყვნენ ონლაინ სწავლებით, ხოლო აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და აზიის დანარჩენ ქვეყნებში სტუდენტები იყვნენ ყველაზე ნაკლებად კმაყოფილნი ონლაინ სწავლებით, ამის მიზეზი კი იყო არათანაბარი წვდომა ინტერნეტსა და ელექტრონულ მონაცემილობებზე, რაც აფერხებდა მათ ჩართვას სასწავლო პროცესში. იმ ქვეყნებში, სადაც სტუდენტები კმაყოფილნი იყვნენ ონლაინ სწავლებით, თვლიდნენ, რომ ამ ფორმატმა შეცვალა მათი დღის რეჟიმი, რადგან მათი დატვირთვა უფრო გაიზარდა. სტუდენტთა თქმით, დაერღვათ ჩვეული რუტინა, მათ შორის შემცირდა მათი სოციალური და ფიზიკური აქტივობები, ყველაზე ხშირად კი ინტერაქციის ახერხებდნენ პირველადი ჯგუფის წევრებთან, ოჯახთან (Aristovnik, Keržič, Ravšelj, Tomažević, & Umek, 2020). მართლაც, პანდემიამ შეცვალა სტუდენტთა ცხოვრება პირველად („კავშირი ემყარება უშუალო პირად კონტაქტებს, ჯგუფის საქმიანობაში წევრების ემოციურ ჩაბმას, რაც უზრუნველყოფს ჯგუფური იდენტიფიკაციის მაღალ ხარისხს. ჯგუფს, უპირველეს ყოვლისა, აკავშირებს მისი წევრების პირადი ინტერესები” ((*ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში*) დონაძე, 2016) და მეორად („შექმნილია გარკვეული მიზნის რეალიზაციისათვის ... მეორადი ჯგუფები ემყარება ურთიერთობათა ინსტიტუციონალიზებულ და სქემატიზებულ სისტემას, მათი საქმიანობა

რეგულირდება წესებით” ((*ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში*) დონაძე, 2016) ჯგუფებთან ურთიერთობის კუთხით. იმდენად, რამდენადაც სოციალური დისტანცია და ხალხმრავალი შეკრებების თავიდან არიდება გახდა უმნიშვნელოვანესი პანდემიის დასამარცხებლად, სტუდენტებს უწევდათ ძირითადი დროის სახლში გატარება, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მათი ცხოვრების წესი და გარემომყოფებთან ინტერაქციის ხარისხი. ცხოვრების წესს ძალიან დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე, თუმცა პანდემიამდე სტუდენტები ამას ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. 2017 წელს საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ეხებოდა თვითმოვლითი ქცევის თავისებურებებს სტუდენტებში, აჩვენა, რომ სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევა დაბალი კულტურით ხასიათდება (მენაბდიშვილი, 2017). თვითმოვლითი ქცევა სოციალური ჯანმრთელობის ძირითად ელემენტს წარმოადგენს და განისაზღვრება, როგორც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ის მიემართება ცხოვრების ციკლის განმავლობაში ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიცოცხლის ვადის გაგრძელებას, თავის თავში მოიაზრებს ზრუნვას ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე (სისტემატურ სამედიცინო შემოწმებას, რაციონალურ კვებას, სრულფასოვან ძილს, ვარჯიშს). კვლევის მიხედვით, საქართველოში სტუდენტთა დიდი ნაწილის კვების რაციონი იყო არაჯანსაღი, ისინი ნაკლებად იყვნენ დაკავებულნი ვარჯიშით და არ სარგებლობდნენ სამედიცინო სერვისებით პროფილაქტიკისათვის (მენაბდიშვილი, 2017).

გამომდინარე იქედან, რომ პანდემიამ და ონლაინ რეჟიმში სწავლამ შეცვალა სტუდენტთა ცხოვრების წესის რიტმი და ჩვეულებები, მნიშვნელოვანი და აქტუალურია საკითხის შესწავლა ქართველ სტუდენტებთან მიმართებაში, რომ მივიღოთ ინფორმაცია, თუ როგორ შეიცვალა მათი ცხოვრების წესი პანდემიის დასაწყისიდან დღემდე.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

ტრადიციულად, აკადემიური განათლების უმთავრესი მეთოდი იყო სააუდიტორიო სივრცეში ლექცია-სემინარების წარმართვა. პროფესორსა და სტუდენტს შორის ურთიერთქმედება განიხილება, როგორც არსებითი სასწავლო ელემენტი ტრადიციული სწავლების ფარგლებში, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ბრძენს სცენაზე“ (O'Malley and McCraw, 1999 as cited in Shachar & Neumann, 2003).

მას შემდეგ, რაც ინტერნეტი ფართო მასებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, გამოჩნდა სწავლების ახალი მეთოდი, რომელიც დისტანციურად განათლების მიწოდების საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა სასწავლო პროგრამების ფარგლებში, რის გამოც ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ „საცხოვრებელზე დაფუძნებული მოდელი“ ( როდესაც სტუდენტები ესწრებიან ლექციებს წინასწარ განსაზღვრულ დროსა და ადგილას) გაქრებოდა უახლოეს მომავალში (O'Malley, 1999 as cited in Shachar & Neumann, 2003). დისტანციური სწავლება, თავისი კონცეფციიდან გამომდინარე, ემსგავსება პრაქტიკას, როდესაც

ჩვენ „ნებისმიერ ადგილას“ სწავლების მეთოდებიდან გადავდივართ „ნებისმიერ დროს“ სწავლების მეთოდზე (Shachar & Neumann, 2003 მოტანილია ვერულავა 2021).

მანუელ კასტელსი წერს, რომ ახალი საზოგადოების წარმოქმნას მოასწავებს ინფორმაციული ეპოქა, რომელშიც ინფორმაციულ ნაკადს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა, ხოლო ქსელები უზრუნველყოფილია საინფორმაციო, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (კასტელსი, 1996 მოტანილია ბერძენიშვილი, 2019). კასტელსი თვლის, რომ ჩვენ ინფორმაციულ ეპოქაში გადავდივართ, რომლის მთავარი მახასიათებელიც არის ქსელი. უნდა აღინიშნოს, რომ ქსელი აკავშირებს ადამიანებს, სახელმწიფოებს, ინსტიტუტებს. ამ ახალ ეპოქაში გადასვლამ მრავალი მასშტაბური შედეგი მოიტანა, თუმცა მათ შორის აღსანიშნავია მზარდი გლობალური საქმიანობა. მას სურს, რომ გამოიკვლიოს ის პრაქტიკები, რომლებიც ადამიანთა შორის ინტეგრაციას უფრო ინტენსიურს ხდის გლობალიზაციის პირობებში. კასტელსი ვარაუდობს, რომ 1970-იანი წლებიდან იწყება ინფორმაციული ეპოქა, რომელიც კაპიტალისტურ კრიზისსა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას ემთხვევა (კასტელსი, 1996 მოტანილია ბერძენიშვილი, 2019). პანდემიის გამო, საგანმანათლებლო პროცესმა გადაინაცვლა ვირტუალურ სივრცეში. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სხვადასხვა გეოგრაფიული წერტილიდან იყენებდნენ შესაბამის სასწავლო პლატფორმას და ეს საკომუნიკაციო ქსელი მათ საშუალებას აძლევდა, რომ წარემართათ კურსები „ნებისმიერ დროს“ სწავლების მეთოდით.

პანდემიის გამო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მსოფლიოს მასშტაბით, დადგნენ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის კვლევის თანახმად, მრავალპროფილური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო ონლაინ სწავლების პირობებში ერთიანი ინსტიტუციური მიდგომების დანერგვა. დისტანციური სწავლა-სწავლების პირობებში, მთავარ სირთულეებად ითვლება ის, რომ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ფლობდნენ, იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რაც მნიშვნელოვანია ამ ფორმატისათვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ელექტრონული რესურსებით მათი აღჭურვა. ასევე საყურადღებოა საუნივერსიტეტო სწავლების შესაბამისი სტანდარტების დაცვა. არ არის სწორი ისეთი მოლოდინის შექმნა, რომ ონლაინ მოდული ისე უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, როგორც სააუდიტორიო ფორმატი, რადგან ამჟამად არსებული სასწავლო კურსები, სწორედ ტრადიციული მეთოდით სწავლებისთვისაა შექმნილი. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ონლაინ სწავლებამ, დიდი ალბათობით, შეამცირა მიღებული განათლების ხარისხი, ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ პროგრამებს, რომლებიც საჭიროებს პრაქტიკულ, თუ ლაბორატორიულ მეცადინეობას. მაგალითად, ასეთ ვითარებას ვაწყდებით მედიცინის ფაკულტეტებზე. ამავდროულად, სააუდიტორიო სწავლების პირობებში არსებული აკრედიტაციის სტანდარტები არ მოითხოვდა, რომ სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიებიც ყოფილიყო ხელმისაწვდომი ბეჭდურთან ერთად, რამაც ონლაინ სწავლების პირობებში საკმაოდ დიდი სირთულე შექმნა, რადგან ზოგიერთ უნივერსიტეტში არ მოიძებნებოდა ძირითადი სასწავლო მასალების ციფრული ვერსიები (EUA, 2020 მოტანილია ბაქრაძე, 2020). პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლის დროს, გამოიკვეთა შემდეგი - აკადემიური პერსონალი არ აღმოჩნდა მზად, რომ გამოეყენებინათ

დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიები. ასეთი ვითარება მხოლოდ საქართველოში არ იყო. მაგალითად, ირლანდიაში კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კოვიდ-19 ის პირობებში სრულად დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს შეეძინა სირთულეები ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით. სტუდენტების შემთხვევაში არსებობდა ორი სახის გამოწვევა: ინტერნეტთან წვდომის ნაკლებობა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის არქონა. ირლანდიაში ჩატარებული კვლევის თანახმად, სტუდენტების უმეტესი ნაწილისათვის არის ხელმისაწვდომი ონლაინ სწავლებისათვის საჭირო რესურსები (QQI, 2020 მოტანილია ბაქრაძე, 2020).

## მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, იმის შესწავლა, თუ როგორ შეცვალა პანდემიამ ქართველ სტუდენტთა ცხოვრების წესი. მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- იმის შესწავლა, თუ როგორ შეიცვალა სწავლა/სწავლების პროცესი (მეცადინეობისთვის დათმობილი დრო, წერიტი დავალების ფორმატი და სხვა);
- იმის შესწავლა, თუ როგორ შეიცვალა სტუდენტთა თვითმოვლითი ქცევა (ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა) და თავისუფალი დროის განკარგვა;
- იმის შესწავლა, თუ როგორ შეიცვალა სტუდენტთა ინტერაქცია პირველადი (ოჯახი, ახლო მეგობრები) და მეორადი (კურსელები, ნაცნობები) ჯგუფის წევრებთან;

გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ფოკუს ჯგუფი. კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება კი განხორციელდა თემატური ანალიზის მეთოდით. კვლევისთვის სამიზნე ჯგუფად შეირჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები. თსუ-ში სტუდენტები წარმოდგენილნი არიან როგორც დედაქალაქიდან, ასევე რეგიონებიდან, რაც შესაძლებელს ხდის, რომ შესასწავლი საკითხის შესახებ დავინახოთ უფრო ფართო სურათი და გამოვკვეთოთ ტენდენციები. გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. კერძოდ, შეირჩნენ სტუდენტები, რომლებიც 2020 წლამდე ჩაირიცხნენ თსუ-ში ბაკალავრიატის საფეხურზე და ამჟამად არიან მესამე ან მეოთხე კურსზე ან დამატებით სემესტრში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწორედ მათი გამოცდილება, რადგან მათ აქვთ როგორც სააუდიტორიო, ისე ონლაინ სწავლის პრაქტიკა. შერჩევისას ასევე გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები: სქესი, საცხოვრებელი ადგილი და ფაკულტეტი.

## პანდემიის პირობებში სწავლა-სწავლების პროცესის ცვლილება

ონლაინ სწავლის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომელშიც მოიაზრება ინტერნეტი, კომპიუტერი და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი ფლობდეს მათი გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი ლექცია-სემინარებს რეგულარულად ესწრება. თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოყო კავშირი სწავლებით კმაყოფილებასა და ლექციებზე დასწრებას შორის. ისინი, ვინც კმაყოფილნი იყვნენ სწავლების ონლაინ ფორმატით, რეგულარულად ესწრებოდნენ ლექციებს, ხოლო ისინი, ვინც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას - არა. რეგულარულად არ დასწრების მიზეზი კი 17 % - ის შემთხვევაში იყო ინტერნეტსა და ელექტრონულ მონაცემების ნედომის არქონა, ხოლო 63% ის შემთხვევაში კი, მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობა აღნიშნულზე (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (თსუ), 2020). ფოკუს ჯგუფების შემთხვევაში დადგინდა, რომ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა სტუდენტის სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი წინაპირობა არ არის. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი (როგორც ურბანული, ისე რურალური დასახლების ტიპიდან), რომლებიც ნეგატიურად არიან განწყობილნი ონლაინ სწავლის მიმართ, ფლობენ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს. ფოკუს ჯგუფების ფარგლებში არ გამოვლენილა ისეთი მონაწილე, რომელსაც ექმნება პრობლემა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების კუთხით, შესაბამისად, ონლაინ სწავლის პროცესში ეს მათთვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას:

*„მე არ მექმნება ამ სახის პრობლემა. არც ხელმისაწვდომობის კუთხით და არც იმით, რომ ვერ ვახერხებ რაიმე ტექნიკის საჭიროებისამებრ გამოყენებას.“ ( თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; მდებარეობითი; ურბანული ტიპის დასახლება).*

დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს ონლაინ რეჟიმშიც უჭირთ სამსახურისა და სწავლის შეთავსება:

*„ არჩევანის გაკეთება მომიწია, ან უნდა მემუშავა, ან უნდა დავსწრებოდი ლექციებს და მომიწია, რომ გამეკეთებინა არჩევანი ლექციებზე. დავთმე სამსახური იმიტომ, რომ ვერ შევათანხმე ვერსად გრაფიკი.“ ( თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; რურალური ტიპის დასახლება).*

ონლაინ სწავლის ფორმატმა გავლენა იქონია საუნივერსიტეტო შეფასებაზე. ლუბლიანას უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სააუდიტორიო სწავლის ონლაინ ფორმატით ჩანაცვლებამ პანდემიის პერიოდში, ფაქტობრივად, ყველა უნივერსიტეტში საჭირო გახდა შეფასების სისტემის ცვლილება. შეფასების ყველაზე გავრცელებულ ფორმად დასახელდა წერიტი დავალებები, ასევე პლატფორმა ზუმის მეშვეობით ზეპირი გამოკითხვა და დისკუსიების გამართვა (Aristovnik, Keržič, Ravšelj, Tomažević, & Umek, 2020). ფოკუს ჯგუფების ფარგლებში სტუდენტებმა ძირითადად უკმაყოფილება გამოთქვეს დასწრებისა და ზეპირი გამოკითხვის კომპონენტებთან დაკავშირებით, რადგან თვლიან, რომ ონლაინ ფორმატი არ იძლევა ამ კუთხით ობიექტური შეფასების საშუალებას, რასაც განაპირობებს დაბალი კონტროლის მექანიზმები. თითქმის ყველა რესპონდენტი დადებითად აფასებს დავალების ფორმატის ცვლილებას. მათ მოსწონთ, რომ ახალი ტიპის დავალებები მეტად არის ორიენტირებული ანალიტიკური უნარების გამომუშავებასა და ინდივიდუალურ მსჯელობაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას გამოთქვამენ მხოლოდ ქალი მონაწილეები. ორი ფაკულტეტის წარმომადგენელი ამბობს, რომ დავალების ფორმატი არ შეცვლილა ონლაინ სწავლის პირობებში, რაც მათი სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

ფოკუს ჯგუფების პრაქტიკულად ყველა მონაწილე პოზიტიურად აფასებს ლექტორებს ლექცია-სემინარების გაძღოლის კუთხით, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი ამ ფორმატშიც ხარისხიან განათლებას აწვდიან სტუდენტებს საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისად.

ნაშრომში „ახალი საგანმანათლებლო რეალობა ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები“ ვკითხულობთ, რომ ონლაინ სწავლებამ ნეგატიური გავლენა იქონია მიღებული განათლების ხარისხზე. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ პროგრამებს, რომლებიც საჭიროებს პრაქტიკულ, თუ ლაბორატორიულ მცადინეობებს. მაგალითად, ასეთ ვითარებას ვაწყდებით მედიცინის ფაკულტეტზე (EUA, 2020 მოტილია ბაქრაძე, 2020). ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა გარკვეული ნაწილი ონლაინ სწავლას არაეფექტიანად მიიჩნევს, ამის მიზეზად კი ასახელებენ გამარტივებულ შეფასებას, გადაწერის ალბათობის ზრდას, პრაქტიკული კურსების არასრულფასოვნებას და სოციალური ინტერაქციების ნაკლებობას. ასევე სტუდენტები თვლიან, რომ ონლაინ სწავლის ეფექტიანობა დამოკიდებულია ფაკულტეტის სპეციფიკაზე:

*„მიკროსკოპს ელექტრონულად სამუხაროდ ვერ გამოვიყენებთ. ამიტომ, პრაქტიკები, მაგალითად უჯრედის მორფოლოგიის დათვალიერება და ასე შემდეგ, შეუძლებელია, ონლაინ გაკეთდეს. ახლა ქირურგიას გავდივართ და ონლაინ გვინევს ვისწავლოთ, თუ როგორ უნდა მოვუაროთ პაციენტს, როდესაც ეს უნდა გაგვეკეთებინა საავადმყოფოში“ ( თსუ მედიცინის ფაკულტეტი; ურბანული ტიპის დასახლება).*

### **პანდემიის პირობებში სტუდენტთა თვითმოვლითი ქცევის ცვლილება**

ჩინეთში ჩატარდა კვლევა, თუ რა გავლენა მოახდინა კოვიდ-19-ის პანდემიამ სტუდენტთა მენტალურ ჯანმრთელობაზე. გამოკითხულ სტუდენტთა 41%-ს აღნიშნებოდა შფოთვითი აშლილობა. სტუდენტებს, რომლებსაც უწევდათ პანდემიის გამო სახლში ყოფნა და განიცდიდნენ ინტერაქციების ნაკლებობას, მიდრეკილნი იყვნენ სტრესისკენ და დეპრესიისაკენ (Lv, et al., 2021). ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ნეგატიური ინფორმაციები უარყოფითად აისახება ფსიქიკაზე. ისინი მიიჩნევენ, რომ ყოველდღიურად გამოქვეყნებული ინფორმირებულთა რიცხვი, გარდაცვლილთა სტატისტიკა დიდ ზიანს აყენებდა მათ ფსიქიკას.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ინტერაქციების ნაკლებობა იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს. მათი თქმით, სტუდენტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქტიური კომუნიკაცია, სოციალიზაცია, ონლაინ პლატფორმები კი არ იძლევა ამ ყველაფრის საშუალებას. აღნიშნავენ იმასაც, რომ მრავალრიცხოვან ოჯახში ონლაინ სწავლების პროცესი განსაკუთრებით რთულია, რადგან ძნელია ხმაურის ფონზე სასწავლო აქტივობებში ჩართვა და მასზე კონცენტრირება. ასევე მათთვის

სტრესული იყო დისტანციური სწავლებისა და რეგულაციების გამო მუდმივად სახლში ყოფნა, რამაც გაუძლიერათ შფოთვა.

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სხვაობა სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოლოდინსა და რეალობას შორის, გახდა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი:

„ყველა გვეუბნებოდა, რომ სტუდენტობის წლები არის საუკეთესო, რომელსაც ვერ დაივიწყებ ვერასდროს. როდესაც ამ სტერეოტიპის ქვეშ ვიზრდებოდით ძალიან ბევრი თაობა, მოლოდინი გვექონდა, რომ საუკეთესო წლები უნდა გვექონოდა და რეალობა დადგა აბსოლუტურად განსხვავებული. შესაბამისად, განსხვავება მოლოდინსა და რეალობას შორის, ერთ-ერთი მიზეზია იმის, რომ წარმოიშვა დეპრესია და შფოთვა“ (თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი; ურბანული ტიპის დასახლება).

კვლევაში „ფსიქოლოგების როლი კოვიდ-19-ის პანდემიისას“ აღნიშნულია, რომ პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადამიანებს, რასაც მოჰყვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პარალელური პანდემია. აქედან გამომდინარე კი, გაიზარდა მიმართვიანობა ფსიქოლოგებთან, რადგან ადამიანები თვლიდნენ, რომ ეს იყო ყველაზე ეფექტიანი გზა მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის (Karekla, et al., 2021). ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგთან კონსულტაცია სტრესის დაძლევის გავრცელებული პრაქტიკაა. ამბობენ, რომ მათ გარშემო, ბევრი ნაცნობი თუ მეგობარი გადის კონსულტაციას ფსიქოლოგთან (მათ შორის სტუდენტები), რამდენადაც საკუთარი ძალებით, დამოუკიდებლად, ვერ ახერხებენ სტრესის გადალახვას.

კვლევის „ფიზიკური აქტივობა და მჯდომარე ცხოვრების წესი უნივერსიტეტის სტუდენტებში“ თანახმად, კვირის განმავლობაში ონლაინ სწავლების გამო სტუდენტებს 7-8 საათით მეტი დროის გატარება უწევთ მჯდომარე პოზიციაში, ვიდრე სააუდიტორიო მეცადინეობის დროს, რამაც გამოიწვია ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესება (Romero-Blanco, et al., 2020). ფოკუს ჯგუფების მონაწილეთაგან პრაქტიკულად ყველა თანხმდება იმაზე, რომ ონლაინ სწავლებამ გამოიწვია მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები. ისინი აღნიშნავენ, რომ საათობით კომპიუტერის გამოყენებამ ლექცია-სემინარების გამო, სასწავლო მასალების პდფ ფორმატში კითხვამ, საგრძნობლად დააზიანა მათი მხედველობა. აღნიშნა, რომ სტუდენტთა დიდ ნაწილს უწევს სათვალის ტარება მაშინ, როცა მანამდე არ გააჩნდათ ამის საჭიროება. სტუდენტები ასევე გამოყოფენ წონის მატებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ისევე როგორც ტკივილს წელის არეში. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია ნაკლები ფიზიკური აქტივობით.

ცხოვრების წესს ძალიან დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში სტუდენტთა დიდი ნაწილის კვების რაციონი იყო არაჯანსაღი, ისინი ნაკლებად იყვნენ დაკავებულნი ვარჯიშით და არ სარგებლობდნენ სამედიცინო სერვისებით პროფილაქტიკისათვის (მენაბდიშვილი, 2017). ფოკუს ჯგუფების დისკუსიის მიხედვით, სისტემატური სამედიცინო შემოწმება აღმოჩნდა ის პრაქტიკა, რომელსაც რესპონდენტების

უმრავლესობა ნამდვილად არ აქცევდა ყურადღებას, არც პანდემიამდე და არც შემდგომ პერიოდში. დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ისინი პანდემიამდე დაკავებულნი იყვნენ სხვადასხვა ფიზიკური აქტივობით, ხოლო რესპონდენტთა ნაწილი სრულფასოვან ძილსა და რაციონალურ კვებასაც უთმობდა ყურადღებას. რაც შეეხება პანდემიის პერიოდს, ამას არ ჰქონია დადებითი გავლენა სტუდენტთა თვითმოვლითი ქცევის კულტურაზე, რადგან მონაწილეები ამბობენ, რომ ნაკლებად იყვნენ დაკავებულნი ფიზიკური აქტივობით, დაირღვა მათი ძილის რეჟიმი, რაც ასევე კვებაზეც ნეგატიურად აისახა.

პანდემიის პირობებში სტუდენტებმა გაიჩინეს ახალი ინტერესები და უფრო მეტად განავითარეს მათი ჰობი. ამის მიზეზი კი გახდა თავისუფალი დროის ქონა. მაგალითად, დაიწყო მუსიკალური ინსტრუმენტებზე დაკვრის შესწავლა, დაინტერესდნენ კულინარიით. სტუდენტები ამბობენ, რომ მეტი დრო დარჩათ საყვარელი აქტივობებისათვის, მაგალითად, დიდი დრო დაუთმეს მათთვის საინტერესო ლიტერატურის კითხვას, ასევე სერიალებისა თუ ფილმების ყურებასა და სხვა:

*„ მე, რაც პანდემია დაიწყო, მეტი თავისუფალი დრო მრჩება, რომ ვაკეთო ის, რაც მსიამოვნებს და ახალი აქტივობა, მაგალითად, დავიწყე ვიტარაზე დაკვრა.“ ( თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; ურბანული ტიპის დასახლება).*

### **პანდემიის პირობებში სტუდენტთა ინტერაქციის ცვლილება პირველადი და მეორადი ჯგუფის წევრებთან**

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრებთან ურთიერთობის კუთხით, პანდემიას ჰქონდა დადებითი გავლენა, რადგან შეძლეს მშობლიურ ქალაქში/სოფელში დაბრუნება, რამაც გააუმჯობესა მათი ინტერაქცია ოჯახის წევრებთან. ხოლო დანარჩენი რესპონდენტები კი აღნიშნავენ, რომ პანდემიას ჰქონდა ნეგატიური გავლენა მათ ინტერაქციაზე ოჯახის წევრებთან. მიიჩნევენ, რომ სტრესული სიტუაციის გამო, ოჯახის წევრები უხეშები გახდნენ ერთმანეთის მიმართ. გამოიკვეთა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მშობლიურ სახლში დაბრუნება იყო დისკომფორტი, რადგან სტუდენტი ვეღარ ეგუებოდა იქ არსებულ ცხოვრების სტილს. პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მათ პანდემიისას ახლო მეგობრებთან კონტაქტი შეინარჩუნეს სოციალური ქსელების მეშვეობით და, ზოგ შემთხვევაში, უფრო დაუახლოვდნენ მათ:

*„ მომიწია რაიონში ჩასვლა, დაახლოებით 1 თვის შემდეგ ძალიან ცუდად იმოქმედა ურთიერთობებზე იმიტომ, რომ სხვანაირი ცხოვრების სტილი მექონდა და ის, რომ მუდმივად სახლში ჯდომა, დისტანციურად მუშაობა და სწავლა მიწვედა, ჩემზე აისახა ძალიან ცუდად და გავხდი ძალიან უხეში ოჯახის წევრების მიმართ“ ( თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ურბანული ტიპის დასახლება).*

მანუელ კასტელის მოდელი სახლისა და სამუშაო სივრცის შესახებ, კარგად გამოხატავს, თუ როგორ ჩაანაცვლა სახლმა საგანმანათლებლო სივრცე პანდემიისას. ის მიიჩნევს, რომ ქსელური

საზოგადოება არსებობს იმ საზოგადოების პირობებში, სადაც ელექტრონული კომუნიკაცია იქცევა სოციალური ინტერაქციის ერთ-ერთ ძირითად ფორმად. ასეთ პირობებში კი იქმნება ერთგვარი ვირტუალური სამეზობლო, რომელსაც ქმნის ქსელებში ჩართულ ადამიანთა ინტერაქცია (კასტელსი, 1996 მოტანილია კაჭკაჭიშვილი, 2014). მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა რესპონდენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ონლაინ სწავლას აქვს უარყოფითი გავლენა სტუდენტთა ინტერაქციაზე ლექცია-სემინარების დროს. ამავდროულად, კურსელების ურთიერთობა ლექციებისა და სემინარების მიღმა მიმდინარეობს ძირითადად სოციალური ქსელების მეშვეობით, რასაც არაეფექტიანად მიიჩნევენ:

*„ როდესაც ზუმში ტარდება ლექცია თუ სემინარი, ლექცია-სემინარების შემდეგ, სტუდენტთა ურთიერთობა უმრავლეს შემთხვევაში წყდება, ლექცია-სემინარების დროს შეიძლება კიდევ იყოს, მაგრამ მაგის იქით აღარ გრძელდება“ ( თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ურბანული ტიპის დასახლება).*

## დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები ფლობენ ონლაინ სწავლებისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და მათი გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ 21-ე საუკუნის ახალგაზრდებმა ზოგადად იციან ტექნიკასთან ურთიერთობა, ასევე სასკოლო განათლების კომპონენტები გარკვეულწილად ორიენტირებულია იმაზე, რომ საბაზისო უნარ-ჩვევები ჰქონდეთ მოსწავლეებს. ამის მიუხედავად, ონლაინ სწავლებით უკმაყოფილება სავარაუდოდ გამოწვეული იყო იმით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ისევე როგორც თავად სტუდენტებისთვის, ეს იყო ახალი გამოწვევა, რომლის პრაქტიკაც მათ აქამდე არ ჰქონიათ. თუ შევხებით სოციო-კულტურულ ფაქტორებს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საზოგადოებაში სიახლეების მიმართ არსებობს დაბალი მიმღებლობა, რაც ასევე ხსნის საკმაოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას ონლაინ სწავლა/სწავლების მიმართ.

მონაწილეთა თქმით, გაიზარდა ფსიქოლოგებთან მიმართვიანობა. ჩვენს საზოგადოებაში მენტალური ჯანმრთელობის საკითხი საკმაოდ სტიგმატიზირებული იყო და ასევე ადამიანებს არ სურდათ, მიემართათ ფსიქოლოგისთვის, ეს ერთი მხრივ, განპირობებული იყო დაბალი ნდობით, მომსახურების სიძვირით და მეორე მხრივ, ეშინოდათ, რომ თავად გახდებოდნენ სტიგმის მსხვერპლნი. თუმცა პანდემიის პირობებში, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გახდა ძალიან თვალსაჩინო და ფსიქოკონსულტაციის ცენტრებისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაიწყო აქტიური კამპანია, რათა დაემარცხებინათ სტიგმა და ადამიანებს, მათ შორის სტუდენტებს, მიეღოთ საჭირო ფსიქოლოგიური დახმარება.

რაც შეეხება ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, გამოიკვეთა მხედველობის გაუარესებისა და ხერხემლის პრობლემების საკითხი. კომპიუტერულ ტექნიკასთან აქტიური ურთიერთობის გამო,

ახალგაზრდების დიდ ნაწილს ისედაც ჰქონდა გარკვეული სახის ოფთალმოლოგიური პრობლემები, თუმცა პანდემიის პერიოდში ეს კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან სწავლა, მუშაობა და გარემომყოფებთან ინტერაქცია ონლაინ მიმდინარეობდა, რამაც ძალიან გაზარდა ეკრანთან ურთიერთობის დრო. პანდემიის პერიოდში შემცირდა სტუდენტთა ფიზიკური აქტივობა, რადგან ისინი ფაქტობრივად ყველაფერს სახლიდან გაუსვლელად აკეთებდნენ და გაიზარდა უმოძრაოდ ყოფნის ხანგრძლივობა. ეს კი იწვევს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებებს.

რაც შეეხება სტუდენტთა თვითმოვლით ქცევას, აღმოჩნდა, რომ პანდემიამდე ისეთ პრაქტიკებს, როგორებიცაა: ვარჯიში, სრულფასოვანი ძილი და კვება უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე პანდემიის პერიოდში. ხოლო რეგულარული სამედიცინო შემოწმება უყურადღებოდ რჩებოდა პანდემიამდეც და იგივე ვითარებაა ახლაც. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სამედიცინო სერვისებსა და მედიკამენტებზე მაღალი ფასებით. ამავდროულად, ახალგაზრდები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პროფილაქტიკის მიზნით ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას. ხოლო ვინც სარგებლობდა სამედიცინო სერვისებით, პანდემიის გამო მათ ჰქონდათ შიში, რადგან არ სურდათ, რომ კოვიდ პაციენტებთან ჰქონოდათ რაიმე სახის კონტაქტი. ამავდროულად, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა თვითმკურნალობა ან უნდობლობა ექიმების მიმართ.

სტუდენტებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა ონლაინ სივრცეში კომუნიკაცია, რამაც ძალიან შეამცირა კურსელებს შორის ინტერაქციის ხარისხი ლექცია-სემინარების დროს და გაართულა დისკუსიების წარმართვა. სტუდენტებს გაუჭირდათ ლექცია-სემინარების მიღმა ვირტუალურ სივრცეში კომუნიკაცია. ისინი, ფაქტობრივად, არ იცნობდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ, რომ სოციალური ქსელების მეშვეობით ჰქონოდათ გარკვეული ურთიერთობა, თუმცა მეორადი ჯგუფების შემთხვევაში ეს არ აღმოჩნდა ეფექტიანი გზა. რაც შეეხება პირველადი ჯგუფის წევრებთან ურთიერთობას, აღმოჩნდა, რომ ახლო მეგობრებთან კომუნიკაციას ონლაინ სივრცეში უკეთ გაართვეს თავი და გარკვეულ შემთხვევებში უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ხანგრძლივი ურთიერთობა და ინტერაქციის მეტი სურვილი პირველადი ჯგუფის წევრებთან, ხოლო კურსელების შემთხვევაში ის, რომ ფიზიკურად არ იცნობდნენ ერთმანეთს, იყო ბარიერი.

გამომდინარე კვლევის იმ შედეგიდან, რომ პანდემიის პერიოდში სტუდენტებს შეექმნათ პრობლემები მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, რომ ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი იყოს უფასოდ ფსიქოლოგის სატელეფონო კონსულტაცია. ამავდროულად, რამდენადაც სტუდენტებს ექმნებათ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები (რაც ძირითადად გამოწვეულია უმოძრაობით), სასურველია, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში დაინერგოს FitPass-ის პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, სტუდენტებს შეეძლებათ ხელმისაწვდომ ფასად დაკავდნენ მათთვის საინტერესო სპორტული აქტივობებით. იმისათვის, რომ გაიზარდოს რეგულარულ სამედიცინო შემოწმებაზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის ხარისხი, მიზანშეწონილია, რომ ა) სტუდენტებს მიანდონ სრულყოფილი ინფორმაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით უზრუნველყოფილი სამედიცინო სერვისების შესახებ და ბ) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სტუდენტებისთვის

გათვალისწინებული იყოს უფრო მრავალფეროვანი სერვის-პაკეტების შეთავაზება. ამასთანავე, უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა სოციალურ ჩართულობას ინტერაქციის გაუმჯობესების მიზნით.

## ბიბლიოგრაფია

- Aristovnik, A., Keržič, D., Ravšelj, D., Tomažević, N., & Umek, L. (2020). impacts of the covid-19 pandemic on life of higher education students. *Ljubljana: Slovenian Research Agency*.
- Barovski, C., Kessel, P. V., Scheller, A., & Smith, A. (2021). The Struggles and Silver Linings of the COVID-19 pandemic. *Washington, D.C: Pew Research Center*.
- Karekla, M., Höfer, S., Plantade-Gipch, A., Dias Neto, D. D., Schjødt, B., David, D., . . . Hart, J. (2021, August 9). The Role of Psychologists in Healthcare During the COVID-19 Pandemic. *European Journal of Psychology Open*, pp. 5-17.
- Lv, Z., Anderson-Luxford, D., Lv, C., Song, X., Zong, Q., Yan, S., & Fu, W. (2021). Mental health of college students during the COVID-19 epidemic in China. *Journal of Affective Disorders*.
- Romero-Blanco, C., Rodríguez-Almagro, J., Onieva-Zafra, M. D., Parra-Fernández, M. L., Prado-Laguna, M. d., & Hernández-Martínez, A. (2020, September 9). Physical Activity and Sedentary Lifestyle in University Students: Changes during Confinement Due to the COVID-19 Pandemic. *International Journal of Environmental Research and Public Health*.
- Shachar, M., & Neumann, Y. (2003). *Differences Between Traditional and Distance Education Academic Performances: A meta-analytic approach*. *International Review of Research in Open and Distance Learning*, 1-20.
- World Health Organization. (2020). *Coronavirus disease 2019 (COVID-19) Situation Report – 41*. Retrieved from World Health Organization: <https://apps.who.int>
- World Health Organization . (2020, March 11). *WHO Director-General's opening remarks at the media briefing on COVID-19 - 11 March 2020*. Retrieved from World Health Organization: <https://www.who.int>
- ბაქრაძე, ლ. (2020). *ახალი საგანმანათლებლო რეალობა ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები*. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი . Retrieved from <http://erasmusplus.org.ge/>.
- ბერძენიშვილი, ა. (2019). *თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- დონაძე, ნ. (2016). *ცხოვრების წესი (Mode of Life)*. Retrieved from ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: <http://Dictionary.scc.ge>.
- დონაძე, ნ. (2016). *ჯგუფი (Group)*. Retrieved from ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: <http://dictionary.css.ge/>

ვერულავა, თ. (2021). დისტანციური სწავლება -21-ე საუკუნის ახალი ტენდენცია გლობალური პანდემიების ხანაში. *გლობალიზაციის გამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში* (pp. 134-139). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კაჭკაჭიშვილი, ი. (2014). *სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება*. თბილისი.

მენაბდიშვილი, ნ. (2017). თვითმოვლეთი ქცევა სტუდენტებში. *თვითმოვლეთი ქცევა სტუდენტებში*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (თსუ). (2020). *სტუდენტური გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ*. Retrieved from [www.tsu.ge](http://www.tsu.ge).



**„ალტ-ინფოს“ კონსერვატიული მოძრაობის დამკვიდრება საქართველოში და მისი თანმდევი პროცესები გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მაგალითზე (შედარებითი ანალიზი)**

**მელანო ბერიძე**

**მარიამ კვეტენაძე**

სოციოლოგიის და პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [melanoberidze2000@gmail.com](mailto:melanoberidze2000@gmail.com)

E-mail: [mariamkvetenadze28@gmail.com](mailto:mariamkvetenadze28@gmail.com)

## აბსტრაქტი

პროპაგანდისტული, მკვეთრად პრორუსული, ძალადობრივ-ჰომოფობიური და ანტიდასავლური მოწოდებებით დატვირთული „ალტ-ინფოს“ გარშემო განვითარებული მოვლენები საზოგადოებისთვის პროტესტის საგანი გახდა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც პროპაგანდისტული ნარატივების გამავრცელებელმა ორგანიზაციამ, „ალტ-ინფომ“ სოციალური პლატფორმიდან „კონსერვატიული მოძრაობის“ დაარსების შემდეგ (ISFED, 2022) გავლენის გაზრდის მიზნით საქართველოს მასშტაბით რაიონული ოფისების გახსნა 2021 წლის იანვრიდან დაიწყო. ამ ფაქტს კი საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოჰყვა. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოფისის გახსნას ხმაური ახლდა, რომელმაც ინტენსიური ხასიათი მიიღო. „ალტ-ინფოს“ იფისთან შეკრებილები აპროტესტებდნენ ოფისის გახსნის დაანონსებას და აცხადებდნენ, რომ „გურიაში „ალტ-ინფო“ ფებს ვერ მოიკიდებს“ (Guria tv, 2022) სწორედ ამის ნიადაგზე ჩამოყალიბდა სამოქალაქო მოძრაობა „თავისუფლებისთვის“. თუმცა ცალკეულ რეგიონებში, მოსახლეობის მხრიდან გამოვლენილი წინააღმდეგობის სიმძლავრე და ინტენსივობა განსხვავებულია. მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგობის ყველაზე ძლიერი ტალღა ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან მოდიოდა. რაც შეეხება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს, ამ უკანასკნელში „ალტ-ინფომ“ ჯერ კიდევ 2021 წლის მაისიდან ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში განვითარებული მოვლენების გამო დაიმსახურა კეთილგანწყობა-ულტრანაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელი „ალტ-ინფო“ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში არსებული მდგომარეობის სანახავად უფრო ადრე შეუმვეს, მაშინ როცა სახალხო დამცველს ამისთვის საკმაოდ დიდი ღრო დასჭირდა (netgazeti.ge, 2021).

წინამდებარე სტატია აანალიზებს საქართველოს ორ რეგიონში, გურიასა და სამცხე-ჯავახეთში კონსერვატიული მოძრაობის ოფისების გახსნასთან დაკავშირებით არსებულ მოვლენებს.

სტატიის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა ბრიტანელი სოციალური ფსიქოლოგის ჰენრი თაჯფელის „სოციალური იდენტობის თეორია“, რომელიც ხსნის თუ რა გავლენას ახდენს სოციალური იდენტობის ფორმირება ამა თუ იმ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობაზე. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდს და მედიების თვისებრივ კონტენტ-ანალიზს. საკვლევი მედიები და გამოკითხული რესპონდენტები მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე შეირჩნენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ რეგიონებში კონსერვატიული მოძრაობის ოფისების გახსნასთან დაკავშირებით მოსახლეობის განსხვავებული დამოკიდებულებები სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში (სამცხე-ჯავახეთში) ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული იდეოლოგიის მიმართ მიმღებლობა გამოწვეულია ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკური პროცესების მიმართ არდაინტერესებით და მის მიმართ ნიჰილისტური განწყობით. აქ ალტ-ინფოს ოფისების გახსნასთან დაკავშირებით რეზისტენტულობის დაბალი ხარისხი შეიძლება სწორედ ამით აიხსნას.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთი, ლიბერალიზმი, ფაშისტები, რადიკალი, ექსტრემიზმი, კონსერვატიზმი, ნაციონალიზმი.

## შესავალი

ულტრამემარჯვენე, ძალადობრივი გაერთიანება, „ალტ-ინფო“ საზოგადოებისთვის განსაკუთრებით ცნობილი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გახდა. გზა, რომელიც მკვეთრად პროორუსულმა და ანტიდასავლურმა ორგანიზაციამ დაარსების დღიდან დღემდე განვლო დატვირთულია ანტილიბერალური ლოზუნგებით, პროორუსული ორიენტაციის დიად გამოხატვისა და ძალადობრივი ქმედებების განხორციელებით საქართველოს მოქალაქეები მიმართ. ოფიციალურად, შპს „ალტ-ინფო“ 2019 წლის 28 იანვარს დაფუძნდა, თუმცა მანამდე სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ გამოვლინდა, რომ მასთან აფილირებული „ფეისბუქ“-გვერდების მეშვეობით „ალტ-ინფო“ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში უკვე ამკვიდრებდა ანტიდემოკრატიულ და ანტილიბერალურ ღირებულებებს საზოგადოებაში. ISFED-ის თანახმად, ამ დროისთვის „ალტ-ინფოს“ მესიჯები მოიცავდა როგორც ანტილიბერალურ, ისე ნაციონალისტურ, დიად ანტიდასავლურ და ანტისაიმიგრაციო გზავნილებს.<sup>1</sup> დაჯგუფების პრობლემატურობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ სწორედ ამ გაერთიანების ორგანიზების შედეგია 2021 წლის 5 ივლისი, როდესაც ჰომოფობიური მოტივებით მასშტაბური ფიზიკური ძალადობა განხორციელდა ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე, მომხდარს კი ჟურნალისტი- ალექსანდრე ლაშქარავაც ემსხვერპლა. ამ დაჯგუფებამ მედიაპლატფორმიდან მალევე პოლიტიკური პარტიის ფორმატში გადაინაცვლა, რამაც მისი საჯარო დისკურსში მეტი წარმომადგენლობა უზრუნველყო. უფრო კონკრეტულად, 2021 წლის 20 ნოემბერს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ „ალტ-ინფომ“ დააფუძნა პოლიტიკური პარტია სახელწოდებით- „კონსერვატიული მოძრაობა“, რის შემდეგაც „ალტ-ინფომ“ მალევე უზრუნველყო ფინანსური რესურსების მობილიზება და საქართველოს რეგიონებში სწრაფი ტემპით ოფისების გახსნა, რასაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. თუ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ოფისების გახსნას საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია, გურიაში ამ მოტივით სამოქალაქო მოძრაობა- „თავისუფლებისთვის“ დაფუძნდა, რომელმაც აქტიურობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი გამოვლინა და მთელი ქვეყნის ყურადღების ობიექტებში მალევე მოექცა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი თავდასხმებისა და საომარი მოქმედებების ფონზე, მაშინ როცა, მთელი საზოგადოების ყურადღება უკრაინაში განვითარებული მოვლენებისკენ იყო მიპყრობილი, „ალტ-ინფოს“ პროორუსული პარტია საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით ხსნიდა

<sup>1</sup> „ალტ-ინფოს“ კოორდინირებული ფარული ოპერაცია Facebook-ზე, (2020) სოციალური მედიის მონიტორინგი <https://www.isfed.ge/geo/sotsialuri-mediis-monitoringi/alt-infos-koordinirebuli-faruli-operatsia-Facebook-ze>

ოფისებს. ფაქტია, რომ რუსეთის ბრძოლის ტაქტიკა ინფორმაციული ეპოქის პირობებში არის ჰიბრიდული ომი. რუსეთის იდეოლოგიასთან და ღირებულებებთან მკვეთრად დაკავშირებული „ალტ-ინფოს“ საქმიანობაც სხვას არაფერს ემსახურება თუ არა ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის გატარებით რუსული ნარატივის გავრცელებასა და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის გზით და რიგი პროპაგანდისტული იარაღის გამოყენებით საზოგადოების დაყოფას პრორუსულ და პროდასავლურ ჯგუფებად.

მოსახლეობის მხრიდან პრორუსული და ძალადობრივი „ალტ-ინფოს“ იდეოლოგიის მიმართ რეზისტენტობით მკვეთრად განსხვავებული ხარისხი კვლევის ინტერესის მთავარი სფეროა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის 2019 წლის (მაისი-აგვისტო) სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგად, რომელიც მომზადდა პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმისა და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ - ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ „ალტ-ინფო“ მეტწილად პატრიოტულ ღირებულებებსა და ეთნონაციონალისტურ თემებზე აპელირებს. მოცემული კვლევა ასევე გამოყოფს რამდენიმე ძირითად მიგნებას, მათ შორის არის ისიც, რომ ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკა ხასიათდება მკვეთრად ანტიდასავლური და ანტილიბერალური ღირებულებების გავრცელებით, ხოლო სოციალურ და ონლაინ მედიაში მიმდინარე ულტრამემარჯვენე დისკურსი ხასიათდება, ერთი მხრივ, ეთნო- ნაციონალისტური თვისებებით, ხოლო, მეორე მხრივ, მკვეთრად პრორუსული გზავნილებით. კვლევის შედეგად დადგინდა ისიც, რომ მსგავსი ძალადობრივი და ულტრამემარჯვენე გაერთიანებებისთვის თავდასხმის მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, მიგრანტები და ლიბერალები.<sup>2</sup>

### ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიას, სტრატეგიას თუ აქტივობას, რომლებიც სახელმწიფოს მართვასთან და ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასთან არის კავშირში. ამ საკითხების სისტემატიზებისთვის ყალიბდება პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც აღწერს სახელმწიფოს მართვის სტილსა და პოლიტიკური სისტემის შინაგან ბუნებას. პოლიტიკური იდეოლოგია ტრადიციული გაგებით, იყოფა მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ მიმდინარეობებად. მათგან, მემარჯვენე მიმდინარეობა კონცენტრირდება ტრადიციული ფასეულობების ირგვლივ და უფრო მეტად კონსერვატიულია. ტრადიციულად მემარჯვენეობასთან ასოცირდება ეროვნული ფასეულობებისადმი ერთგულება, ერის და ნაციის უპირატესობის წარმოჩენა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა იტალიაში ფაშიზმის სახელით წოდებული ულტრამემარჯვენე

<sup>2</sup> 2019 წლის სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგები (მაისი-აგვისტო), „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი <http://www.democracyresearch.org/files/4DRI%20-%204%20vis%20angarishi.pdf>

პოლიტიკური იდეოლოგია და გერმანიაში ჰიტლერისეული ნაცისტური იდეოლოგია. აღნიშნული პოლიტიკური იდეოლოგიები უფრო მეტად ხასიათდებიან რადიკალიზმით, ერის თვითმყოფადობის იდეის შენარჩუნებით, ტრადიციების, სინმინდის დაცვითა და რასობრივი და ეროვნული უპირატესობების წარმოჩენით.

ულტრამემარჯვენე ძალების პოლიტიკურ დღის წესრიგში გამოჩენას, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, განსხვავებული ფაქტორები განსაზღვრავდა.

მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების წარმატება ომისშემდგომ ევროპაში ძირითადად რამდენიმე ტალღად შეიძლება დაიყოს (ფონ ბეიმე, 1988, 6). მესამე ტალღა, რომელიც დაიწყო 1980-იან წლებში იყო ყველაზე წარმატებული. ულტრამემარჯვენე პარტიებმა მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, ხორვატიის, ესტონეთის, ფინეთის, იტალიის, ლატვიის, ნიდერლანდების, პოლონეთის, სერბეთის, სლოვაკეთის, შვეიცარიის კოალიციურ მთავრობებში და მათ მხარი დაუჭირეს უმცირესობათა მთავრობებს ბულგარეთში, დანიაში, ნიდერლანდებსა და ნორვეგიაში. (de Lange, 2012; Bustikova, 2014). მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ არ შესულან ეროვნულ მთავრობაში, ეს პარტიები გავლენიანია სხვა მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ბელგიაში (ფლანდრია) და უნგრეთში. ულტრამემარჯვენეების ხელახლა გაჩენამ გამოიწვია შემოთქმვა პოლიტიკური „ისტებლიშმენტის“ სეგმენტებში. მიუხედავად ამ უაღრესად თვალსაჩინო წარმატებებისა და მათ მიერ პროვოცირებული ფართო უსიამოვნებისა, ულტრამემარჯვენე პარტიები რჩება მარგინალურ საარჩევნო ძალად ევროპის უმეტეს ქვეყნებში (Mudde, 2007). აღსანიშნავია, რომ ულტრამემარჯვენე იდეოლოგიები ან რადიკალურია ან ექსტრემისტული.

ულტრამემარჯვენე ძალების აღზევება იწყება 2014 წლიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპაში იწყება მიგრანტთა კრიზისი. 2015 წელს გერმანიაში იქმნება პარტია- „ალტერნატივა გერმანიისთვის“. მერკელის საიმიგრაციო პოლიტიკის საპირწონედ, ეს პარტია იწყებს აღზევებას გერმანიაში. 2016 წელს არჩევნებში მესამე ადგილზე გავიდა აღნიშნული პარტია. ამდენად, მიგრანტთა მიმართ არსებული სახელისუფლებო პოლიტიკა აღმოჩნდა ამგვარი პარტიის დაარსების წინაპირობა. აქ ჩნდება იდეოლოგიური დილემა- დიდი ლიბერალიზმი იწვევს დიდ ულტრანაციონალიზმს. მსგავსად გერმანიისა, საფრანგეთშიც სწორედ აქ არსებული იმიგრაციული პოლიტიკა გახდა მსგავსი ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პარტიის აღზევებისა, რომელსაც სათავეში ლე პენი ედგა.

საქართველოში ნაციონალისტური პოპულიზმის აღმასვლაზე საუბრობს ბიძინა ლეღანიძე სტატიაში- „ნაციონალისტური პოპულიზმის აღზევება საქართველოში: გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე“. ნაშრომი მიზნად ისახავს, დაადგინოს რამდენად ახდენს გავლენას საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე ნაციონალისტური პოპულიზმის მომძლავრება ქვეყნის შიგნით, რაც, თავის მხრივ, ხასიათდება ევროსკეპტიციზმითა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მიმართ წინააღმდეგობის მაღალი ხარისხით. გამომდინარე ამ გარემოებიდან, საინტერესოა, რამდენად იზრდება ნაციონალისტური პოპულიზმის ტალღა საქართველოში და როგორ აისახება იგი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივიზე. ქართული პოპულიზმის სპექტრი

შედგება სამი ტიპის აქტორისაგან: პოლიტიკური ჯგუფები, სოციალური ჯგუფები და მედიის აქტორები. „არსებობს მთელი რიგი კარგად ორგანიზებული ჯგუფები, რომლებსაც მარტივად შეუძლიათ ათასობით ადამიანის მობილიზება, მათი განსხვავებული აზრის აკუმულირება და პოპულისტური მოთხოვნების ადვოკატირება“ (Lebanidze, B. 2019). ავტორი გამოყოფს სამ ფუნდამენტურ თემას, რომელიც მსგავსი სახის ჯგუფებისთვის პოპულისტური მესიჯების გავრცელებისთვის ფუნდამენტურ თემებს წარმოადგენს: ანტილიბერალიზმი, ქსენოფობია და ჩუმი ანტიდასავლურობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო იზრდება მემარჯვენე ექსტრემისტების რაოდენობა საქართველოში, შესამჩნევად გაიზარდა მათი ხილვადობაც. ბოლო დროს სულ უფრო ხშირია მკვეთრად მემარჯვენე ძალების მიერ პოზიციების დაფიქსირება. საზოგადოდ, მემარჯვენე ექსტრემიზმი შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ მოძრაობად იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს ჯგუფებისა და საზიარო იდენტობების მქონე ადამიანების ქსელს, რომელიც ხშირად მიმართავს ისეთ არატრადიციულ მეთოდებს, როგორიც არის ძალადობა. ასეთი ჯგუფების კოლექტიურ იდენტობას კი ფესვები გადგმული აქვს რელიგიაში, ნაციონალიზმში და სხვა მსგავს ასპექტებში. სოციალური მოძრაობის თეორიის მიხედვით, მობილიზაციის დონის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის სწორედ იმ პოლიტიკურ შესაძლებლობათა მასშტაბი, რომელზეც ხელი მიუწვდებათ უკიდურეს მემარჯვენეებს (Gelashvili, T. 2019).

სტატიის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ბრიტანელი სოციალური ფსიქოლოგის ჰენრი თაჯფელის „სოციალური იდენტობის თეორია“, რომლის თანახმადაც, ჩვენი სოციალური იდენტობის ნაწილი იმ ჯგუფის წიაღში წარმოიშვება, რომელსაც მივეკუთვნებით. ავტორის თანახმად, სოციალური იდენტობის ფორმირება მოიცავს სამ ძირითად ეტაპს, ესენია: სოციალური კატეგორიზაცია, სოციალური იდენტიფიკაცია და სოციალური შედარება. უფრო კონკრეტულად, ჩვენ ადამიანებს მათი კონკრეტულ კატეგორიებად დაყოფის მიზნით ვაწვებთ იარლიყებს და ასე ვანსხვავებთ ერთმანეთისგან (სოციალური კატეგორიზაცია), ამას მოსდევს სოციალური იდენტიფიკაციის ფაზა, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ საკუთარ თავს მივაკუთვნებთ ზემოხსენებული კატეგორიებიდან ერთ-ერთს, რომელსაც ვუწოდებთ „ჩვენს ჯგუფს“, რის შემდეგაც შევდივართ სოციალური შედარების ფაზაში- ჩვენს ჯგუფს შედარების გზით ვუპირისპირებთ სხვა ჯგუფს, რის შედეგადაც იზრდება საკუთარ ჯგუფთან სიახლოვის აღქმა, ჩნდება განცდა, რომ შენი ჯგუფი საუკეთესოა, რასაც პიროვნებისთვის მეტი კომფორტი მოაქვს (Tajfel, 1978). საინტერესოა, რომ უმცირესობათა იდენტობები ასოცირდება პოლიტიკური ჩართულობის ან ქცევის ფორმებთანაც (Martinovic & Verkuyten, 2014). აღნიშნულ კვლევასთან თუ გავაუვლებთ პარალელს, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს, ქართულ სახელწიფოსთან, იდენტობა აქვთ მოქალაქეობიდან და არა ეთნიკურობიდან გამომდინარე. ულტრამემარჯვენე იდეოლოგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ ამ იდეოლოგიის თანახმად წამყვანია ეთნიკურობა და არა „პოლიტიკური ქართველობა“.

აღსანიშნავია, რომ მედიების თვისებრივი კონტენტ-ანალიზის შესასწავლად გამოყენებულ იქნა ნორმან ფერკლოუს ტრანსდისციპლინური მიდგომა. ამ მიდგომის თანახმად, დისკურსის კრიტიკული

ანალიზის ფოკუსია ურთიერთკავშირის დადგენა დისკურსსა და სოციალური სტრუქტურის ისეთ ელემენტებს შორის, როგორებიცაა: ძალაუფლებრივი ასიმეტრია, იდეოლოგია, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური იდენტობები და სხვა. დისკურსის ანალიზს სხვადასხვა `სემიოტიკურ მოდალობასთან აქვს საქმე, რომელთაგან ენა ერთ-ერთია. ფერკლოუ მიიჩნევს, რომ სოციალური ურთიერთობები, ძალაუფლება, ინსტიტუტები, რწმენები და ღირებულებები, გარკვეულწილად, სემიოტიკურია და დისკურსის კრიტიკულმა ანალიზმა სწორედ სემიოტიკურ და სხვა სოციალურ ელემენტებს შორის კავშირები უნდა იკვლიოს. ამ მიზნით მან ტრანსდისციპლინური მიდგომა უნდა გამოიყენოს, რომლის ნიმუშად ავტორს მისი `კულტურული პოლიტიკური ეკონომიკა მოჰყავს. ფერკლოუ მის მეთოდოლოგიაში ოთხ ძირითად ეტაპს გამოყოფს: 1. სოციალურ პრობლემაზე (“social wrong”) ფოკუსი, მისი სემიოტიკური ასპექტების ანალიზი; 2. იმ წინააღმდეგობის გამოვლენა, რაც ხელს უშლის ამ სოციალური პრობლემის გადაჭრას; 3. კრიტიკული რეფლექსია იმაზე, თუ სოციალურ სისტემას თავად ხომ არ სჭირდება ეს სოციალური პრობლემა; 4. არსებული წინააღმდეგობის გადალახვის გზების შემუშავება. სოციალური პრობლემა სოციალური სისტემის იმ ასპექტებს გულისხმობს, რაც მოქალაქეებისთვის საზიანოა და მხოლოდ სისტემის ფუნდამენტური ცვლილების შედეგად აღმოიფხვრება. მისი მაგალითებია სიღარიბე, რასიზმი, უთანასწორობის სხვადასხვა ფორმები, სხვადასხვა სახის თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ (წულაძე, 2020).

### **მეთოდოლოგია**

კვლევა მიზნად ისახავდა შეგვესწავლა, პრორუსული „ალტ-ინფოს“ ოფისების გახსნასთან დაკავშირებით საზოგადოებისგან წამოსული წინააღმდეგობის ფორმები გურიისა და სამცხე-ჯავახეთის ყველა მუნიციპალიტეტის მაგალითზე (შედარებითი ანალიზი). საკვლევი ამოცანები მდგომარეობს იმის დადგენაში თუ:

1. როგორ შეხვდა ორივე რეგიონის მუნიციპალიტეტებში „ალტ-ინფოს“ ოფისის გახსნას მოსახლეობა;
2. აგვეხსნა, ორივე რეგიონში მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი განსხვავებულობის საფუძველზე, პრორუსული, ძალადობრივი და პროპაგანდისტული მოძრაობის ოფისების დამკვიდრების სცენარები;

კვლევით ჰიპოთეზას წარმოადგენდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეთნიკურად, რელიგიურად და ენობრივად დივერსიფიცირებული მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში შეინიშნება რეზისტენტულობის დაბალი ხარისხი „ალტ-ინფოს“ პროპაგანდისტული ნარატივის მიმართ.

დამოუკიდებელი ცვლადი: ეთნიკურად, რელიგიურად და ენობრივად დივერსიფიცირებული მუნიციპალიტეტების მოსახლეობა;

დამოკიდებული ცვლადი: რეზისტენტულობის დაბალი ხარისხი „ალტ-ინფოს“ პროპაგანდისტული ნარატივის მიმართ;

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, გვსურდა დაგვედგინა თუ რა კავშირია ეთნიკურ, რელიგიურ, ენობრივ განსხვავებულობასა და „ალტ-ინფოს“ ანტიდასავლური განწყობების მქონე პარტიის ოფისების გახსნისადმი რეზისტენტულობის ხარისხს შორის. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, დასახული ამოცანების ფარგლებში, თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდების (სიღრმისეული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან, „ალტ-ინფოს“ მომხრე/ მოწინააღმდეგეებთან და ონლაინ და ტელემედიების თვისებრივი კონტენტ-ანალიზი) გამოყენებით, შევისწავლეთ თუ რა განაპირობებდა აღნიშნულ ორივე რეგიონში „ალტ-ინფოს“ ოფისების გახსნასთან დაკავშირებით საზოგადოების განსხვავებულ განწყობებს. ამას გარდა, გავყვანიით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევის ანგარიშებს, რომლებიც მსგავს თემატიკაზეა შესრულებული.

საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, გამოყენებულ იქნა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. ჩატარდა 3 სიღრმისეული ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან. სიღრმისეული ინტერვიუების დახმარებით, დარგის ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს თუ რა ურთიერთმიმართება შეიძლება არსებობდეს ეთნიკურად, რელიგიურად, ენობრივად მრავალფეროვან მუნიციპალიტეტებში გამოვლენილ განწყობებსა და „ალტ-ინფოს“ ოფისების გახსნასთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარდა 9 სიღრმისეული ინტერვიუ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში იმ ადამიანებთან, რომლებმაც გააპროტესტეს და მხარი დაუჭირეს „ალტ-ინფოს“ ოფისის გახსნას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო გურიის რეგიონიდან სამოქალაქო მოძრაობა - „თავისუფლებისთვის“ დამფუძნებლებმა და იმ აქტივისტებმა, რომლებიც აქტიურად აპროტესტებდნენ ან მხარს უჭერდნენ კონსერვატიული მოძრაობის ოფისის გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გარდა ამისა, საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საკვლევი პერიოდში შესწავლილ იქნა ონლაინ და ტელემედიები თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული დაგვეხმარა განგვესაზღვრა, თავის მხრივ, მედიაში როგორ ვრცელდებოდა და შექდებოდა რეგიონებში „ალტ-ინფოს“ ოფისების გახსნასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები და ამასთან, რა ძირითადი ცნებებით მოიხსენიებდნენ ეს მედიები „ალტ-ინფოს“.

კვლევის ფარგლებში მივმართეთ არაალბათური შერჩევის ერთ-ერთ სახეს- მიზნობრივ შერჩევას, რომლის საფუძველზეც შევარჩიეთ დარგის ექსპერტები: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) ანალიტიკოსი, CRRC- სპეციალისტი და მკვლევარი, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიების მკვლევრები. ონლაინ და ტელემედიების შერჩევისას კი, თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით, შესწავლილ იქნა, როგორც ანტილიბერალური, პრორუსული („საქინფორმი“ და „საქართველო და მსოფლიო“) და შედარებით პროდასავლური („ნეტგაზეთი“, „პუბლიკა“, „რადიო თავისუფლება“) ონლაინ მედიები, ასევე შემდეგი ტელემედიები: „ალტ-ინფო“, „იმედი ტვ“ და „მთავარი არხი“. ონლაინ და ტელემედიების კვლევით პერიოდს წარმოადგენდა 1-ლი თებერვალი- 31 მარტი. რაც შეეხება კვლევის შეზღუდვას, აღსანიშნავია, რომ კვლევაში ვერ დაითვარა სამცხე-ჯავახეთში არსებული ყველა რაიონი და ამასთან, სამცხე-ჯავახეთში, „ალტ-ინფოს“ მომხრეებთან ვერ ჩაიწერა ინტერვიუები, რადგან ვერ მოხერხდა მათი ინტერვიუზე დათანხმება.

## თვისებრივი კონტენტ-ანალიზის შედეგები


### 1.1 ონლაინ მედიების კონტენტ-ანალიზი

კვლევაში მონაწილე ანტილიბერალურ, პრორუსულ და პროდასავლურ ონლაინ მედიებში აღნიშნულ თემატიკაზე სტატიები განსხვავებული რაოდენობით და შინაარსით გადმოიყვანა. უფრო კონკრეტულად კი, შეინიშნებოდა განსხვავებული დისკურსი შედარებით პროდასავლურ ონლაინმედიებსა („ნეტგაზეთი“, „პუბლიკა“, „რადიო თავისუფლება“) და პრორუსულ („საქინფორმი“ და „საქართველო და მსოფლიო“) ონლაინ მედიებს შორის. აღნიშნული კვლევის ფარგლებში თითოეული ონლაინ მედია გაანალიზდა ცალკე-ცალკე.


ნეტგაზეთში, კვლევის პერიოდის განმავლობაში, სულ 1000-ზე მეტი სტატია მომზადდა. ალტ-ინფოს ოფისების გახსნასთან დაკავშირებით კი მხოლოდ 25 სტატია დაინერა. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ თემაზე მომზადებული სტატიების ძირითადი ნაწილი ეხებოდა „ალტ-ინფოს“ „ხელის ბიჭების“ ძალადობრივი ქმედებების აღწერას საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ასევე, მომზადებული სტატიების 25% ეხებოდა კონსერვატიული მოძრაობის პარტიის ოფისების დარბევის შემთხვევებს და სხვადასხვა რეგიონში ოფისების გახსნასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხრიდან განეულ წინააღმდეგობის ფორმებს. აღნიშნულ ონლაინმედიაში გამოქვეყნებული სტატიების დანარჩენ ნაწილში ყურადღება გამახვილდა პარტიის დაფინანსების წყაროების ანალიზზე, „ალტ-ინფოს“ წარმომადგენელთა უცხოური კავშირების კვლევასა და კონსერვატიული მოძრაობის მიერ ოფისების გახსნასთან დაკავშირებულ ნიუსებზე. რაც შეეხება კვლევაში ჩართულ სხვა პროდასავლურ ონლაინ მედიებს, უნდა აღინიშნოს, რომ „პუბლიკასა“ და „რადიო თავისუფლებაშიც“ დაახლოებით იგივე რაოდენობის ნიუსები იწერებოდა „ალტ-ინფოს“ შესახებ. მომზადებული სტატიების შინაარსშიც შეინიშნებოდა მსგავსება, რაც ძირითადად გულისხმობდა „ალტ-ინფოს“ წარმომადგენელთა ძალადობრივი ქმედებების აღწერას, რეგიონებში პარტიის ოფისების გახსნასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხრიდან მოწყობილ საპროტესტო აქციებსა და პარტიის დაფინანსების წყაროების ანალიზს. კვლევაში ყურადღება გამახვილდა იმაზეც თუ რა ლექსიკით (Wording) მოიხსენიებდა ზემოაღნიშნული, შედარებით პროდასავლური, ლიბერალური ონლაინმედიები მედიასაშუალება „ალტ-ინფოს“ და კონსერვატიულ მოძრაობას. აღნიშნულ თემაზე მომზადებული სტატიების უმრავლესობაში „ალტ-ინფო“ მოხსენიებული იყო როგორც „ექსტრემისტული“, „პროპუტინისტური“, „პრორუსული“, „კომოტობური“, „ანტიდასავლური და რადიკალური დაჯგუფება“, „ლიად პრორუსული პარტია“, „პუტინის ხელის ბიჭები“ და „ნეონაციისტები“.

საყურადღებოა, რომ კვლევაში ჩართულ პრორუსულ ონლაინმედიებში- „საქინფორმი“ და „საქართველო და მსოფლიო“ აღნიშნულ თემაზე არ მომზადებულა სტატია. ერთადერთი სტატია, რომელიც „საქინფორმზე“, კვლევის პერიოდში გამოქვეყნდა, ეხებოდა „ალტ-ინფოს“ ოფისების დარბევის სცენარების აღწერას და მეტიც, „ალტ-ინფოს“ და მის კონსერვატიულ პარტიას არ


გადმოსცემს იმ შესატყვისით, როგორებიცაა მოიხსენიებენ ზემოხსენებული, შედარებით პროდასავლური, ონლაინ მედიები.



დიაგრამა № 1: „ნეტგაზეთის“ მიერ სულ შესრულებული სტატიების რაოდენობა- 1088 სტატია; აღნიშნულ თემაზე შესრულებული სტატიების რაოდენობა- 25



დიაგრამა №2: „პუბლიკას“ მიერ სულ შესრულებული სტატიების რაოდენობა- 1488 სტატია; აღნიშნულ თემაზე შესრულებული სტატიების რაოდენობა- 40



დიაგრამა №3: „რადიო თავისუფლების“ მიერ სულ შესრულებული სტატიების რაოდენობა - 1653 სტატია; აღნიშნულ თემაზე შესრულებული სტატიების რაოდენობა - 18

## 1.2 ტელემედიების კონტენტ-ანალიზი

ონლაინმედიების შესწავლის პარალელურად, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა პროსახელისუფლებო, პროოპოზიციური ტელემედიები. უფრო კონკრეტულად, კვლევით განისაზღვრა „იმედის“, „მთავარი არხისა“ და „ალტ-ინფოს“ მთავარ გამოშვებებში გასულ სიუჟეტებში როგორ იყო გადმოცემული „ალტ-ინფოს“ ოფისების გახსნასთან დაკავშირებული ნიუსები. ამით ჩვენ განვსაზღვრეთ ის ძირითადი მარკერები, რომლებსაც აღნიშნული ტელემედიები გამოკვეთდნენ ამ თემასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად პროოპოზიციური ტელემედია „მთავარი არხი“ არ ერიდებოდა და ძალიან აქტიურად აშუქებდა აღნიშნულ თემაზე ნიუსებს. ამ არხზე გაშვებული სიუჟეტების უდიდესი ნაწილი ეხებოდა „ალტ-ინფოს“ რუსული სერვერების საკითხს, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ. სანცის ეტაპზე, დროებით გათიშულ „ალტ-ინფოს“ მაუნცებლობის საკითხსა და კონსერვატიული მოძრაობის ძალადობრივი ქმედებების ჩვენებას, „მთავარი არხის“ ჟურნალისტზე თავდასხმის მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ „მთავარი არხი“ „ალტ-ინფოს“ პირდაპირ მოიხსენიებდა როგორც „პრორუსული“, „ძალადობრივი“, „პრორუსი მოძალადეები“, „რადიკალური ჯგუფი“.

„მთავარი არხისგან“ განსხვავებით, ასეთი დისკურსით არ ხასიათდებოდა პროსახელისუფლებო მედია „იმედი TV“. კვლევაში შესწავლილ სიუჟეტებში ძირითადად შეინიშნებოდა ნეიტრალური, შეფარვითი პოზიციის დაჭერა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, „იმედი“ გასულ სიუჟეტებში ალტ-ინფოს მოიხსენიებდა როგორც: „ალტ-ინფო“, „კონსერვატიული მოძრაობა“ „ალტ-ინფოს პარტია“ და არ უმატებდა მას წინ რაიმე სხვა ზედსართავ სახელს.

რაც შეეხება უშუალოდ მედიასაშუალება „ალტ-ინფოს“ ეთერში გასულ გადაცემებში ჩადებულ შინაარსს, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის თემატიკა იყო ერთ-ერთი მთავარი მარკერი, რომელიც ფაქტობრივად, კვალად გასდევდა „ალტ-ინფოს“ წარმომადგენელთა იდეოლოგიური შეხედულებების დაფიქსირებას. უფრო კონკრეტულად კი, გადაცემა „ალტერნატიული ხედვის“ გაშვებისას, მოწვეულ სტუმართა უდიდესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა ომის დასრულების შესაძლო სცენარებსა და უკრაინული მხარისა და დასავლეთის უუნარობაზე. ამასთან, აღნიშნულ ტელემედიაში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული ანტილიბერალური, ანტიდასავლური და პრორუსული დისკურსი. გაშვებულ სიუჟეტებში ყურადღება იყო გამახვილებული კონსერვატიული მოძრაობის ოფისების გახსნისა და რეგიონებში კონსერვატიული იდეოლოგიის გაძლიერების აუცილებლობაზე. გადაცემებში მოწვეულ სტუმართა უმრავლესობა კი ხასიათდებოდა მსგავსი ლექსიკით: „წარსულში დარჩენილი ლიბერალები“, „ცრულიბერალები“, „სინდისის ბიჭები“.

### ექსპერტული ინტერვიუების შედეგები

კვლევა ითვალისწინებდა ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებასაც. დარგის ექსპერტებმა ინტერვიუებში ყურადღება გამახვილეს რამდენიმე ძირითად თემატურ ასპექტზე. მათ შორის აღსანიშნავია: „ალტ-ინფოს“ მიერ საქართველოს რეგიონებში ოფისების გახსნის მიზნები, კონსერვატიული მოძრაობის როლი ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგში, „ალტ-ინფოს“ საქმიანობის შედარება სხვა ქართული ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პარტიების არჩევნების შედეგებთან და რეგიონების მოსახლეობაში „ალტ-ინფოსადმი“ არსებული განსხვავებული დამოკიდებულებების განმაპირობებელი მიზეზების გამოკვეთა.

თავდაპირველად ყურადღება გამახვილდა „ალტ-ინფოს“ კონსერვატიული მოძრაობის გააქტიურების ძირითად მიზეზებზე. დარგის ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონსერვატიული მოძრაობის გაძლიერებასა და მის დამკვიდრებაზე საუბარი ნაჩქარევია, რადგან საჯარო დისკურსში წარმოდგენა არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურ ველზე მას მნიშველოვანი გავლენა აქვთ მოპოვებული. აქ მათ ხაზი გაუსვეს, 2021 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებს, სადაც აღნიშნულმა პარტიამ ძალიან დაბალი, დაახლოებით ამომრჩეველთა ხმების 1% მიიღო. მეტიც, კონსერვატიული მოძრაობის მიერ მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური, ევროსკეპტიკური და პრორუსული კენ გადახრილი შეხედულებები განსაკუთრებით გაძლიერდა იქამდე არსებული ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე პარტიების დასუსტების ფონზე.

ალტ-ინფოს კონსერვატიული მოძრაობის მიერ რეგიონებში ოფისების გახსნას დარგის ექსპერტები განსხვავებულად ხსნიან. აქ ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ საქართველოს მასშტაბით ოფისების გახსნა ძირითადად უკავშირდება მათი დაფინანსების წყაროებს. ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც სხვადასხვა, არაპირდაპირი თუ პირდაპირი გზებით მოდის ქართული ისეთი პარტიებისკენ ან საზოგადოებრივი ჯგუფებისკენ, რომლებიც, როგორც წესი უფრო მიდრეკილი ან ცალსახად,

გაცხადებულად პრორუსული ძალები არიან, მათ საშუალებას აძლევს უფრო მეტად გააქტიურებისთვის და მოსახლეობასთან კომუნიკაციისთვის. ექსპერტები ხაზს უსვამენ ასევე ქართული საზოგადოების კონსერვატიულ ხასიათს და მიიჩნევენ, რომ ქართული საზოგადოება უფრო მეტად კონსერვატიულია, ვიდრე ლიბერალური და თუ ის პირობითად ავლენს თავის დადებით პოზიციებს ევროინტეგრაციის, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, მისთვის აქ ძალიან მნიშვნელოვანი არის ხოლმე უფრო მეტად ეკონომიკის და უსაფრთხოების მიმართულებით ბენეფიტები, ვიდრე კულტურული ასპექტები. კულტურულ ასპექტში ხშირად ქართული საზოგადოება მაინც ავლენს კონსერვატიულ ხასიათს. ამას ძალიან კარგად იყენებს თავის სასარგებლოდ მასების მობილიზების თვალსაზრისით მსგავსი ტიპის ჯგუფები- „განწყობები, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში არსებობს შეიძლება პირდაპირ პრორუსული არ იყოს, მაგრამ მათი მობილიზება ისევ მოხდეს ამ ჯგუფების მიმართ, რომ არაპირდაპირად და ხშირ შემთხვევაში პირდაპირაც მოემსახუროს სწორედ ამ პრორუსულ და რუსეთის მიერ შემოტანილ ნარატივს“. (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი, 2022).

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ ასეთი დაჯგუფების შეხედულებათა და ქმედებათა ლეგიტიმაციის საკითხიც, თავის მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს იმ ფონზე, როდესაც სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები მკვეთრად არ უპირისპირდებიან მათ. აქ მათ 5 ივლისის საქმე გაიხსენეს და პრემიერ-მინისტრის განცხადებებზე, რომლებმაც, მათი აზრით, წაახალისა და პოლიტიკური ლეგიტიმაცია შესძინა მსგავსი ძალადობრივი დაჯგუფებების თავისუფალ მოქმედებას. ეს მათი აზრით, შეიძლება აიხსნას, მმართველი პარტიის მიერ, პოტენციური ამომრჩევლების არდაკარგვის მიზნით წინა მმართველი ძალისგან განსხვავებული, შედარებით ლიბერალური პოლიტიკის გატარებით.

უშუალოდ კვლევის მთავარ კითხვასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ავსხნათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ალტ-ინფოს ოფისების გახსნასთან დაკავშირებით მოსახლეობაში გაჩენილი არაერთგვაროვანი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულება, დარგის ექსპერტები რამდენიმე ძირითად მიზეზს ასახელებენ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მათი აზრით, რეგიონებში როგორც წესი პოლარიზაციის ხარისხი ბევრად უფრო მაღალია სხვა პარტიულ დაპირისპირებასთან შედარებითაც, ვიდრე ცენტრში. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ რეგიონებში ბევრად უფრო მძლავრად ეჭახება ერთმანეთს განათლების სხვადასხვა დონის საზოგადოებები, ანუ ადგილზე მყოფი რურალური მოსახლეობა, რომლისთვისაც შეიძლება არ იყოს დიდი ინტერესის საგანი ქვეყნის გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობა. ამავდროულად მათ გამოკვეთეს რეგიონებში ადამიანების საქმიანობის ტიპიც. უფრო კონკრეტულად კი, მოსახლეობის რურალური სეგმენტი, რომლისთვისაც შეიძლება ბევრად უფრო სენსიტიური იყოს ის საკითხები, რაზეც „ალტ-ინფო“ და მისი მსგავსი ძალები აკეთებენ აქცენტს, მაგალითად, რუსული ბაზარი, რომელიც არის ბევრად სწრაფი, ნაცნობი, ხელმისაწვდომი და ძალიან მარტივი გამდიდრების საშუალება.

რაც შეეხება უშუალოდ აღნიშნულ რეგიონებში (გურია და სამცხე-ჯავახეთი) „ალტ-ინფოსადმი“ განსხვავებულ დამოკიდებულებებს, ექსპერტებმა რამდენიმე ძირითადი ფაქტორი დაასახელეს. უპირველეს ყოვლისა, აქ საყურადღებოა ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჰომოგენურობის საკითხი. გურია მეტ-ნაკლებად ჰომოგენურია ეთნიკური წარმომავლობის თვალსაზრისით, სამცხე-ჯავახეთი არა. ვინაიდან, ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად ინტეგრირებულები არიან ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა სფეროში, შესაბამისად ნაკლებად არიან იმ საჯარო დისკურსის ნაწილი, რომელიც ან მკვეთრად პროლასავლურია ან მკვეთრად ანტირუსული, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს იმაში, რომ მათ აქვთ მკვეთრი კავშირი იმ სახელმწიფოსთან, საიდანაც არიან წარმომავლობით. ასევე, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში ბევრად უფრო ხშირად უყურებენ რუსულ ტელეარხებს, ვიდრე ქართველები. ამდენად, მათი აზრით, ეთნიკური უმცირესობები აქ უფრო მეტად მონყვლადები არიან თუნდაც რუსული და ანტიევროპული ნარატივების მიმართ. ექსპერტების აზრით, სწორედ ამ ფაქტორებით შეიძლება ავსხნათ სამცხე-ჯავახეთში, ეთნიკურად დასახლებულ რეგიონში, „ალტ-ინფოსადმი“ ნაკლები წინააღმდეგობა.

„ალტ-ინფოს“ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შეხედულებები(გურიის რეგიონის მაგალითზე)

გურიის რეგიონში „ალტ-ინფოს“ მომხრეთა მთავარი არგუმენტი მდგომარეობს ულტრამემარჯვენე დაჯგუფების ძალადობრივი მიდრეკილებებისგან მომდინარე საფრთხის ფუნდამენტურ აღქმაში, რისი აღკვეთაც გურიის მკვიდრთა აზრით, მათი მოვალეობაა:

*„რეალური ვახდა ის საფრთხე, რომ ჩვენი ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს ისევ რუსეთის იმპერიის ქვეშ და რკინის ფარდის აქვთ, რაც დამანგრეველია ჩვენთვის. ამდენად, მე საფრთხე აღვიქვი, როგორც რეალობად“ (მამრ, სამოქალაქო აქტივისტი, გურია-ობურგეთი).*

ინტერვიუების შედეგად დადგინდა ისიც, რომ „ალტ-ინფოს“ ოფისების გახსნასთან დაკავშირებული წინააღმდეგობის მაღალი ხარისხი განპირობებულია მოსახლეობაში რუსეთის- როგორც საბჭოთა კავშირის უშუალო მემკვიდრის მიმართ არსებული იდეოლოგიური წინააღმდეგობით და მიუღებლობით:

*“ვერ ვიტან ნენა, დაბადებიდან ვერ ვიტან. ვასწავლი ისტორიასა და სამოქალაქო განათლებას. სისხლში და ხორცში მექვს რუსული იმპერიის სიძულვილი და ნებისმიერი რუსოფილური გამოვლინება. სანამ პირში სული მიდვას და შემოიძლია, ჩემს მეგობრებთან ერთად, გასაკეთებელს ვავაკეთებ და ქვეყანას არ ჩავაბარებთ რუსეთს.“ (მდედრ, სამოქალაქო აქტივისტი, გურია-ობურგეთი)*

კვლევისთვის საინტერესო გამოდგა სამოქალაქო მოძრაობა- “თავისუფლებისთვის” წევრებთან ინტერვიუ, რადგან მათ საუბარში გამოიკვეთა ის ძირითადი გარემოებები, რამაც ამ ადამიანებს სამოქალაქო მოძრაობის ჩამოყალიბებისა და პროტესტისკენ უბიძგა. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, „ალტ-ინფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მოტივი ქვეყნის შიგნით რუსეთისგან მომდინარე ამკარა საფრთხეა, რაც დაუშვებელია ვინროპარტიულ ინტერესებს გადაჰყვეს.

*„ჩვენი მოძრაობა მიმართულია იმისკენ, რომ მოქალაქეებს დაანახოს ამ პრორუსული დაჯგუფების გაძლიერების საფრთხე. ამიტომ ჩემი აზრით, ეს ვინრო პოლიტიკური და პარტიული ნარატივები შესაძლოა შიდაპოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა ახლა ამის დრო არაა“ (მამრ, სამოქალაქო აქტივისტი, გურია- ლანჩხუთი).*

გურიის რეგიონში “ალტ-ინფოს” მომხრეთა მთავარი არგუმენტები გამომდინარეობს ამ გაერთიანების საქმიანობის პატრიოტული ფასადით, ენისა და სარწმუნოების დაცვის მოტივით, რაც საზოგადოების განსაზღვრული ფენებისთვის მისაღებია:

*“ალტ-ინფო“ პატივს სცემს ნამდვილ ქართულ, ქრისტიანულ ღირებულებებს, მე მხარს ვუჭერ იმას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის არის კარგი და არა ლიბერალური სამყაროსთვის. რა არის ლიბერალიზმი? ჩვენი ეკლესიის, სახელმწიფოს, ენის, ჩვენი ქართული ტრადიციების უგულვებელყოფა, ეს არის მათი ლიბერალიზმი” (მამრ, „ალტ-ინფოს“ მოხმრე, გურია- ჩოხატაური)*

*„ჩვენ კავკასიელი ხალხი ვართ, ქართულ ფუძემ ვერ გაიხარებენ გეიაქტივისტები, ლიბერალები, სახელმწიფოს მოლაპარაკებები. ჩვენ ქართველები ვართ და ეს ყველაფერს ამბობს“ (მდედრ, „ალტ-ინფოს“ მომხრე, გურია-ოზურგეთი)*

ამ რეგიონის მაგალითზე გამოიკვეთა ისიც, რომ რესპონდენტთა ნაწილი “ალტ-ინფოს” მიმართ მხარდაჭერას ამართლებს დასავლეთისადმი ფრუსტრაციით, რაც დასავლური სამყაროს არასანდობაზე მიუთითებს და დღის წესრიგში აყენებს რუსეთთან დიალოგის აუცილებლობას.

*„ომმა გამოავლინა, რომ დასავლეთი რეალურად „არ მუშაობს“ და მათთან თანამშრომლობა თავის მოტყუებაა, ამის მაგალითია გაუბედურებული უკრაინა და ევროპა, რომელიც სდუმს. რუსეთთან ლაპარაკია საჭირო, ჩვენ პატარა ერი ვართ, სხვა გზა არ გვაქვს და ეს უნდა გავიაზროთ“ (მამრ, „ალტ-ინფოს“ მომხრე, გურია- ლანჩხუთი)*

**“ალტ-ინფოს” მომხრეთა და მონინალმდეგეთა შეხედულებები(სამცხე- ჯავახეთის რეგიონის მაგალითზე)**

როგორც კვლევის ლიმიტშია აღნიშნული, სამცხე-ჯავახეთი კვლევისთვის პრობლემატურ რეგიონს წარმოადგენდა იმ გაგებით, რომ ვერ მოხერხდა ამ რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის სრულად დაფარვა. მიუხედავად ამისა, ინტერვიუს ჩაწერა მოხერხდა ალტ-ინფოს მონინალმდეგე ერთ რესპონდენტთან, რომლის აზრითაც, რეზისტენტობის დაბალი ხარისხი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განპირობებულია ინფორმირებულების დაბალი დონით და ე.წ “ჩაკეტილი საზოგადოებით”.

*„ჩვენი საზოგადოება ჩაკეტილი საზოგადოებაა, სადაც ადამიანებში არ არსებობს განწყობა, რომელიც უბიძგებთ აქციებში მონაწილეობისკენ, ამდენად ეთნიკურ უმცირესობაში, როგორც წესი, პროტესტი არ არსებობს“ (მამრ, სამოქალაქო აქტივისტი, ნინოზმინდა-სამცხე-ჯავახეთი)*

## დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ გურიასა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში „ალტ-ინფოს“ პოლიტიკური პარტიის ოფისების გახსნასთან დაკავშირებით მოსახლეობაში გაჩენილი წინააღმდეგობის ხარისხი განსხვავებული იყო, რაც ძირითადად გამოწვეულია აღნიშნული რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მკვეთრი განსხვავებულობით, როგორც ეთნიკურად, ისე ენობრივი და რელიგიური თვალსაზრისით. სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა სფეროებში, შესაბამისად ნაკლებად არიან იმ საჯარო დისკურსის ნაწილი, რომელიც ან მკვეთრად პროდასავლურია ან მკვეთრად ანტირუსული. რაც შეეხება გურიას, გურიის რეგიონში „ალტ-ინფოს“ ოფისების გახსნას დიდი გამოხმაურება მოჰყვა განსაკუთრებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. შეიქმნა სამოქალაქო მოძრაობა- „თავისუფლებისთვის“, რომელიც აქტიურად აპროტესტებდა აღნიშნულს. აქ, კონსერვატიული მოძრაობის მიმართ რეზისტენტულობის მაღალი ხარისხი განპირობებული იყო მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებით;

რაც შეეხება მედიების კვლევას, აღმოჩნდა, რომ პროსახელისუფლებო მედია „ალტი-ინფოს“ მიმართ გამოირჩეოდა ნეიტრალური დამოკიდებულებით, რაც გამოიხატებოდა შეფარვითი კონტექსტით. მისგან განსხვავებით, პროოპოზიციური მედია „ალტი-ინფოს“ შესახებ საზოგადოებაში აღვივებდა რადიკალურ დამოკიდებულებას, რაც გამოიხატებოდა ამ ორგანიზაციასთან მიმართებაში ისეთი რადიკალური ტერმინების გამოყენებით, როგორცაა- „პრორუსული“, „ძალადობრივი“, „ჰომოფობური“, „ანტილიბერალური“.

დარგის ექსპერტებთან ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიების გააქტიურების და ოფისების გახსნის მიზნები მათ მომხრეთა გააქტიურებაში კი არაა, მათ ფინანსურ უზრუნველყოფაში უნდა ვეძებოთ. აღნიშნული ძალადობრივი დაჯგუფებების ქმედებათა აკრძალვას კი ყოველთვის მოერიდება სახელისუფლებო პარტია, რადგან არ სურს წინა მთავრობის პოლიტიკის გაგრძელება და უფრო „ლიბერალური“ გზებით ცდილობს პოტენციური ამომრჩევლების გულის მოგებას.

## ბიბლიოგრაფია

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (2019), ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. ნანახია 18.05.2022

<http://www.democracyresearch.org/files/4DRI%20-%204%20tvis%20angarishi.pdf>

ტულუში ლ., თურმანიძე კ., გაგუა მ., ხუნდაძე ც., ანანიშვილი გ., ზურაბიშვილი თ. (2019), „ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში“, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. ნანახია 20.07.2022 [shorturl.at/hpvX1](http://shorturl.at/hpvX1)

ნულაძე.ლ (2020) „სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები“; უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ: 275-277

de Lange, Sarah L. 2012. “New alliances: Why mainstream parties govern with radical right-wing populist parties.” *Political Studies* 60(4):899–918.

Gelashvili T., (2019) “Political Opportunities for the Extreme Right in Georgia”, Georgian Institute of Politics <file:///C:/Users/USER/Downloads/Policy-brief-20-Tamta-Gelashvili.pdf>

Mudde, Cas. 2000. *The Ideology of the Extreme Right*. Manchester: Manchester University Press.

Mudde, Cas. 2004. “The populist zeitgeist.” *Government and Opposition* 39(3):541–563.

Mudde, Cas. 2007. *Populist Radical Right Parties in Europe*. New York: Cambridge University Press.

Mudde, Cas. 2010. “The populist radical right: A pathological normalcy.” *West European Politics* 33(6):1167–1186.

Mudde, Cas. 2014. “The far right and the European elections.” *Current History* 113.761:98–103.

Lebanidze B., 2019 “Rise of Nationalist Populism in Georgia: Implications for European Integration”- Georgian Institute of Politics

Verkuyten, M., & Martinovic, B. (2014). Minority identity and host national identification among immigrants.

In C. K. W. De Dreu (Ed.), *Social conflict within and between groups* (pp. 55–74). Psychology Press.

Tajfel, H. (1978). *Social Categorization, Social Identity and Social Comparison*. In H. Tajfel (Ed.), *Differentiation between Social Groups: Studies in the Social Psychology of Intergroup Relations* (pp. 61–76).

London: Academic Press.

ინტერნეტრესურსები: <https://www.isfed.ge/geo/sotsialuri-mediis-monitoringi/alt-infos-koordinirebuli-faruli-operatsia-Facebook-ze>

ონლაინმედია: <https://netgazeti.ge/>, <https://publika.ge/>, <https://www.radiotavisupleba.ge/>,

<http://geworld.ge/ge/>, <http://saqinform.ge/>

ტელევიზია: <https://mtavari.tv/>, <https://www.imeri.ge/> <https://t.me/s/altinfocom>



**ჰიბრიდული ომი, როგორც ახალი რუსული სამხედრო სტრატეგია და გამოწვევები დასავლეთისა და პროდასავლური ქვეყნებისათვის**

**ქრისტინა ქვარაია**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: [kristina.kvaraia839@sps.tsu.ge](mailto:kristina.kvaraia839@sps.tsu.ge)

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ჰიბრიდული ომის, როგორც ახალი რუსული სამხედრო სტრატეგიის რაობა, მახასიათებლები და მისგან მომდინარე საფრთხეები. ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს კრემლის ჰიბრიდული ომის ტაქტიკის სპეციფიკური ნიშან-თვისებები და გამოიკვლიოს რა გამოწვევების წინაშე დააყენა კრემლის ახალმა სტრატეგიამ დასავლური ქვეყნების უსაფრთხოების ლანდშაფტი, კვლევა ასევე ახალიზებს აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატოს მიერ თავდაცვის ზომების გაძლიერების მიზნით გადადგმულ საპასუხო ნაბიჯებს. მთავარი საკვლევი კითხვა ასე უღერს: როგორ ხასიათდება რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგია? და რა ძირითადი საფრთხეების წინაშე დადგა დასავლური სამყარო კრემლის ახალი ტაქტიკის ამუშავების შედეგად? საკითხი ძალიან აქტუალური და საინტერესოა, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში გამოიკვეთა, რომ ჰიბრიდული ომის ტაქტიკა წარმატებით გამოიყენა პუტინის რუსეთმა საკუთარი არაკეთილსინდისიერი გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის მიზნით დასავლური სამყაროს წინააღმდეგ, ამან, თავის მხრივ, გამოააშკარავა დასავლეთის ახალი გამოწვევების წინაშე თავდაცვის უუნარობა. ამის ფონზე კი ნაშრომში წარმოჩენილია, თუ როგორ ცდილობენ დასავლური ალიანსები მდგომარეობის გამოსწორებას. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროები, გავლენიან ანალიტიკოსთა სტატიები და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგია დიდწილად ეფუძნება 2013 წლის „გერასიმოვის დოქტრინის“ მთავარ მესიჯებს და აერთიანებს სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ინტეგრირებული გამოყენების სხვადასხვა მეთოდს- ტერორიზმს, კიბერ-ომს და დეზინფორმაციულ კამპანიას, დესტაბილიზაციას და ა.შ. ასევე დადგინდა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და 2014 წლის ყირიმის ანექსია იყო კრემლის ახალი სტრატეგიის პირველი გამოვლინებები. კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ის 2016 წლისა და სხვა ევროპული ქვეყნების არჩევნებში იგრძნობოდა რუსეთის ჩარევის გავლენა, ამავდროულად გამოიკვეთა ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დადგა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცე რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების კვალდაკვალ.

**საკვანძო სიტყვები:** ჰიბრიდული ომი, ჰიბრიდული საფრთხეები, ახალი რუსული სტრატეგია, გამოწვევები დასავლეთის წინაშე, საპასუხო თავდაცვითი ნაბიჯები

## შესავალი

ჰიბრიდული ომი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. იგი თავისი არსით შეიძლება სულაც არ წარმოადგენდეს რაიმე სიახლეს, ვინაიდან ისტორია მდიდარია ფაქტებით, როცა მეომარი მხარეები ერთმანეთს ერთდროულად მრავალი მეთოდით უპირისპირდებოდნენ, თუმცა ნათელია, რომ ტექნოლოგიათა განვითარებამ და გლობალიზაციის ხანამ, რომელშიც კაცობრიობა ახლა იმყოფება, უფრო ეფექტური პლათფორმა შექმნა ჰიბრიდული ომის გამოყენების თვალსაზრისით. საკითხის აქტუალობასაც სწორედ ის განაპირობებს, რომ ჩვენს დროში ჰიბრიდული

ომი მეტად ეფექტური და მოსახერხებელი სტრატეგიაა. საინტერესოა ისიც, რომ ამგვარი ტაქტიკა ატარებს კომპლექსურ ხასიათს (Wolford et al, 2011). ტერმინი "ჰიბრიდული ომი," ყველაზე ხშირად განისაზღვრება, როგორც სამხედრო და არასამხედრო ინფრასტრუქტურის ინტეგრირებული გამოყენება სამიზნე აუდიტორიაზე იერიშის მისატანად (Andersson & Tardy, 2015). ამასთან იგი პერმანენტული ხასიათით გამოირჩევა - თუკი ტრადიციულ ომს აქვს დასაწყისი და დასასრული, ჰიბრიდულ საბრძოლო ტაქტიკას არც ერთი არ გააჩნია. ეს უკანასკნელი მიმდინარეობს მუდმივად და აქვს ფაზები (Abdiraeva, 2020). დღეს ჰიბრიდული ომი თავის ახალ სამხედრო სტრატეგიად აქცია რუსეთის ფედერაციამ, ამ უკანასკნელმა აღნიშნული საომარი ტაქტიკის გამოყენებით კიდევ უფრო საშიში გახადა საკუთარი ექსპანსიონისტური პოლიტიკა და გააძლიერა ბრძოლა დასავლეთისა და პროდასავლური ქვეყნების, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების მიმართ (Schnauffer II, 2017). პუტინის რუსეთის ამგვარი ნაბიჯების უკან დგას გარკვეული ინტერესები და მოტივები: თანამედროვე ზესახელმწიფოს, აშშ-სთვის - იგი კონკურენციის განწევა ცდილობს; ევროკავშირი, როგორც ძლიერ ინტეგრირებული და გაფართოებადი საერთაშორისო ორგანიზაცია ევროპაში რუსული ინტერესების ხელისშემშლელ პოზიციას იკავებს; ნატო, როგორც უძლიერესი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, ხშირ შემთხვევაში უბლოკავს კრემლს სასურველი გეოპოლიტიკური კურსის გატარების შესაძლებლობას (Kuzio, 2017). რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ისინი პირდაპირ ექცევიან პუტინის სამიზნე არეალში, ვინაიდან ამ რეგიონს სსრკ-ის მემკვიდრე რუსეთი ჯერ კიდევ საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს (Black, 2015). მოსკოვმა ოპონენტებისათვის თავისი ჰიბრიდული არსენალის დაპირისპირებით ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა თავისი მთავარი ოპონენტები აშშ-ის, ევროკავშირის, ნატოსა და ცალკეული ევროპული სახელმწიფოების სახით. დასავლურმა ქვეყნებმა კი, თავის მხრივ, გაითავისეს, რომ მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით თავდაცვა აღარაა საკმარისი ინფორმაციული ტექნოლოგიების შეუქცევადი განვითარების პირობებში. მათ დაასკვნეს, რომ რუსული ჰიბრიდული საფრთხეები მოითხოვს განახლებულ თავდაცვით სტრატეგიას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც დიპლომატიური და ეკონომიკური, ისე რბილი ძალის პოლიტიკის, საინფორმაციო ომის, კიბერშეტევებისა და შეფარული სამხედრო მოქმედებების მიერ გამოწვეული პრობლემები (Kramer and Speranza, 2017).

### ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე ეპოქაში რუსეთმა აშშ-ის, ევროპული და პროდასავლური ქვეყნების წინააღმდეგ საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ახლებური სტრატეგია შეიმუშავა. ამან შეცვალა დასავლური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტი და აიძულა იგი გარკვეული ზომები მიეღო რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხის საპირწონედ. ამიტომაც უაღრესად საინტერესოა მეცნიერთა მოსაზრებები და ნაშრომები ამ მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხის გარშემო.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხმოთ ტერმინი: „ჰიბრიდული ომის“ გარშემო არსებული მკვლევართა მოსაზრებები. ფრენკ ჰოტმანის თანახმად, ჰიბრიდულია ომი, რომელშიც საკუთარი

პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტრადიციულ მეთოდებთან ერთად იყენებენ არარეგულარულ ტაქტიკას, ტერორიზმს, კრიმინალს და ა.შ. (Hoffman, 2014). ტერმინს ანალოგიურად განმარტავს ქართველი მკვლევარი კახა გოგოლაშვილიც და ამბობს, რომ ჰიბრიდული ომი მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რომლებიც ასუსტებს და აზიანებს მონინალმდევს, საფრთხეს უქმნის მის ერთიანობას, ეკონომიკას, აფერხებს პოლიტიკურ პროცესებს და თესავს შიშს. ეს ტაქტიკა გულისხმობს ბრძოლის ჩვეულ და ისეთ არატრადიციულ მეთოდებს, როგორებიცაა მაგალითად, კიბერ შეტევა და დეზინფორმაციის გავრცელება. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელია ძნელად იდენტიფიცირება. რთულია დაადგინო და დაამტკიცო, თუ ვინ განახორციელა ესა თუ ის ქმედება და რა მიზანს ემსახურებოდა ეს (გოგოლაშვილი 2019, გვ.3-4). ამასთან, ფლემინგ ჰანსენიც ამბობს, რომ ჰიბრიდული ომი ასოცირდება ბრძოლის ერთდროულად კინეტიკურ (მატერიალურად არსებული სხეულების ძალის გამოყენება) და არაკინეტიკურ (ელექტრონული ან ბეჭდური მედიის, კომპიუტერული ოპერაციების გამოყენება) მეთოდებთან. ამასთან ჰანსენი ამგვარი ტაქტიკის აღსაწერად „ასიმეტრიული“ ან „ორმაგი ომის“ ტერმინების გამოყენებას ანიჭებს უპირატესობას, რომლებიც ხაზს უსვამენ მიმდინარე და სამომავლო ომების კონკრეტულ ასპექტებს (Hansen 2017, გვ.4-5).

ანალიტიკოსების სრული უმრავლესობა თანხმდება რუსეთის, როგორც სისტემური „ჰიბრიდული ომის“ მწარმოებელი ქვეყნის, მზარდ როლზე ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების შეწყვეტის თვალსაზრისით. გრიგოლ მგალობლიშვილი და მისი თანაავტორები წერენ, რომ რუსეთის ამჟამინდელი საომარი სტრატეგია იკითხება მისი ყოფილი გენერალური შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის 2013 წლის სტატიაში, სადაც გენერალმა ხაზი გაუსვა არასამხედრო ქმედებების განხორციელების მნიშვნელოვნებას. ამასთან მგალობლიშვილი და მისი კოლეგები ყურადღებას ამახვილებენ იმ მახასიათებლებზე, რომლებიც გამოარჩევს რუსულ ჰიბრიდულ ომს: მაგალითად, იმგვარი ომის წარმოება, როცა მონინალმდევე ვერც კი ამჩნევს მის მიმართ განხორციელებულ შეტევებს და არსებული მდგომარეობა მშვიდობისაგან მკაფიოდ განსხვავებული არ არის, რაც ხელს უწყობს რუსეთს მშვიდად აწარმოოს მონინალმდევის ძირგამომთხრელი კამპანია მიზანმიმართული პროვოკაციებითა და სიტუაციის დაძაბვის გზით; არასამხედრო საშუალებების სულ უფრო მზარდი გამოყენება და სხვა (მგალობლიშვილი და სხვები 2019, გვ.12-15). რუსეთის წარმოებულ ჰიბრიდულ ომთან დაკავშირებით ასეთსავე მოსაზრებას აუღერებს ფლემინგ ჰანსენიც და დასძენს, რომ ამგვარი ომი შეიძლება აღინეროს, როგორც „კონტროლირებადი ქაოსი“, რომლითაც რუსეთის მიზანია მონინალმდევის სოციალური დაუძლეობა, მისი არასტაბილურობის გამონვევა და შიდა სტრუქტურის რღვევა (Hansen 2017, გვ.10).

უშუალოდ ევროატლანტიკური სივრცისთვის რუსეთისგან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეები, კახა გოგოლაშვილის აზრით, შესამჩნევი გახდა 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ. ამ მოვლენამ ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო გარკვეული სიფრთხილის ზომების მიღებაც და გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები: ინფორმირებულობის გაზრდა, მედეგობა, აგრესიის შეკავება და პასუხი შეტევაზე (გოგოლაშვილი 2019, გვ.4-9). ფრანკლინ კრამერი

და ლაურენ სპერანზა წერენ, რომ რუსეთის ავტორიტარული რეჟიმის მიზანია დასავლური დემოკრატიის საუკეთესო მმართველობის ფორმად წარმოჩენის ტენდენციისა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება. იგი ცდილობს საერთაშორისო წესრიგის შეცვლას, ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბებასა და გავლენის გაფართოებას პოსტსაბჭოთა რეგიონში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, თუ ახლო აღმოსავლეთში. ამისათვის კრემლი მიმართავს ჰიბრიდული საომარი ქმედებების სრულ სპექტრს, მათ შორის, კიბერშეტევებს, არაიდენტიფიცირებად ჯარისკაცებს (little green men), ნატოსა და ევროკავშირში, მათი წევრი სახელმწიფოების საწინააღმდეგო პროპაგანდას, განხეთქილებასა და სეპარატიზმის წახალისებას (Kramer, Speranza 2017, გვ.4-5).

რაც შეეხება, ევროატლანტიკური სივრცის პასუხს რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდულ საფრთხეებზე, მაიკლ როული და კლერ რობერტსი ამბობენ, რომ ნატოს სტრატეგია შეიძლება დავეყნოთ სამ ნაწილად: მომზადება, შეკავება და დაცვა. მომზადებაში (prepare) იგულისხმება მუდმივი სიფხიზლე, ჰიბრიდული მოქმედებების იდენტიფიცირება, მშვილობიანი მოსახლეობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა; შეკავება (deter) ნიშნავს როგორც საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად, ისე საკუთრივ ნატოს მიერ საკუთარი ძალების მობილიზებასა და გადანწყვეტილებების მიღების პროცესის სტიმულირებას; ხოლო დაცვა გულისხმობს (defend) ძალისმიერი მეთოდით თავდასხმის შემთხვევაში შესაბამის პასუხს, უპირველეს ყოვლისა კი, სამხედრო მეთოდებით შემოტევების თავიდან აცილებას (Rühle, Roberts 2019, გვ.62-64). გარდა ამისა, ევროკავშირის სამოქმედო გეგმას გვაცნობს კახა გოგოლაშვილი, რომლის თანახმადაც, ევროკავშირი ახალ ნაბიჯებს დგამს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ, კრიზისების პრევენციისკენ, ნატოსთან თანამშრომლობის განვითარებისკენ. მკვლევარი განიხილავს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ დასავლური ბრძოლის რამდენიმე ინსტრუმენტს. მაგალითად, ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციების აღმოსავლეთის სპეციალური სამსახური - „აღმოსავლეთ სტრატეგია“, რომელიც ემსახურება დემინტორმაციასთან გამკლავებას; ჰიბრიდული საფრთხეების ერთიანი უჯრედი, რომლის მიზანია ჰიბრიდული საფრთხეების გაანალიზება; ასევე ჰიბრიდული საფრთხეების დახელოვნების ევროპული ცენტრი, რომელიც ეხმარება ნატოსა და ევროკავშირს თავდასხმების საპასუხო ზომების შემუშავებაში და ევროკავშირის ინფორმაციისა და ქსელური უსაფრთხოების სააგენტო, რომლის მუშაობაც მიმართულია ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების დახმარებისა და ორგანიზაციის პოლიტიკის თითოეულ დარგში კიბერუსაფრთხოების ინტეგრირებისაკენ (გოგოლაშვილი 2019, გვ.11-13).

ამგვარად, თაქტობრივად ყველა ანალიტიკოსი თანხმდება, რომ ჰიბრიდული ომი, რომელიც გულისხმობს აგრესორის მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად ყველა შესაძლო მეთოდით თავდასხმას, ოსტატურად აითვისა რუსეთმა და ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ევროატლანტიკური სივრცე. ჰიბრიდულმა საფრთხეებმა შეცვალა დასავლური უსაფრთხოების ლანდშაფტი და გამოკვეთა მისი სუსტი მხარეები. თავის მხრივ, ყველა თანხმდება იმაზეც, რომ ნატომ და ევროკავშირმა აქტიურად დაიწყეს საპასუხო პრევენციული ზომების მიღება, თუმცა ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისთვის, რომ დაიძლიოს რუსეთიდან მომდინარე საფრთხე, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს მისი იდენტიფიცირების სიძნელე. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ უკეთესი იქნება გამოვიკვლიოთ ისეთი გზები, რომლებიც

ევროატლანტიკურ სივრცეს შესაძლებლობას მისცემს შეიმუშაოს უფრო ქმედითუნარიანი საპასუხო გეგმა არსებულ სიტუაციაში ისე, რომ თავად არ იქცეს აგრესორად და ჰიბრიდული ომის მწარმოებლად.

### **მეთოდოლოგია**

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, გამოყენებულია ლიტერატურის დამუშავების ე.წ. „სამაგილო ხერხი“. საკვლევ კითხვებზე: როგორ ხასიათდება რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგია? და რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დააყენა კრემლის ახალმა საბრძოლო ტაქტიკამ დასავლური სამყარო? რელევანტური პასუხის გასაცემად ნაშრომში გაანალიზებულია გავლენიან მკვლევართა და ანალიტიკოსთა ნამუშევრები, შესაბამისი დოკუმენტები და წერილობითი მასალა, აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა, პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროები. გამოყენებულია კონკრეტულ შემთხვევათა შესწავლისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები რუსული ჰიბრიდული ომის გამოვლინების ძირეული შესწავლისათვის. შედეგად გთავაზობთ ჰიბრიდული ომის რუსული სტრატეგიის კომპლექსური მახასიათებლების სიღრმისეულ ანალიზსა და დასავლური სამყაროს წინაშე აღმოცენებული ახალი გამოწვევების თვალსაჩინოდ წარმოჩენას.

### **რუსული ჰიბრიდული ომისაგან მომდინარე საფრთხეები დასავლური სამყაროს მიმართ და ამ უკანასკნელის საპასუხო რეაქცია**

თანამედროვე ეპოქაში ჰიბრიდული ომის ტაქტიკა საკუთარ სამხედრო სტრატეგიად აქცია რუსეთის ფედერაციამ. ამის საჩვენებლად მნიშვნელოვანია გავიხსენოთ რუსეთის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის - ვალერი გერასიმოვის 2013 წლის სტატია. აქ გენერალი მკაფიოდ უსვამს ხაზს იმას, რომ ქვეყანამ თავის საომარ სტრატეგიაში არასამხედრო მეთოდები სულ უფრო აქტიურად უნდა ჩართოს. მთავარი იდეა "გერასიმოვის დოქტრინაში" არის მონინაალმდევის ფსიქოლოგიური და მორალური დაზარალება, რის შემდეგაც ფაქტობრივად აღარ არის საჭირო უხეში, ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. გრიგოლ მგალობლიშვილსა და სხვა ქართველ მკვლევრებზე დაყრდნობით, "რუსეთის თანამედროვე საომარი სტრატეგია ემყარება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მონინაალმდევის სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შერყევა ყველაზე კარგად არასამხედრო საშუალებებით მიიღწევა." (მგალობლიშვილი და სხვები 2016, გვ. 14) გერასიმოვი აღნიშნავს იმასაც, რომ წარმატებისათვის საჭიროა რუსეთმა გამოიყენოს ფართომასშტაბიანი ასიმეტრიული მოქმედებები, რათა მას გაუადვილდეს შეიარაღებულ ბრძოლაში მონინაალმდევებზე უპირატესობის მოპოვება. ეს ასიმეტრიული ქმედებები, თავის მხრივ, გულისხმობს რბილი ძალის მეთოდებით ბრძოლას, პროვოკაციებს, სამიზნე ქვეყნებში ძალადობისა და დაპირისპირების ინსცენირებას ან წაქეზებას ამ უკანასკნელის დასუსტებისა და მის ტერიტორიაზე მუდმივმოქმედი ფრონტის შექმნისათვის (Hansan, 2017; Gardner, 2015). აქვე უნდა მოვიხმოთ გერასიმოვის დოქტრინამდე არსებული დოკუმენტიც, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის 2010 წლის სამხედრო დოქტრინა, რომელიც მიანიშნებს სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ინტეგრირებული გამოყენების ეფექტურობასა და იმაზე, რომ საინფორმაციო ომი იძლევა შესაძლებლობას სამხედრო-პოლიტიკური მიზნები შეიარაღებული

ძალების მოქმედებათა გვერდის ავლით მიიღწეს, მისი საშუალებით ასევე შესაძლებელია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები სამხედრო შეიარაღების გამოყენების ლეგიტიმაციისთვისაც. (Banasić, 2016)

რუსულ სამხედრო სტრატეგიას გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ომის იმგვარად წარმოების მეთოდი, რომ მონინალმდევე მხარე ვერც კი ამჩნევს მის მიმართ განხორციელებულ შეტევებს, ვინაიდან არსებული მდგომარეობა მშვიდობისაგან მკაფიოდ განსხვავებული არ არის. ეს ხელს უწყობს რუსეთის ფედერაციას აუღელვებლად აწარმოოს მონინალმდევის ძირგამომთხრელი კამპანია სიტუაციის მიზანმიმართული დაძაბვის გზით (მგალობლიშვილი 2019, გვ. 13-16). ამას მონიშნავს ფლემინგ ჰანსენის ის სიტყვებიც, სადაც იგი ჰიბრიდული ომის მოსკოვისეულ ტაქტიკას "კონტროლირებად ქაოსად" აღწერს. ეს ქაოსური მდგომარეობა მოიცავს კინეტიკურ და არაკინეტიკურ ოპერაციებს, ყველა სახის საშუალების, მათ შორის, მასობრივი დესტრუქციული მოქმედებების ჩართვას ბრძოლაში, მთავარი კი არის მცირემასშტაბიანი და შეფარული ძალადობრივი აქტები, რომლებსაც ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ჯგუფები ან პარტიზანი მებრძოლები ახორციელებენ (Hansan, 2017). კრემლის სტრატეგია ხასიათდება, ერთი მხრივ, არასამხედრო საშუალებების გამოყენების ზრდით და მეორე მხრივ, სამხედრო საშუალებების ფარული ჩართვით ამა თუ იმ მოქმედებაში, რაც გულისხმობს არაიდენტიფიცირებადი, ამოსაცნობი ნიშნის არმქონე ჯარისკაცების (little green men) პროვოკაციულ მანევრებს სხვადასხვა დროსა და სივრცეში. აღნიშნული მიზნად ისახავს განხორციელებული ქმედებების უარყოფის გაადვილებას. უკეთ რომ განვმარტოთ, რუსეთის მიერ ჰიბრიდული ომის ფარგლებში სამხედრო ძალების შეფარული გამოყენება გამოიხატება უნიფიცირებული და არაუნიფიცირებული ჯარისკაცების ისეთი კომბინაციითა და სივრცითი განაწილებით, რომელიც კამპანიის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვნად აფერხებს ძალის ცენტრის იდენტიფიცირებას (Hansan, 2017). გარდა ამისა, რუსეთის მხრიდან ვაწყდებით კომპლექსურ პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ინფორმაციულ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სახის მოქმედებებს, რომლებიც სამიზნე არეალის შესაბამისად არის შერჩეული. მაგალითად, მართლმადიდებლურ ქვეყნებში რუსეთის პოლიტიკა საერთო რელიგიით მანიპულირებს, ხოლო სლავურ ქვეყნებში საერთო ეროვნული ფესვებითა და წარმოშობის ხაზგასმით ცდილობს სასურველი ემოციური ფონის შექმნას (Kramer & Speranza, 2017). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციის ახალი სამხედრო ტაქტიკა მოიცავს მრავალ ასპექტს. მათგან ასევე საყურადღებოა კიბერშეტევები. ამ მეთოდით კრემლი არსებითად აზიანებს მონინალმდევე ქვეყნის კომპიუტერულ სისტემებს, ელექტრონულ ბაზებსა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, რის შედეგადაც, უკანონოდ ივდებს ხელში საიდუმლო ინფორმაციას და ავრცელებს მას სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციის მიზნით. საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კრემლის განახლებული სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალური მედიის გამოყენება, კერძოდ, ნეგატიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერის ან სამთავრობო ფიგურის წინააღმდეგ ქვეყანაში არეულობის გამონვევის მიზნით. ამავდროულად აუცილებელია ცალკე ვახსენოთ ე.წ. "რბილი ძალის" პოლიტიკა, რაც ჯობეფ ნაის განმარტების მიხედვით, მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთ ქმედებებზე, რომლებიც შედეგად იწვევს არა ძალადობრივი, არამედ თანამშრომლობის გზით, სამიზნე

აუდიტორიაზე მანიპულირებისა და სასურველი გავლენის მოხდენის საშუალებას. რბილი ძალა მოქმედებს კულტურის, ღირებულებებისა და საგარეო პოლიტიკის საშუალებით (მაჭავარიანი, 2015). აგრესორი პრორუსული ან თვით კრემლის დაკვეთით დაფუძნებული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ავრცელებს თავის მესიჯებს, ლობირებს საკუთარ ინტერესებს და ასე ინარჩუნებს გავლენას ქვეყნის ფარგლებს გარეთ; აყალიბებს თავისთვის სასურველ საზოგადოებრივ აზრს და აწარმოებს ანტიდასავლურ პროპაგანდას ამა თუ იმ რეგიონში. საინფორმაციო ტექნოლოგიების დაქვემდებარება და მათი სასურველი მიზნით გამოყენება კრემლისეული ჰიბრიდული ომის ფარგლებში არაკინეტიკურ მეთოდთაგან ამკარად ყველაზე მთავარია, თუმცა უნდა გამოვყოთ ისეთი ინსტრუმენტებიც, როგორებიცაა პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა ჰიბრიდული საფრთხეების მსხვერპლი ქვეყნის შიდაპოლიტიკურ სისტემაში არსებული მცირერიცხოვანი ჯგუფებისა და შესაბამისი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისათვის, რომლებიც უპირისპირდებიან სახელმწიფოს ხელისუფლების ლეგიტიმურობას და ცდილობენ მის ჩამოშლას (Hansan, 2017). ხაზი უნდა გაესვას ეკონომიკურ და პოლიტიკურ დივერსიასაც, სამიზნე ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე მონოპოლიის მოპოვებასა და მისი დამოკიდებულების გაზრდას რუსულ ბაზარზე. ასევე პრორუსული მოძრაობების წახალისებას და რუსული გავლენის ზრდას მონინააღმდეგის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

ჰიბრიდული ომის სახით, რუსეთის ფედერაციის ახალი საომარი სტრატეგიის მახასიათებლების გაცნობის შემდეგ, აუცილებელია აღინიშნოს ის შემთხვევები, რომლებიც მიიჩნევა აღნიშნული ტაქტიკის ერთ-ერთ პირველ გამოვლინებად და წარმოვაჩინოთ მათი შედარებითი ანალიზი. უწინარეს ყოვლისა, ასეთად უნდა დასახელდეს 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია. ეს მოვლენა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი ერთგვარი სიგნალი აღმოჩნდა დასავლეთისთვის რუსეთის მიერ წამოწყებული საშიში "თამაშის" შესახებ. იური დენიკი და მისი კოლეგები წერენ, რომ კრემლმა ე.წ. "ყირიმის დაბრუნების" ოპერაციის შესრულებისას გამოიყენა მთელი რიგი სამხედრო და არასამხედრო საბრძოლო მეთოდები, რომელთა შორის გამოსაყოფია ელექტრონული სისტემების მეშვეობით განხორციელებული თავდასხმები; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები; სამხედრო არსენალის მართვის ინოვაციური სისტემები; ინტეგრირებული დაზვერვა-შეტვის მეთოდები; ახლებური პროგრამული უზრუნველყოფა; კიბერსივრცეში ფსიქოლოგიური ტერორის წარმართვა; გარემოს კონტროლისა და კოსმოსური სისტემები; რობოტული აპარატურა, უპილოტო საფრენი მონწყობილობები და სხვა. ჩამოთვლილი ტექნოლოგიური საშუალებები იყო უფრო დიდი და სტრატეგიულად შემუშავებული კამპანიის ნაწილი, რომლის მიზანი გახლდათ ცენტრალური ინსტიტუტების, მთავრობისა და შეიარაღებული ძალებისადმი მოქალაქეების ნდობის დაქვეითება და სეპარატისტული ქმედებების წახალისება, ასევე ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაციის სტიმულირება (Danyk, Maliarchuk & Briggs, 2017). თუმცა, რუსული ჰიბრიდული ომის ყირიმის ანექსიამდელი გამოვლინება, შეიძლება ითქვას, რომ იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომელზეც "ევროკავშირის ფაქტების დამდგენმა კომისიამ ცალსახად განაცხადა, რომ საკუთრივ სამხედრო ოპერაცია მხოლოდ 'დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია' იყო, რაც იმის აღიარებაა, რომ ომი პირველი ტყვის გასროლამდე ბევრად

ადრე დაიწყო." (მგალობლიშვილი და სხვები 2016, გვ.13) აღსანიშნავია, რომ როგორც 2014 წლის რუსულ-უკრაინულმა კრიზისმა, ისე აგვისტოს ომმა ძალიან ნათლად დაგვანახა თანამედროვე დროის ტენდენცია - არასახელმწიფო აქტორებისა და რბილი ძალის პოლიტიკის ზეგავლენის შეუჩერებელი ზრდა (Reichborn-Kjennerud & Cullen, 2016). ორივე ქვეყნის შემთხვევაში საყურადღებოა საინფორმაციო ომი. დეზინფორმაციული კამპანიის წარმოებისა და მასმედით მანიპულირებისათვის კრემლი უკრაინაში წარმატებით იყენებდა Russia Today-ისა და Channel One-ს, რომლებიც დღემდე ახმოვანებენ პუტინის მესიჯებს და ნიღბავენ მის იმპერიალისტურ ზრახვებს „უკრაინელი ძმებისა“ და უკრაინაში მცხოვრები რუსების „გათავისუფლების“ კეთილშობილური საფარით, რამაც 2022 წლის 24 თებერვალს უკვე თავის კულმინაციას მიაღწია და რაც მთავარია, პუტინმა უკრაინაში შეჭრა ამ უკანასკნელის „ნაცისტებისაგან გათავისუფლების“ მიზნით წამოწყებულ „სამხედრო ოპერაციად“ გაასაღა (Li & others, 2022). მსგავსად ამისა, ჰიბრიდული ომის ფარგლებში საქართველოშიც აქტიურად გამოიყენება ინტერნეტი და სოციალური მედია საშუალებები, ამასთან ჩვენს შემთხვევაში კიდევ უფრო მძლავრი ხდება რუსეთის ხელთ არსებული ისეთი მეთოდები, როგორებიცაა კიბერ და ე.წ DDOS შეტევები, რითაც ზიანდება ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურა და საფრთხე ექმნება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს. ერთ-ერთმა ასეთმა თავდასხმამ, რომელიც 2019 წელს განხორციელდა და დააზიანა 2000-ზე მეტი სამთავრობო თუ არასამთავრობო, კერძო თუ საჯარო დაწესებულებების ვებგვერდი, ნათლყო ჩვენი ქვეყნის სუსტი თავდაცვისუნარიანობა კიბერსივრცეში (ჭლარკავა 2019, გვ.4-10). მსგავსი ფაქტი უსწრებდა წინ 2008 წლის აგვისტოს ომსაც. დიდი ხნით ადრე დაგვეგმილი კიბერთავდასხმა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ 9 აგვისტოს აამოქმედა, შეტევის სამიზნე გახდა 54 ქართული ვებსაიტი, მათი 90% სამთავრობო გახლდათ. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს თავდასხმა განხორციელდა რუსულმა ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფმა სახელწოდებით Russian bussines network, რომელიც რუსეთის უსაფრთხოების სამსახურს ეკუთვნის (Pernik, 2018). ნიშანდობლივია, რომ ხშირად საქართველოსა და უკრაინაზე კიბერშეტევებს 2007 წლის ესტონეთის ქეისთან ერთად ერთიან კონტექსტში განიხილავენ და ამას უკავშირებენ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ პუტინის ზრახვებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ზემოთ ხსენებული კიბერ-ოპერაციების მთელი ციკლის იდეოლოგიას (Flynn, 2019). კიბერშეტევათა ახალი კამპანია კი საქართველოზე განხორციელდა კოვიდ-19-ის მიერ გამოწვეული კრიზისის აღმოსაფხვრელად ჩვენ მიერ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის საწყის ეტაპზეც. როცა მთელი მსოფლიო პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებდა, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროზე განხორციელდა კიბერშეტევა, რასაც მოჰყვა უწყების მონაცემთა ბაზის უკანონო გასაჯაროება. გარდა ამისა, მოსკოვი აწარმოებს დეზინფორმაციულ კამპანიას საქართველოში არსებული რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის წინააღმდეგ და უსაფუძვლოდ ადანაშაულებს ქართულ და ამერიკულ მხარეებს კაცობრიობისთვის სამიშ საქმიანობაში (კირკიტაძე 2020, გვ.9-11). საყურადღებოა, რომ თუ საქართველოში რუსეთმა თავისი კიბერ თავდასხმის სამიზნედ ლუგარის ლაბორატორია აირჩია, უკრაინაში იგი 24 თებერვალს ქვეყანაში შეჭრის შემდეგ თავის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ, რომელზე კონტროლის მოპოვებასაც ცდილობს, ირჩევს ატომურ ელექტროსადგურებს და ამ გზით აშანტაუებს მსოფლიოს (Hibbs, 2022).

მთელ ამ პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს რელიგიურ ჯგუფებსაც, კრემლისათვის რუსული და უკრაინული, ისევე როგორც რუსული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები ამ ქვეყნების მოსახლეობათა ერთმორწმუნეობის შესახებ აპელირებით კარგი მანიპულირების იარაღი აღმოჩნდა საკუთარი მიზნების მისაღწევად. ცალკე უნდა ითქვას ორგანიზებული დანაშაულის შესახებაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, უკრაინაში კომუნიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის ეპოქაში ჩამოყალიბდა არაერთი დანაშაულებრივი ორგანიზაცია და კრიმინალური დაჯგუფება, რომელთა ბოსებიც იქცნენ ნამდვილ ოლიგარქებად და ზოგიერთმა მათგანმა სახელმწიფოს მართვის სადავეებიც იგდო ხელთ, ეს ძალაუფლებითა და სიმდიდრით შეიარაღებული პირები კი, რომლებიც კრიმინალური წარსულით გამოირჩევიან, ხელისუფლებაში ყოფნისას თავიანთი ფინანსური რესურსებით ადვილად აქცევენ მოსახლეობას საკუთარი გავლენის ქვეშ, თვითონ კი ამით დაინტერესებული გარე ძალების, ამ შემთხვევაში რუსეთის, მარიონეტების როლში გვევლინებიან. ამ მხრივ, სერიოზული პრობლემის არეალია განსაკუთრებით დონბასის რეგიონი, სადაც კორუფცია და დანაშაულებრივი ქმედებები ყვავის. ამავე მოვლენებში გამოიყოფა არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც, რომლებსაც კრემლი ნაციონალიზმის გასაღვივებლად და სამყაროს რუსული მოდელის სხვადასხვა ქვეყნებში გასავრცელებლად იყენებს, უკრაინის შემთხვევაში ისინი კრემლის აგენტურამ სახელმწიფოს დასუსტების, მის მოსახლეობაში დასავლური განწყობისა და დემოკრატიის დათრგუნვისაკენ მიმართა (Mulford, 2016). საქართველოში კი რბილი ძალის ეფექტები აისახა იმაზე, რომ ჩვენ მეტად დამოკიდებული ვაფხდით რუსულ ბაზარზე; სწორედ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ პარტიული წარმონაქმნების წყალობით ქვეყანაში გაიზარდა პრორუსული განწყობა და მკვეთრად შემცირდა საჯარო ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის ნდობა; შესამჩნევი ვახდა, ისეთი ჯგუფების გააქტიურება, რომელთა ქმედებებიც მიმართულია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზიდან გადახვევისკენ და ქვეყნის ჯანსაღი განვითარების ხელშეშლისაკენ.

როგორც აღვნიშნეთ, კრემლი უკრაინელების მიმართ საერთო სლავური ეთნიკური წარმომავლობის ნარატივს იყენებს, საქართველოში კი ქართველ და არაქართველ ეთნიკურ ჯგუფებს შორის განხეთქილებას უდებს საფუძველს. რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლად ჩამოყალიბებული საქართველოს რესპუბლიკის ორ ნაწილში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გამუდმებით აწარმოებდა სეპარატისტულ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყნის ეთნიკურად ქართველ, ოს და აფხაზ მოსახლეობას შორის შუღლის გაღვივებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. ეს პროცესი 2008 წლის ომის შემდეგ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებით დასრულდა<sup>1</sup> (მოდებაძე 2019, გვ. 29-32). მსგავსი რამ მოხდა უკრაინაშიც, აქ უკვე რუსეთმა ქვეყანაში შეჭრამდე ცნო დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დამოუკიდებლობა მათსავე ადმინისტრაციულ საზღვრებში.<sup>2</sup> ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კრემლის მიერ ზემოხსენებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას ორივე მსხვერპლი

<sup>1</sup> დანართი 1: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების რუკა

<sup>2</sup> დანართი 2: უკრაინაში დონეცკისა და ლუგანსკის ოკუპირებული ოლქების რუკა

სახელმწიფოს შემთხვევაში წინ უძღოდა შესაბამისი ნიადაგის მომზადება. კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალში განახორციელა უკანონო პასპორტიზაცია - აღნიშნული რეგიონების მოსახლეობაზე მასობრივად გასცა რუსული პასპორტები და რუსეთის მოქალაქეობა (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, 2009). ხოლო უკრაინაში შეჭრამდე პუტინმა შესაბამისი განწყობების შექმნაზე სხვა მრავალ საშუალებასთან ერთად მისივე დაწერილი სტატიის გამოქვეყნებით იზრუნა, სადაც ვკითხულობთ: „რუსები, უკრაინელები და ბელარუსები - ყველანი არიან ძველი რუსეთის შთამომავლები, რომელიც ევროპაში უდიდესი სახელმწიფო იყო. სლავური და სხვა ტომები უზარმაზარ ტერიტორიაზე - ლადოგადან, ნოვგოროდიდან და ფსკოვიდან კიევამდე და ჩერნიგოვამდე - ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული ერთი ენით (რომელსაც ჩვენ ახლა ძველ რუსულს ვწოდებთ), ეკონომიკური კავშირებით, რურიკის დინასტიის მთავრების მმართველობითა და - რუსეთის ნათლობის შემდეგ - მართლმადიდებლური რწმენით. წმინდა ვლადიმირის, რომელიც იყო ნოვგოროდის პრინცი და ასევე კიევის დიდი პრინცი, მიერ გაკეთებული სულიერი არჩევანი დღესაც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ახლობლობას.“ (Putin, 2021).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რბილი ძალის პოლიტიკის გატარების კვალდაკვალ 2012 წლიდან საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკურ და ენერგო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების (ასევე უვიზო რეჟიმის შემოღებისა და სხვა რიგი დათმობების) პარალელურად ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევა ე.წ "მცოცავი ოკუპაციის" მეშვეობით ისევ გრძელდება. ამას ემატება ისიც, რომ ოკუპირებული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებები, რომელთაც, თავის მხრივ, რუსეთი უმაგრებს ზურგს, აკავებენ საქართველოს მოქალაქეებს ე.წ "საზღვრის" უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. სამწუხაროდ, ეს პროცესები გარკვეულ შემთხვევებში ქართული მხარისთვის ადამიანური მსხვერპლითაც დასრულებულა. ეს ყველაფერი კი მიგვანიშნებს, რომ რუსეთის ფედერაცია თავისი გეგმების განხორციელების პროცესში არც საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დარღვევას ერიდება (მაჭავარიანი, 2015).

საქართველოსა და უკრაინის მაგალითებზე საუბრისას მნიშვნელოვანია მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ის ჭრილი, რომლის ფარგლებშიც აღმოჩნდნენ ეს სახელმწიფოები რუსული ჰიბრიდული ომის სამიზნეში. 2009 წელს ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის წამოწყების შემდეგ, რაც საქართველოსა და უკრაინის მსგავსი პროდასავლური ქვეყნებისათვის ერთგვარი მხარდაჭერის გამოცხადება გახლდათ, რუსეთმა ვლადიმერ პუტინის გეგმების კვალდაკვალ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევრაზიული ინტეგრაციის პროექტში ჩართვა მოინდომა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირისა და რუსეთის პაექრობის არეალში მოექცნენ. ამასთან ვლადიმერ პუტინი მის მიერ მკაფიოდ გაცხადებული - „საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფის“ - აღმოფხვრას ცდილობს და ჰიბრიდული ომის შემადგენელი მეთოდების გააქტიურებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობაში პოლარიზაციის ზრდას, აშშ-სა და ევროკავშირის მიმართ კეთილგანწყობის შესუსტებასა და პრორუსული გავლენების გაძლიერებას ემსახურება (Ratsiborynka, 2016).

რუსეთის ფედერაცია პუტინის რეჟიმის პირობებში დასავლურ სამყაროს, თავისი ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებებით ძალიან დიდ საფრთხედ აღიქვამს, ვინაიდან კრემლის ნაციონალისტური, რევანშისტული და ექსპანსიონისტური მისწრაფებები ვერანაირად ვერ თანხვდება ევროპის ლიბერალურ ღირებულებებთან. ამიტომაც პუტინი თავისი ანტიდასავლური ქმედებებით ცდილობს, ერთი მხრივ, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაში გაიმყაროს ძალაუფლების ლეგიტიმაცია და მეორე მხრივ, დაანახოს დანარჩენ მსოფლიოს, რომ დასავლური სამყარო მორალურად არაკეთილსინდისიერი, ბოროტი, საშიში და არასანდოა, ხოლო რუსეთი კონსერვატიზმისა და ზნეობრიობის შექურას როლს ინარჩუნებს (Molloy, 2021). ამიტომაც იგი ცდილობს განხეთქილება შეიტანოს დასავლურ ქვეყნებში და ძირი გამოუთხაროს მისი მთავარი ოპონენტების, აშშ-ის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების, „ნატოსა“ და „ევროპის კავშირის“ ერთიანობასა და სიძლიერეს. დასავლეთის წინაშე აღმოცენებულ გამოწვევათა კონტექსტში დიდ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კრემლის პოლიტიკა განსაკუთრებით აქტიურდება ოპონენტ ქვეყნებში დემოკრატიის ფუნდამენტური ინსტიტუტის, არჩევნების, მოახლოებისას. ამ მხრივ, საინტერესოა მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 2016 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები ბრექსიტის შესახებ, რომელშიც სამეცნიერო წრეები დიდწილად რუსული საინფორმაციო ომისა და მის შედეგად გაჩენილი ევროსკეპტიციზმის კვალს ხედავენ. ბევრი მკვლევარი მსგავსად აფასებს გერმანიისა და საფრანგეთის ბოლო წლების არჩევნებსაც. გერმანიის სადაზვერვო სააგენტოს უფროსის თანახმად, ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და გადანყვეტილების მიღების პროცესზე ნათლად იგრძნობა რუსული ზეგავლენა. საფრანგეთის შემთხვევაში ასეთივე ვითარების არსებობაზე მეტყველებს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ გაკეთებული განცხადებები. ადამიანმა, რომელიც წარმართავდა ემანუელ მაკრონის საარჩევნო კამპანიას, ღიად დაადანაშაულა რუსული ტელეარხები მაგ.: Sputnik და Russia Today მაკრონის შესახებ ცრუ ინფორმაციის განზრახ გავრცელებაში. რუსული კვალი კიდევ უფრო აშკარად შეიმჩნევა 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს აისახა ეროვნული დაზვერვის ოფისის დირექტორის 2017 წლის მოხსენებაში, სადაც ნათქვამია, რომ აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევა აშკარად შესამჩნევი იყო, რაც უკავშირდებოდა კრემლის დიდი ხნის სურვილს - ბოლო მოეღო შეერთებული შტატების ლიბერალური დემოკრატიისათვის. მათ აწარმოეს კლინტონის წინააღმდეგ ბინძური პროპაგანდა ე.წ. fake news-ების მეშვეობით და ასე შეუშალეს ხელი მის პრეზიდენტად არჩევას, შედეგად კი უპირატესობა მის კონკურენტს დონალდ ტრამპს დარჩა (Kramer & Speranza, 2017). ამ ყველაფრის გამო, ცხადია, დასავლური სამყარო დადგა რამდენიმე ძირითადი გამოწვევის წინაშე. უპირველეს ყოვლისა, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სწორი და დაბალანსებული საპასუხო სამოქმედო ტაქტიკის შემუშავება ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე. მრავლისმომცველ და კომპლექსურ პრობლემას სჭირდება ასევე ყოვლისმომცველი პასუხი და შესაბამისი რეაგირება. ევროკავშირის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საფრთხის შემაკავებელი ინსტიტუტების გაძლიერება (Sandawi, 2010). უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ევროპის კავშირის რეაგირება უნდა ეფუძნებოდეს პასუხისმგებლობის დაყოფას შემდეგ ინსტიტუტებს შორის: 1) წევრი ქვეყნების თავდაცვითი სამსახურები; 2) შიდა უსაფრთხოების დამცველი ინსტრუმენტები, ევროკომისიის ინსტრუმენტებთან ერთად; 3) საგარეო

უსაფრთხოების უზრუნველყოფი ორგანოები, რომლებმაც უნდა გაზარდონ ნატოსთან თანამშრომლობა შესაბამის მისიებსა თუ აქტივობებში. ევროკავშირმა უნდა შეიმუშაოს ეფექტური კიბერ თუ სხვა სახის თავდაცვითი სტრატეგიები და შეძლოს უსაფრთხოების რამდენიმე ასპექტის ერთდროულად გაკონტროლება (Andersson & Tardy, 2015). მსგავსად ევროკავშირისა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაც საკმაოდ მონყვლადია კრემლის ახალი საომარი ტაქტიკის მიმართ. რუსული ჰიბრიდული ომი ზღუდავს ალიანსისა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოებას, ასევე ქმნის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში საშინაო ვითარების დესტაბილიზაციის საფრთხეს (Ozawa, 2019). საპასუხოდ კი ნატომ დასავლური სამყაროსა და უშუალოდ მის წინაშე არსებული ახალი გამოწვევების დაძლევის მიზნით გამართა არაერთი სამიტი (მაგ.: 2008 წლის ბუქარესტის, 2014 წლის უელსის, 2016 წლის ვარშავის, 2018 წლის ბრიუსელის და სხვა). უფრო კონკრეტულად - შეიძლება ითქვას, რომ ალიანსის წევრებმა 2014 წლის 5 სექტემბრის უელსის სამიტზე დადეს პირობა, რომ ორგანიზაცია უზრუნველყოფს ეფექტურ თავდაცვით ნაბიჯებს ჰიბრიდული ომის სპეციფიკური საფრთხეების საპირწონედ (Ruhle & Roberts, 2019). ამავე სამიტზე განისაზღვრა, რომ ამ საფრთხეებთან გასამკლავებლად სასიცოცხლოდ აუცილებელია სტრატეგიული კომუნიკაციების, ნატოსა და სხვა ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ევროკავშირს, შორის კოორდინაციის გაუმჯობესება, მეტი ინფორმირებულობისა და პოლიტიკური კონსულტაციების ხელშეწყობა. შეხვედრაზე მოკავშირეებმა შესაბამისი ყურადღება დაუთმეს იმ საკითხსაც, რომ ალიანსის მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მის მიმართ გამოყენებული ჰიბრიდული ომის ელემენტების დაუყოვნებლივ იდენტიფიკაცია და მოსალოდნელი შედეგების მყისიერად აღკვეთა (Beaulio & Salvo, 2018). ამის შემდეგ მათ დაიწყეს მუშაობა ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლის ნატოსეულ სტრატეგიაზე, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ნაბიჯებს: მომზადება, შეკავება/შეჩერება, დაცვა (prepare, deter, defend). მომზადება გულისხმობს ნატოს მიერ რეგულარული სადაზვერვო ხასიათის ქმედებათა განხორციელებას, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის უწყვეტ ნაკადად მიწოდება და გაზიარება შესაბამის უწყებათათვის. შეკავება მოიცავს იმას, რომ ჰიბრიდული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ალიანსმა უნდა მოახერხოს საკუთარი პოტენციური მტრის დარწმუნება, რომ მისი ქმედებებით მიღწეულ მიზნებს გადაწონის ამავე ქმედებებზე ნატოს საპასუხო რეაქცია, ამ კონტექსტში ალიანსმა უნდა აიმაღლოს საკუთარი უნარი და მტერმა უნდა მიიღოს გზავნილი, რომ ნატოს ასეთ თავდასხმებზე ექნება მწვავე სამხედრო და პოლიტიკური რეაქცია. ხოლო დაცვაში მოიაზრება ნატოს მიერ ჰიბრიდული თავდასხმის მოგერიება, მასზე რეაგირება როგორც ინდივიდუალურ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაშიც საჭიროების შემთხვევაში პროპორციული სამხედრო ძალის გამოყენებაც შედის (Ozawa, 2019). ამასთან ნატომ, ევროკავშირმა და ცალკეულმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოსახლეობის მტკიცე ერთიანობა და სტაბილურობა, რადგან როგორც დავინახეთ, კრემლისეული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ელემენტი სამიზნე აუდიტორიის პოლარიზებაა (Molloy, 2021).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ დასავლურ სამყაროს კიდევ ბევრი ნაბიჯის გადადგმა მართებს ჰიბრიდული საფრთხეებისაგან თავის დასაცავად და საკუთარი მოწყვლადობის შესამცირებლად<sup>3</sup>. ამ ნაბიჯთა სიაში, პირველ ყოვლისა, შეიძლება დავასახელოთ რუსული ბაზრისაგან ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვება, რადგან კრემლი ენერგეტიკას თავისი ჰიბრიდული ომის სტრატეგიის არსენალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად იყენებს და რაც რუსული რბილი ძალის ერთ-ერთი საყრდენი კომპონენტია, ევროპის ქვეყნები კი დღესდღეობით დიდად არიან დამოკიდებული რუსულ გაზზე<sup>4</sup>, სწორედ ამიტომ დასავლეთის ენერგოდივერსიფიკაცია რუსეთს მნიშვნელოვან სამანიპულაციო ბერკეტს გამოაცლის ხელიდან და აისახება მის ეკონომიკაზე<sup>5</sup> (Ratsiborynska, 2018).

